ტაო-კლარჯეთის ძეგლების
2019 წლის
საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები

თბილისი 2021

ტაო-კლარჯეთის ძეგლების
2019 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები

2019 წელს **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ, **კავკასიის უნივერსიტეტის** ხელშეწყობით განხორციელდა 2 ექსპედიცია (22 დღე), ისტორიულ სამცხეში, ერუშეთში, ჯავახეთში, პალაკაციოში, არტანში და ფოსოში, რომელიც ამჟამად თურქეთის არტანის, პროვინციის (Ardahan İl) ფოცხოვის (Posof İlçe), ჰანაკის (Hanak İlçe), ჩილდირის (Çıldır İlçe) არტანის (Ardahan İlçe) რაიონებს მოიცავს. აგრეთვე, კულტურის რამდენიმე ახალი ძეგლი დაფიქსირებულია ისტორიულ კლარჯეთში და ტაოში.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონებში გასულ წლებში ჩვენი ჯგუფის მიერ არა ერთი ექსპედიცია ჩატარდა, თუმცა ახალი ინფორმაციის მოპოვების გამო და გარემოებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ამ რეგიონში დამატებით ექსპედიციების ჩატარება. ექსპედიციებში გამოვლინდა კულტურის უცნობი ძეგლები და ცალკეული არტეფაქტები.

ექსპედიციებში მონაწილეობდნენ: **ბებურ გოზალიშვილი, ანა იმედაშვილი, შალვა კოღუაშვილი.**

ექსპედიციების ანგარიშები მოამზადეს: **თეიმურაზ ხუციშვილმა** (ხელმძღვანელი), **ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა, დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა.**

კონსულტანტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კახა შენგელია;** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ ჯოჯუა;** ხელოვნებათმცოდნე **ნოდარ არონიშიძე.**

ანგარიში იბეჭდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** დაფინანსებით.

ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია საექსპედიციო სამუშაოების დროს.

ავტორთა ჯგუფის მიერ 2012-2019 წლებში ჩატარებული 29 ექსპედიციის ანგარიშები ქვეყნდებოდა 2015 წლიდან.

Reports of 2019 Research Expeditions of Tao-Klarjeti Monuments

In 2019 by the **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources** supporting with **Caucasus University** implemented two (22 days) expeditions in historical Samtskhe, Erusheti, Javakheti, Palakatsio, Artani and Poso, which are located in modern Turkey, in Ardahan (Ardahan İl) province and included Posof (Posof İlçe), Hanak (Hanak İlçe), Childir (Çıldır İlçe) and Artani (Ardahan İlçe) districts. Also, several new discovered cultural monuments fixed in historical Klarjeti and Tao.

In the above regions, several expeditions have been conducted by our group in recent years, however, due to new information and circumstances, it became necessary to conduct additional expeditions in this region. The expeditions discovered unknown cultural monuments and separate artefacts.

The expeditions participants: **Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili.**

The expeditions' reports were prepared by: **Teimuraz Khutsishvili** (scientific head), **Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili, Davit Maisuradze, Levan Tsikarishvili.**

The consultants: Dr. of Philosophy in History, **Professor Kakha Shengelia,** Dr. of Philosophy in History, Professor **Teimuraz Jojua;** Art Historian **Nodar Aronishidze.**

The expeditions' reports are printed by **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources** funding.

Photos that are not indicated the owner or the author are taken during the expedition work.

The reports of 29 research expeditions conducted by authors group in 2012-2019 have been published since 2015.

© თ. ხუციშვილი, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოღუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი
კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პ. სააკაძის 1, თბილისი

© T. Khutsishvili, B. Gozalishvili, A. Imedashvili, Sh. Koghuashvili, D. Maisuradze,L. Tsikarishvili.
"Caucasus University Publishing House", P. Saakadze 1, Tbilisi, Georgia

ISBN 978-9941-9746-3-2

სარჩევი

შესავალი 7

საექსპედიციო მასალები 8

ალი, ეკლესია 8
ალმონა, მშრალი წყობის ნაგებობა 8
ამფური, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 9
ამფური, ეკლესიები 10
ამფური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 11
ამფური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 11
არდანა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 12
არზადა, მშრალი წყობის ნაგებობა 13
არილა, ეკლესია 13
არილა, მღვიმე სოფლის სამხრეთით 14
არილა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15
არილა, ციხე (?) სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15
არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), ეკლესია ჯამეს ადგილას 16
არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), მშრალი წყობის ნაგებობა ქალაქის ჩრდილოეთით 3 კმ-ზე 17
არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), მშრალი წყობის ნაგებობა ქალაქის ჩრდილოეთით 4.4 კმ-ზე 17
არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), ციხეზე დაფიქსირებული ორნამენტიანი ქვები 18
არტანუჯი, ეკლესია 19
არტანუჯი, მღვიმე 20
ახალშენი, ეკლესია 20
ბადელა, ეკლესია და ძველი ჯამე 21
ბანარხევი, ეკლესია 21
ბაღდადი, ეკლესია 22
ბაღდადი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 22
ბაღდადი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 23
ბაღდადი, ხიდები 23
ბეგრახათუნი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 24
გერაშენი, ეკლესია 24
გეჯი, ეკლესია 25
გუდანეთი, მშრალი წყობის ნაგებობა 25
დადაგული, ეკლესია და ქვა ოსმალური წარწერით 26
დერექოი, მშრალი წყობის ნაგებობა 26
დიდი ხარზიანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 27
დიღვირი, ძველი ჯამე და სასაფლაო 27
დუდუნა, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის აღმოსავლეთით 28
ერემა, ეკლესია 29
ერემა, ციხე 29
ერუშეთი (სოფ.), მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 30
ვარხანა, ეკლესია 31
ვაშლობი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი სოფლის აღმოსავლეთით 31
ვაშლობი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი სოფლის სამხრეთით 33
ვაშლობი, მღვიმე-გვირაბი სოფლის აღმოსავლეთით 36
ვერანა, ეკლესიები 37
ზანაზგომი, ეკლესია 37
ზაქი, ეკლესია 38
ზაქი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 38
ზემო ვახლა, ეკლესია 39

ზემო ტიკანი, ეკლესია 40
ზემო ტიკანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 40
ზემო ტიკანი, სოფელში დაფიქსირებული ჯვრის კვარცხლბეკი 41
ზემო წურმანი, ეკლესია 41
ზემო წურმანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 42
თათალეთი, სოფელში დაფიქსირებული ორნამენტიანი და სომხურწარწერიანი ქვები 42
თეთრციხე, მშრალი წყობის მეგალითური ნაგებობები და დარანები 43
თეთრციხე, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის ჩრდილოეთით 43
იენიქოი, მშრალი წყობის ნაგებობა 44
იუკარი გუნდეში, ეკლესია 45
კალებოღაზი, კლდეში ნაკვეთი ეკლესია სოფლის დასავლეთით 46
კამაროვანი, ეკლესია 48
კოდისწყარო, ეკლესია (?) 48
კოდისწყარო, ეკლესია ჯამეს ადგილას 49
კოლისწყალი, ეკლესია 49
კომკი, ეკლესია (ერუშეთი) 49
კომკი, მშრალი წყობის ნაგებობა (ერუშეთი) 50
კომკი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავლეთით (არტანი) . 50
კორა, ეკლესია და საფლავის ქვა 51
კუნძულუტი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 52
ლელუსი, მონასტერი (?) 53
მანიოხი, ეკლესიები 55
მარცვალათუბანი, ეკლესია 55
მაჩვეთი, ეკლესია 55
მაჩვეთი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით 56
მაჩვეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 57
მგელციხე, აბანო 58
მგელციხე, ეკლესია დასახლებაში 59
მერადისი, მშრალი წყობის ნაგებობა 59
მერადისი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 4.2 კმ-ზე 60
მერადისი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5.4 კმ-ზე 60
მუნუსი, ეკლესია 61
ნაკომლარი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 62
ორეზაქი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის აღმოსავლეთით 62
ორეზაქი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავლეთით 63
ორჩოკი, მშრალი წყობის ნაგებობა 64
ორჩოკი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 65
ოხთელი, ეკლესია 65
„პანკისი (II) ციხე (?)“, „პანკისი (III) კოშკი“ 66
პატარა ვარდოსანი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავლეთით 66
პატარა ხარზიანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 68
პეტობანი, ეკლესია და ასომთავრულწარწერიანი ქვა 68
პეტრისი, ეკლესია 69
რაბათი (სოფ.), მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 70
საბადური, ეკლესია 70
საბადური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 71
საბადური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 71
საბუღარა, ციხე 72
საკირე, ეკლესია 73

სარწები, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე ჩრდილოეთით 73
სარწები, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით 74
სარწები, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე დასავლეთით 0.9 კმ-ზე 75
სარწები, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე დასავლეთით 1 კმ-ზე 75
სასხარა, ეკლესია 76
სეითორენი, მშრალი წყობის ნაგებობების კომპლექსი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 77
სეჯა, ეკლესია 77
სინდისგომი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 78
სკარები, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 79
სორსი, ეკლესია 80
სორსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 80
სტეფანწმინდა, ხიდი სოფლის აღმოსავლეთით 81
სხვარა, ეკლესია 81
სხვარა, მშრალი წყობის ნაგებობის კომპლექსი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 82
ტამალა, ეკლესია 83
ტანეიდანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 83
ტაშბაში, ეკლესია 84
ტაშქოფრუ, მშრალი წყობის ნაგებობა 85
ტებათი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 86
უგუბო, მღვიმეები 86
ურთა, ეკლესია 86
ფანიკი, ეკლესია 87
ფაფოლა, ეკლესია 88
ფახრელი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 88
ფიქლობი, ეკლესია 89
ფიჩხაზგომი, ეკლესია 89
ქავთარნაგები, ხიდი სოფლის აღმოსავლეთით 90
ქარქათველი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით 90
ქელიქი, ეკლესია 91
ქვემო თოროსხევი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 91
ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის მეგალითური ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე აღმოსავლეთით 92
ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა..... 93
ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 93
ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით 94
ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით 94
ქვემო ნაქალაქევი, სოფელში დაფიქსირებული ქვა ჯვრების გამოსახულებით 95
ქვემო ტიკანი, ეკლესია 96
ქვემო წურმანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით 97
ქვემო ჭაბორია, ეკლესია 98
ქვემო ჭინჭრობი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 98
ქვემო ხანაკი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით 99
ქვემო ჯაჯუნი, ეკლესია 100
ქიმლი, ელკესია 100
ღვინია, ეკლესია და სოფელში დაფიქსირებული ასომთავრულწარწერიანი ქვა 101
ყველი, ეკლესია და ასომთავრულწარწერიანი ქვა 101
შადევანი, ეკლესია 103
შატბერდის მონასტრის ასომთავრულწარწერიანი ქვა 104
შუარტყალი, ეკლესია - იოანე ნათლისმცემლისა 105

შუარტყალი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთით 106
შუარტყალი, ეკლესია ჯამესთან და ასომთავრულწარწერიანი ქვა 106
შუარტყალი, ციხე (?) სოფლის დასავლეთით 108
ჩაისთარი, ეკლესია 108
ჩაისთარი, ეკლესია სოფლის ჩრდილოეთით 109
ჩაისთარი, მშრალი წყობის ნაგებობა 110
ჩაისი, ეკლესია (?) სოფლის ჩრდილოეთით 110
ჩიმლიჩაირი, ეკლესია 111
ჩიმლიჩაირი, მშრალი წყობის ნაგებობა 112
ჩიხირეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 112
ჩიხირეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით 113
ჩიხირეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 113
ჩოთი, ეკლესია 114
ჩორჩევანი, ეკლესია 114
ძურძნა, ეკლესია 114
ძურძნა, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით 115
ძურძნა, მშრალი წყობის ნაგებობა ქალაქის ჩრდილოეთით 115
წინსათიბი, ეკლესია 116
წინწალი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის აღმო-სავლეთით 117
წინწალი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 118
წურწყაბი, მღვიმეების კომპლექსი 118
წყაროსთავი, კლდეში ნაკვეთი ეკლესიისა და მღვიმეების კომპლექსი სოფლის დასავ-ლეთით 120
წყაროსთავი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავ-ლეთით 121
ჭანჭახი, ეკლესია 122
ჭოლითი, ეკლესია 123
ჭოლითი, მღვიმეების კომპლექსი 123
ხერთვისი, ეკლესია 125
ხოშურეთი, მშრალი წყობის მეგალითური ნაგებობა სოფლის სამხრეთით 125
ხრეშდაგი, ეკლესია 126
ხურთულა, ეკლესია 127
ხურთულა, მშრალი წყობის ნაგებობა 127
ჯაყი, ციხე და ეკლესია 127
ჯვარისხევი, ეკლესია 129
ჯუმათელი, ეკლესია 129
ჰასკოი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით 129
ჰასკოი, ეკლესია ჯამეს ადგილას 130
ჰასკოი, მშრალი წყობის ნაგებობა 130
ჰასკოი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 131
ჰაჯიალი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთით 132
ჰაჯიალი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე ჩრდილოეთით 132

გამოყენებული ლიტერატურა 133
დამატება 134

შესავალი

საექსპედიციო და საკვლევი სამუშაოები ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ავტორთა ჯგუფის მიერ ხორციელდება 2003 წლიდან. 2012 წლიდან ჯგუფმა დაიწყო ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების კვლევა ტერიტორიის ინტენსიური შესწავლის მეთოდით, რომელიც გულისხმობს ისტორიული მხარეების ყველა სოფლისა თუ ნასოფლარის და მათი შემოგარენის დეტალურ შესწავლას, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა რაიმე წყარო (ცნობა) ამ კონკრეტულ ადგილში კულტურის ძეგლის სავარაუდო არსებობის შესახებ. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდა ამ მხარეში არსებული ასობით უცნობი ძეგლის გამოვლენა, რომლებიც მანამდე უცნობი იყო ან ცნობილი იყო მხოლოდ თურქულ ლიტერატურაში. ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე, ავტორთა ჯგუფის მიერ, განხორციელებული სამუშაოების შედეგები ქვეყნდება 2003 წლიდან.

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ დაფინანსებული პროექტები – **„თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების, ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი“** (2014-2016 წწ.) და **„თურქეთში მდებარე ისტორიული მხარეების - სპერის, ბაიბურთისა და ლაზეთის ქართული კულტურის ძეგლების ბეჭდური და ონლაინ კატალოგი”** (2018-2021 წწ.). პროექტების ფარგლებში ტაო-კლარჯეთის საკვლევი ექსპედიციები ხორციელდება **კავკასიის უნივერსიტეტის** მიერ, **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მონაწილეობით და ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში ტაო-კლარჯეთის კვლევები კვლავ გრძელდება.

2019 წლის საკვლევი ექსპედიციები ისტორიულ სამცხეში, ერუშეთში, ჯავახეთში, პალაკაციოში, არტანში და ფოსოში (აგრეთვე, კულტურის რამდენიმე უცნობი ძეგლი მონახულებული იქნა ისტორიულ კლარჯეთში და ტაოში), განხორციელდა **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ, **კავკასიის უნივერსიტეტის** მხარდაჭერით. 2019 წელს ჩატარდა 2 ექსპედიცია (22 დღე).

შედეგად, დაფიქსირდა ლიტერატურიდან ცნობილი კულტურის 130-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა. გარდა ამისა, გამოვლინდა კულტურის 40-მდე უცნობი ძეგლი, რომლებიც მანამდე უცნობი იყო ან ცნობილი იყო მხოლოდ თურქულ ლიტერატურაში.

დაფიქსირებულ ძეგლთა შორისაა: ეკლესიები, ციხეები, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტები (მეგალითური, მიწისქვეშა, მღვიმის, საცხოვრებელი და სხვა.). გამოვლინდა 4 უცნობი ქართული წარწერა.

მოხდა ზემოხსენებული თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, გაკეთდა ანაზომები და დადგინდა GPS კოორდინატები.

წარმოდგენილ ანგარიშებში აქცენტები გაკეთებულია იმ ინფორმაციებზე, რომელიც, ჩვენი აზრით, სიახლეს, განსხვავებულ ინტერპრეტაციას ან დამატებით ცნობებს შეიცავს.

ექსპედიციებისას მიკვლეული ყველა მნიშვნელოვანი სიახლე განთავსებულია **„კვლევის ცენტრის“** ფეისბუქ გვერდზე (**საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი**).

2019 წლის ექპედიციებისას მიკვლეულ ძეგლთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ვაშლობის კლდეში ნაკვეთი ორი მონასტერი, წყაროსთავისა და კალებოღაზის კლდეში ნაკვეთი ეკლესიები, შატბერდის მონასტრისა და სოფელ ყველის ლაპიდარული წარწერები.

საექსპედიციო მასალები

ალი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ალი, თანამედროვე ალქოი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Alköy, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, 1.1 კილომეტრზე, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობს ტაძარი (41°29'19.15"N; 42°45'31.95"E). ნაგებობა განადგურებულია, ხოლო მისგან დუღაბის მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. საძირკველი დაფარულია მიწის ფენით. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ,,ქეთენლერს'' უწოდებს.

ტაძარი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ალი ეკლესიიდან

ფოტო 2. ეკლესიის მდებარეობა

ფოტო 3,4. ეკლესიის კედლების დუღაბიანი ფრაგმენტები

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის ღობეებში, დაფიქსირდა ალის მონასტრის მთავარი ტაძრის მორთულობის რამდენიმე ფრაგმენტი – ორნამენტიანი ქვები და კედლის მხატვრობის ფრაგმენტები.

ფოტო 1, 2. ქვები კედლის მხატვრობის ფრაგმენტებით

ალმონა, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული არტანის სოფელი ალმონა, თანამედროვე იალნიზჩამი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yalnızçam, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli). (იალნიზჩამი ისტორიული სინდისგომია, ხოლო ნასოფლარი ალმონა წარმოადგენს მის ნაწილს).

ნასოფლარის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობის ნაგებობა (41°05'21.84"N; 42°31'25.92"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება, შეინიშნება მხოლოდ საძირკვლის დონემდე დანგრეული კედლების კონტურები. ნაგებობის ინტერიერის ნაწილში უკეთაა შემორჩენილი მცირე, წრიული ფორმის, ნაგებობა, რომელიც შესაძლოა კოშკი ყოფილიყო. კედლის წყობა შემორჩენილი არ არის. როგორც ჩანს, საძირკველი გათხრილია ბოლო დროს, რის შედეგადაც მოჩანს 1.5 მეტრამდე, მოზრდილი, ქვით ნაშენი, ჩრდილოეთ კედლის წყობა.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. ნაგებობის კედლების ნაშთები

ფოტო 3, 4. ნაგებობის შემორჩენილი კედლის წყობა

ამფური, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ამფური, თანამედროვე ქენარდერე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kenardere, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, 1 კილომეტრზე, ნასოფლარის ტერიტორიაზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°17'20.46"N; 43°10'50.10"E). ძეგლი დანგრეულია და დარჩენილია საძირკვლის დონემდე ჩამოშლილი კედლების კონტური. დუღაბის ფრაგმენტები არ იძებნება. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ამ ადგილას ახსოვთ ტაძარი და დუღაბიანი კედლები, თუმცა, ამჟამად, საძირკველი გადაფარულია ქვით და მიწით, კედლის წყობის გარჩევა კი ვერ ხერხდება.



ამფური, ეკლესიები

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ამფური, თანამედროვე ქენარდერე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kenardere, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში მდგარა ორი ტაძარი. ამჟამად, ორივე მათგანი განადგურებულია (ლიტერატურაში ფიქსირდება სოფლის კიდევ ერთი სალოცავი, რომლის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია არაერთგზის). ადგილობრივმა მოსახლეობამ იცის ორივე ეკლესიის შესახებ და მიუთითებენ მათ ადგილებს. ერთი ტაძარი სოფელში, ჯამეს სამხრეთ-დასავლეთით, 0.6 კილომეტრზე მდგარა (41°17'23.31"N; 43°10'03.05"E) – ახლა მის ადგილას საცხოვრებელი სახლებია. მისგან დარჩენილია დუღაბიანი კედლების მოზრდილი ფრაგმენტები, რომლებიც იქვე, სოფლის ყორეშია ჩატანებული. სახლის სარკმელში, რომელიც სალოცავის ადგილას დგას, გამოყენებულია ტაძრის ორნამენტირებული, მოვარდისფრო, ქვა.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურში.

ფოტო 1. სოფელი ამფური

ფოტო 2. ეკლესიის კედლების დუღაბის ფრაგმენტები

ფოტო 3. ეკლესიის ორნამენტიანი ქვა

ფოტო 4. საცხოვრებელი სახლი ეკლესიის ადგილას

სოფლის მეორე ტაძარი, ჩრდილოეთით, შემაღლებულ ადგილას, სასაფლაოსთან მდგარა (41°17'25.07"N; 43°10'00.44"E). მის ადგილას, ამჟამად საცხოვრებელი სახლია, რომელიც აშენებულია ამ ნაგებობის ქვებით – მათ შორის განირჩევა სარკმლის ქვის ნაწილიც. ტაძრის ქვები უხვადაა გამოყენებული აქვე მდებარე სასაფლაოს ყორეს მშენებლობაში.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ეკლესიის მდებარეობის ადგილი

ფოტო 2. საცხოვრებელი სახლი ეკლესიის ადგილას

ფოტო 3, 4. ეკლესიის ფრაგმენტები.

ამფური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ამფური, თანამედროვე ქენარდერე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kenardere, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, 0.8 კილომეტრზე, შემაღლებულ, კლდოვან კონცხზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობთ ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°17'25.01"N; 43°10'44.10"E), რომელიც დანგრეულია და მისი ქვის წყობა შემორჩენილი არ არის – გვხვდება მხოლოდ მცირე ქვაყრილები. ადგილობრივი მოსახლეობა მას ,,ქუჩუკ კალეჯიკს'' (პატარა ციხეს) უწოდებს.

ამფური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ამფური, თანამედროვე ქენარდერე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kenardere, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 0.5 კილომეტრზე, შემაღლებული, კონუსური მთის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობთ ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°17'12.49"N; 43°10'24.48"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. კედლის წყობის ნაწილები თითქმის სრულადაა

ჩაშლილი - ჩრდილოეთით დარჩენილია მცირე ფრაგმენტები. ჩანს, ციხეს კედლების რამდენიმე წყება შემოსდევდა. განირჩევა მათი კვალი. ადგილობრივი მოსახლეობა მას ,,ბუიუკ კალეჯიკს'' (დიდ ციხეს) უწოდებს.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1.7 კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა მხარეს, კლდეებზე მღვიმეებია (41°17'05.77"N; 43°11'17.62"E). სპეციალური აღჭურვილობის გარეშე მათი მონახულება შეუძლებელია. ადგილობრივი მოსახლეობა მას „მაღმუთ მაღარალარის“ (მაღმუთის მღვიმეებს) უწოდებს.

არდანა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი არდანა, თანამედროვე ჰასკოი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hasköy, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli). (არდანა დღეს ნასოფლარია და მდებარეობს ჰასკოის ტერიტორიაზე).

ნასოფლარის ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის მარცხნივ, კლდოვან ფერდზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°02'49.11"N; 42°26'35.48"E). დარჩენილია ქვაყრილის სახით, რომელიც ბორცვის თხემის კიდეებს წრიულად შემოუყვება. საშენ მასალად გამოყენებული ყოფილა საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვები.

ფოტო 1, 2. მშრალი წყობის ნაგებობის მდებარეობა და ქვაყრილის სახით დარჩენილი კედლები

არზადა, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ერუშეთის სოფელი არზადა, თანამედროვე ოთაღლი, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Otağlı, Damal İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, სასაფლაოს ტერიტორიაზე, მცირე ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°20'41.19"N; 42°47'41.49"E), რომელიც დარჩენილია ქვაყრილის სახით. კედლის წყობები არ განირჩევა. ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას ,,კალეს'' (ციხეს) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი არზადა

ფოტო 2. ნაგებობის საერთო ხედი

ფოტო 3, 4. ნაგებობა, დარჩენილი ქვაყრილის სახით

არილა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი არილა, თანამედროვე სუნგულუ, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Süngülü, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ცენტრში, მდებარეობდა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°28'21.81"N; 42°52'10.91"E), რომელიც ამჟამად განადგურებულია, ხოლო მის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლის საცხოვრებელი სახლია (სახლის მესაკუთრეა ალაათინ ჯიჰანგირი – Alaattin Cihangir). დარჩენილია საძირკვლამდე დანგრეული, 1.5 მეტრამდე სიგრძის კედელი. ნაგებობის დუღაბიანი ფრაგმენტები გამოყენებულია სოფლის ყორეებსა და სახლების კედლებში.

ფოტო 1. სოფელი არილა

ფოტო 2. ეკლესიის მდებარეობის ადგილი

ფოტო 3. ეკლესიის კედლის ფრაგმენტი

ფოტო 4. ეკლესიის კედლის დუღაბის ფრაგმენტი

არილა, მღვიმე სოფლის სამხრეთით

ისტორიული სამცხის სოფელი არილა, თანამედროვე სუნგულუ, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Süngülü, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, 1.1 კილომეტრზე, მდებარეობს ლიტერატურაში კარგად ცნობილი არილას ციხე (41°27'47.78"N; 42°52'03.71"E). კლდეზე, რომელზეც ციხე მდებარეობს, რამდენიმე მღვიმეა. ერთ-ერთ მათგანზე განირჩევა დუღაბით ნაშენი კედლის კვალი.

არილას ციხე თურქულ ლიტერატურაში იხსენიება სახელწოდებით „გორგეთი“. ინფორმაცია ადგილობრივმა მოსახლეობამაც დაადასტურა, მათ შორის სოფლის მუხტარმა.

ფოტო 1. არილას ციხე

ფოტო 2. მღვიმე კედლის ფრაგმენტით

არილა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული სამცხის სოფელი არილა, თანამედროვე სუნგულუ, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Süngülü, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2.8 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°27'00.30"N; 42°52'59.49"E). კედლების ძირითადი ნაწილი ნაშალი სახითაა დარჩენილი, რომელიც თხემის კიდეებს შემოუყვება. ნაგებობა განფენილია დაახლოებით 300 მეტრის სიგრძეზე, რაც სრულად მოიცავს მთის თხემს. ალაგ-ალაგ დარჩენილია კედლების მშრალი წყობა. შემორჩენილი კედლების სისქე 2 მეტრამდეა. ნაგებობის სამხრეთი მხარე უკეთაა შემორჩენილი. ძეგლის შიგნით შეიმჩნევა ათზე მეტი მართკუთხა და წრიული გეგმარების მცირე ნაგებობების კვალი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს მთის რელიეფის გამო „უნაგირა“-ს უწოდებს.

ფოტო 1,2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3. ბორცვი ნაგებობის კედლით

ფოტო 4. ნაგებობის კედლების კონტური

ფოტო 5, 6. ნაგებობის შიგნით დარჩენილი ოთხკუთხა და წრიული ნაგებობების კვალი

არილა, ციხე (?) სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული სამცხის სოფელი არილა, თანამედროვე სუნგულუ, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Süngülü, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2.5 კილომეტრზე, ხეობაში, მდინარე კონტისხევის მარჯვენა მხარეს, კლდოვან კონცხზე, ადგილობრივი მოსახლეობა გადმოცემით ადასტურებს ციხის არსებობას (41°27'24.66"N; 42°53'21.89"E). ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. კლდის რელიეფიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ აქ კოშკის არსებობა. მოსახლეობა ადგილს „კონტისხევის ციხე“-ს უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობის არეალი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობის ადგილი

სოფელ არილას დასავლეთით ნასახლარებია, რომელსაც მოსახლეობა „კორტოხა“-ს უწოდებს.

არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), ეკლესია ჯამეს ადგილას

ისტორიული ქალაქი არტანი, თანამედროვე ქალაქი არდაჰანი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ardahan (Merkez), Ardahan İli).

ქალაქში, ჯამეს ადგილას, მდგარა ტაძარი (41°06'54.27"N; 42°42'12.53"E). აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს არტანის ციხის სამხრეთით, რომელიც რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში წარმოადგენდა მათი გარნიზონის ნაგებობებით გაშენებულ მონაკვეთს. შესაძლოა, ნაგებობა რუსეთის იმპერიის დროს ყოფილიყო აშენებული (ნაგებობა ჩანს XX საუკუნის დასაწყისის ფოტოზე, რომელიც არტანის შესახებ თურქულ წიგნშია მოთავსებული).

ფოტო 1, 2. ჯამე ეკლესიის ადგილას და მისი ინტერიერი

ფოტო 3. ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში, საარქივო ფოტო

არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), მშრალი წყობის ნაგებობა ქალაქის ჩრდილოეთით 3 კმ-ზე

ისტორიული ქალაქი არტანი, თანამედროვე ქალაქი არდაჰანი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ardahan (Merkez), Ardahan İli).

ქალაქის ჩრდილოეთით, 3 კილომეტრზე, ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°08'19.60"N; 42°42'46.10"E), რომელიც ამჟამად დანგრეულია. საძირკვლამდე დარჩენილი კედლების ძირითადი ნაწილი დაფარულია მიწით და შემორჩენილია მხოლოდ კონტურის სახით. ალაგ-ალაგ შეიმჩნევა კედლის წყობის თავდაპირველი ფენა.

ფოტო 1. ბორცვი, სადაც ნაგებობა მდებარეობდა

ფოტო 2. კედლის შემორჩენილი წყობა

არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), მშრალი წყობის ნაგებობა ქალაქის ჩრდილოეთით 4.4 კმ-ზე

ისტორიული ქალაქი არტანი, თანამედროვე ქალაქი არდაჰანი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ardahan (Merkez), Ardahan İli).

ქალაქის ჩრდილოეთით, 4.4 კილომეტრზე, მაღალი ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობთ ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°09'09.87"N; 42°42'12.43"E). ძლიერ დაზიანებული ძეგლის წყობა დაშლილია საძირკვლის დონემდე - ალაგ-ალაგ იკითხება კედლის დარჩენილი ნაწილები, რომლის სიგანე 1.5 მეტრამდეა. ბორცვის თხემზე, ნაგებობის გარე პერიმეტრზე, განირჩევა ძლიერ დაზიანებული კედლის წყობის ნაწილები - შესაძლოა ნაგებობას ორმაგი გალავანი ჰქონოდა. მის შიგნით დარჩენილია მართხკუთხა და წრიული ნაგებობების ნაშთები. ამავე ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა კერამიკის ფრაგმენტები შემორჩენილი. მოსახლეობა ამ ადგილს „თექ დორუთ თეპესის“ (წვეტიან ბორცვს) უწოდებს.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. კედლების შემორჩენილი ფრაგმენტი

ფოტო 3. კედლების შემორჩენილი ფრაგმენტები

ფოტო 4. შიდა ნაგებობის ნაშთი

ფოტო 5, 6. კერამიკის ფრაგმენტები

არტანი (ქ.) / არდაჰანი (ქ.), ციხეზე დაფიქსირებული ორნამენტიანი ქვები

ისტორიული ქალაქი არტანი, თანამედროვე ქალაქი არდაჰანი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ardahan (Merkez), Ardahan İli).

არტანის ციხის კედლებში დაფიქსირდა რამდენიმე ორნამენტიანი ქვა, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ ტერიტორიაზე მდგარ ტაძარს უნდა ეკუთვნოდეს.

ციხის აღმოსავლეთი კედლის ბურჯებში, გარე მხარეს ჩატანებულია 3 ორნამენტიანი ქვა.

ციხის კარიბჭის თაღში, ოთხკუთხა კოშკის კედლებში, ჩართულია ქვა, ლომის რელიეფით. აგრეთვე ფიქსირდება ორი ორნამენტიანი ქვა. ციხის სამხრეთ კედლის ინტერიერში, პირველი ოთხკუთხა კოშკის აღმოსავლეთ კედელზე, ქონგურზე ორნამენტიანი ქვაა ჩასმული. ორნამენტიანი ქვაა, აგრეთვე სამხრეთი კედლის ერთ-ერთ ქონგურზე. ციხის დასავლეთი კედლის პირველ ოთხკუთხა კოშკის სამხრეთ სარკმელში ჩატანებულია ორნამენტიანი ქვა.

ფოტო 1, 2. არტანის ციხე

ფოტო3, 4, 5, 6. აღმოსავლეთ კედლეში ჩართული ქვები

ფოტო 7. ციხის კარიბჭეში ჩასმული ქვები

ფ. 8. კარიბჭეში მოთავსებული ქვა ლომის რელიეფით

ფოტო 9, 10. სამხრეთ კედლის ინტერიერში მოთავსებული ქვები

ფოტო 11, 12. სამხრეთ კედლის ინტერიერში ჩასმული ორნამენტიანი ქვები

არტანუჯი, ეკლესია

ისტორიული კლარჯეთის ქალაქი არტანუჯი, თანამედროვე არდანუჩი (არტანუჯი), ართვინის პროვინცია (Ardanuç, Ardanuç İlçesi, Artvin İli).

ქალაქში, ციხის უბანში, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°07'36.45"N; 42°03'23.60"E), რომელიც სრულად განადგურებულია, დარჩენილია მხოლოდ საძირკვლის კედლის მცირე ფრაგმენტი. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ამ ტერიტორიაზე ტაძრის არსებობას.



ფოტო 1. არტანუჯის ციხე და ციხის უბნის დასახლება

ფოტო 2. ციხის უბანში ეკლესიის ადგილი

ფოტო 3, 4. ეკლესის ნაშთები

არტანუჯი, მღვიმე

ისტორიული კლარჯეთის ქალაქი არტანუჯი, თანამედროვე არდანუჩი (არტანუჯი), ართვინის პროვინცია (Ardanuç, Ardanuç İlçesi, Artvin İli).

ქალაქში, არტანუჯის ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე, კლდოვან კანიონზე, მდინარის მარცხენა მხარეს, კლდეზე მღვიმეა მასზე ამოშენებული ქვის კედლით (41°07'48.33"N; 42°03'31.25"E).

ფოტო 1, 2. მღვიმე, მასზე ამოყვანილი კედლით

ახალშენი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი ახალშენი, თანამედროვე საზლიჩაირი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sazlıçayır, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელთან მდებარე, ლიტერატურაში ცნობილი, XX საუკუნის დასაწყისის ტაძარი ამჟამად განადგურებულია. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის ინფორმაციით, ნაგებობა ამჟამინდელი ჯამეს ადგილას მდგარა (41°17'19.06"N; 42°57'12.32"E), თუმცა მოსახლეობის ნაწილი არ ადასტურებს აღნიშნულ ინფორმაციას.

ფოტო 1. სოფელი ახალშენი და ჯამე, ეკლესიის სავარაუდო ადგილი

ბადელა, ეკლესია და ძველი ჯამე

ისტორიული სამცხის სოფელი ბადელა, თანამედროვე თურქგოზუ, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Türkgözü, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის მოსახლეობამ გადმოცემით იცის ტაძრის არსებობა. მიუთითებენ მიახლოებით არეალს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლთან, გაშლილ ტაფობზე (41°35'14.01"N; 42°48'51.19"E), მაგრამ ძეგლის მდებარეობის ზუსტ ადგილს ვერ ასახელებენ. შემორჩენილია ადგილის სახელწოდება „ყარა ქილისე“ (შავი ეკლესია).

ამავე სოფელში XIX საუკუნის ჯამეა (41°34'47.41"N; 42°49'12.81"E), რომელიც აღარ ფუნქციონირებს.

ფოტო 1. სოფელი ბადელა

ფოტო 2. ძველი ჯამე

ფოტო 3,4. ჯამეს ინტერიერი

ბანარხევი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ბანარხევი, თანამედროვე გუნბატანი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Günbatan, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, სასაფლაოზე, შემორჩენილია ტაძრის კედლების ორი, 2 მეტრამდე სიმაღლის, დუღაბიანი ფრაგმენტი (41°28'39.85"N; 42°36'30.52"E), რომლებიც ჩატანებულია სასაფლაოს ყორეში. შემორჩენილ კედლებზე მოპირკეთების ქვები მოშლილია.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ქართულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ბანარხევი

ფოტო 2. ეკლესია სოფელთან მიმართებაში

ფოტო 3, 4. ეკლესიის დარჩენილი ფრაგმენტები

ბაღდადი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ბაღდადი, თანამედროვე ოვაპინარი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ovapınar, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში მდგარა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°04'16.95"N; 42°36'29.74"E). ამჟამად მის ადგილას სკოლის ძველი შენობაა, რომელიც აუგიათ 1938 წელს, სავარაუდოდ, ტაძრის ქვები სკოლის მშენებლობაში გამოიყენეს, მისი არტეფაქტები შემორჩენილი არ არის, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ამ ადგილას ეკლესიის არსებობას.

ფოტო 1. სოფელი ბაღდადი

ფოტო 2. ძველი სკოლა ეკლესიის ადგილას

ბაღდადი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთი

ისტორიული არტანის სოფელი ბაღდადი, თანამედროვე ოვაპინარი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ovapınar, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2.2 კილომეტრზე, მაღალი ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°03'31.19"N; 42°37'45.34"E). მისი ძირითადი კონსტრუქცია ნაშალის სახითაა დარჩენილი. სამხრეთით შემორჩენილია 1 მეტრამდე სიმაღლის და 1.5 მეტრი სიგანის მასიური ქვებისგან შემდგარი კედლის წყობის ფრაგმენტები. წყობის გარე და შიდა ნაწილებს შორის სივრცე ამოვსებულია მცირე ზომის ქვის ნაფლეთებით. კედლის ფრაგმენტები შემორჩენილია დასავლეთ ნაწილშიც, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით განირჩევა გალავნის ორი ფენა. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. როგორც ჩანს, ბოლო დროს ის განგებაა დანგრეული მძიმე ტექნიკით – სავარაუდოდ განძის მაძიებელთა მიერ.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. ქვაყრილის სახით დარჩენილი კედლები

ფოტო 3, 4. ნაგებობის შემორჩენილი კედლის წყობები

ბაღდადი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული არტანის სოფელი ბაღდადი, თანამედროვე ოვაპინარი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ovapınar, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით 2.3 კილომეტრზე, მცირე ხევის მარჯვენა მხარეს, მაღალი ბორცვის თხემზე, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°03'03.58"N; 42°36'07.04"E). მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაყრილის სახით – ფრაგმენტულად დარჩენილია კედლის პირველი წყობის ნაწილები. გამოყენებული ყოფილა მცირე ზომის დაუმუშავებელი ქვა. ძლიერი დაზიანების გამო გეგმა არ იკითხება.

ფოტო 1. სოფელი ბაღდადი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3. ქვაყრილის სახით დარცენილი კედლები

ფოტო 4. კედლის წყობის ფრაგმენტი

ბაღდადი, ხიდები

ისტორიული არტანის სოფელი ბაღდადი, თანამედროვე ოვაპინარი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ovapınar, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.9 კილომეტრზე, სამანქანო გზასთან, შემორჩენილია ძველი ქვის ხიდი (41°03'56.53"N; 42°37'41.91"E).

ასევე, სოფლის სამხრეთით, 2.1 კილომეტრზე, სამანქანო გზასთან, შემორჩენილია მზგავსი ქვის ხიდი (41°03'10.97"N; 42°36'01.80"E). სავარაუდოდ ხიდები ძველი გზის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

ფოტო 1. ქვის ხიდი სოფ. სამხრეთ-აღმოსავლეთით

ფოტო 2. ქვის ხიდი სოფ. სამხრეთით

ბეგრახათუნი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ბეგრახათუნი, თანამედროვე ესკი ბეირეჰათუნი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Eski beyrehatun, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2.9 კილომეტრზე, სათიბებში, ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი ფიქსირდება (41°06'18.19"N; 42°59'27.92"E), რომელიც სრულადაა დანგრეული, ხოლო მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაყრილის სახით. ნაგებობის შიგნით განირჩევა სამარხების კვალი. ტერიტორიაზე კერამიკის ფრაგმენტებია მოფანტული.

ფოტო 1. სოფელი ბეგრახათუნი

ფოტო 2. ნაგებობის შემორჩენილი ფრაგმენტები

ფოტო 3. ნაგებობის შემორჩენილი ფრაგმენტები

ფოტო 4. კერამიკის ფრაგმენტები

გერაშენი, ეკლესია

ისტორიული პალაკაციოს სოფელი გერაშენი, თანამედროვე ბოზიიღითი, არპაჩაის რაიონი, ყარსის პროვინცია (Bozyiğit, Arpaçay İlçesi, Kars İli).

სოფელთან მდებარე XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში ცნობილი ტაძარია, რომელიც ამჟამად შემორჩენილი აღარაა და არც მოსახლეობას ახსოვს მისი არსებობა.

ფოტო 1. სოფელი გერაშენი

გეჯი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი გეჯი, თანამედროვე გეჯქოი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Geçköy, Hanak İlçesi, Ardahan İli).

ლიტერატურაში ცნობილია ამ სოფელში ტაძრის არსებობა. ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმაციას ადასტურებს და მიუთითებს ნაგებობის თავდაპირველ ადგილს, სადაც ამჟამად საცხოვრებელი სახლია (41°13'46.87"N; 42°56'10.49"E).

ფოტო 1. სოფელი გეჯი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

გუდანეთი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ერუშეთის სოფელი გუდანეთი, თანამედროვე ბურმადერე, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Burmadere, Damal İlçesi, Ardahan İli). (ბურმადერე ისტორიული სორსია, ხოლო გუდანეთი დღეს ბურმადერეს ტერიტორიაა).

სოფელ ბურმადერეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, 2.4 კილომეტრზე, სათიბებზე, შემაღლებული ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°17'02.06"N; 42°47'55.87"E). ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და დარჩენილია მისი საძირკვლის დონემდე დანგრეული კედლების კონტური. შიდა არეზე იკითხება ძლიერ დაზიანებული მცირე ნაშთების კვალი. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 0.4 კილომეტრზე, კიდევ ერთი მშრალი წყობის ნაგებობაა, რომელიც დაფიქსირებულია 2013 წლის ექსპედიციაში.

ფოტო 1, 2. სოფელი გუდანეთი და ნაგებობა, კედლების კონტურებით

დადაგული, ეკლესია და ქვა ოსმალური წარწერით

ისტორიული არტანის სოფელი დადაგული, თანამედროვე დედეგული, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Dedegül, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი შემორჩენილი არაა და არც მოსახლეობას ახსოვს მისი არსებობა.

სოფელში, ჯამეს ეზოში, დიდი ქვაა (41°07'09.36"N; 42°34'08.91"E), რომელზეც 1867 წლის ოსმალური წარწერაა. ქვაში ამოჭრილია წყლის სათავსი, რომელიც ჯამეს მლოცველების განბანვისთვის გამოიყენება.

ფოტო 1. სოფელი დადაგული

ფოტო 2. ქვა არაბული წარწერით

დერექოი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ერუშეთის თანამედროვე სოფელი დერექოი, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Dereköy, Damal İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, სათიბებზე, ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°19'28.84"N; 42°48'24.09"E), რომელიც დარჩენილია ქვაყრილის სახით. როგორც ჩანს, მისი კედლები ბორცვის დასავლეთ ფერდს ჩამოუყვებოდა. კედლის წყობის ნაწილები არ განირჩევა. ტერიტორიაზე ფიქსირდება კერამიკის ფრაგმენტები. მოსახლეობა ამ ადგილს ,,ქაჩაქ თეფესი''-ს (ყაჩაღის ბორცვს) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი დერექოი

ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3. ნაგებობის ტერიტორია

ფოტო 4. კერამიკის ფრაგმენტები

დიდი ხარზიანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი დიდი ხარზიანი, თანამედროვე ბუიუკ სუთლუჯე, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Büyük sütlüce, Ardahan Merkez İlçe, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, 1.4 კილომეტრზე, შემაღლებული ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (40°58'55.82"N; 42°46'48.70"E), რომლის ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციაც ქვაყრილის სახითაა დარჩენილი. დასავლეთით და სამხრეთით შემორჩენილია მოზრდილი ქვით ნაშენი კედლების მცირე წყობები. მის შიდა პერიმეტრზე განირჩევა, ასევე ძლიერ დაზიანებული, ნაგებობათა კვალი.

ფოტო 1. სოფელი დიდი ხარზიანი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. კედლების დარჩენილი წყობები

დიღვირი, ჯამე და სასაფლაო

ისტორიული სამცხის სოფელი დიღვირი, თანამედროვე ქალაქი ფოსოფი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Posof, Posof İlçesi, Ardahan İli).

ქალაქში მდებარეობს XIX საუკუნის ჯამე (41°30'32.54"N; 42°43'41.97"E), აშენებული 1883 წელს და ამავე პერიოდის სასაფლაო, რომლის ქვებიც გაფორმებულია ოსმალური დეკორაციული მოტივებით.

ფოტო 1. ქალაქის ძველი ჯამე

ფოტო 2. ჯამეს ინტერიერი

ფოტო 3. ძველი სასაფლაო, საფლავის ქვები

დუდუნა, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი დუდუნა, თანამედროვე ბალიკჩილარი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Balıkçılar, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, 1.4 კილომეტრზე, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, შემაღლებული ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით (41°09'06.03"N; 42°51'15.23"E). აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს, ფრაგმენტულად, დარჩენილია მოზრდილი ქვით ნაშენი კედლის პირველი წყობების ნაწილები. ძეგლის დანარჩენი ნაშთები ჩაშლილია და წარმოდგენილია ქვაყრილის სახით. შიდა პერიმეტრზე განირჩევა მცირე ზომის ნაგებობების კვალი, რომელთა გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება. სამშენებლოდ გამოყენებულია, ასევე საშუალო ზომის, დაუმუშავებელი ქვა. მოსახლეობა ამ ადგილს ,,საქორას'' უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი დუდუნა

ფოტო 2. ნაგებობის კედლების შემორჩენილი წყობა

ფოტო 3. ნაგებობის კედლის წყობის ფრაგმენტი

ფოტო 4. შიდა ნაგებობის ფრაგმენტები

ერემა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ერემა, თანამედროვე ერიმი ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Erim, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ცენტრში, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობდა ლიტერატურაში ცნობილი ერემას ტაძარი (41°35'24.25"N; 42°44'16.97"E), რომლისგანაც დარჩენილია დუღაბიანი ქვის რამდენიმე ფრაგმენტი. მოსახლეობა ამ ადგილას ადასტურებს ნაგებობის არსებობას.

ფოტო 1. ეკლესიის ადგილი

ფოტო 2. ეკლესიის კედლების დუღაბიანი ფრაგმენტები

ერემა, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელი ერემა, თანამედროვე ერიმი ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Erim, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, 0.5 კილომეტრზე, კლდოვან ბორცვზე, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზოლთან, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი ერემას ციხე (41°35'24.91"N; 42°44'42.38"E), რომლისგანაც დარჩენილია სამხრეთი კედელი გოდლით (კედლის დაახლოებითი ზომა: სიგრძე 27 მ, სიმაღლე 13 მ. გოდლის სიმაღლე 6 მ) და აღმოსავლეთით ციხის კარიბჭე (მიახლოებითი ზომები: ყველაზე უკეთ დარჩენილი კედლის სიმაღლე: 4.5 მ, კარიბჭის ჭრილის სიმაღლე 2 მ, სიგანე 1.6 მ), რომელსაც ორივე მხარეს გოდლები აქვს. ძეგლის დანარჩენი კედლები განადგურებულია და ალაგ-ალაგ ფრაგმენტულადაა დარჩენილი, საფუძვლამდე დანგრეული, კედლების ნაწილები (ციხის მიახლოვებითი განფენილობა: 25×18). ადგილობრივი მოსახლეობა ციხეს ,,კიზ კალეს'' (გოგოს ციხეს) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი ერემა

ფოტო 2. ციხის გენერალური ხედი

ფოტო 3, 4, ციხის სამხრეთით დარჩენილი კედლები

ფოტო 5. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე

ფოტო 6. აღმოსავლეთით დარჩენილი კარიბჭე

ერუშეთი (სოფ.), მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ერუშეთი, თანამედროვე ოღუზიოლუ, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Oğuzyolu, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2.3 კილომეტრზე, შემაღლებული ბორცვის ბრტყელ თხემზე, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°16'18.81"N; 42°58'59.20"E), რომლის თავდაპირველი გეგმის აღდგენაც ვერ ხერხდება, რადგან მესაქონლეების მიერ ნაგებობის ქვები გამოყენებულია ამავე ტერიტორიაზე საქონელთა შესარეკი შენობებისთვის. ნაშთის შიდა პერიმეტრზე, ალაგ-ალაგ, იკითხება ძველი ქვის სათავსთა წყობა, რომელთა გეგმის აღდგენაც ვერ ხერხდება.



ფოტო 1. სოფელი ერუშეთი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის ქვებით აშენებული ახალი კედლები

ფოტო 5. ნაგებობის კედლების წყობის ფრაგმენტი

ფოტო 6. შიდა, ერთ-ერთი სათავსის მცირე წყობა

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ერუშეთის საეპისკოპოსო ტაძრის ქვები გამოუყენებიათ ქალაქ დამალის ჟანდარმერიის მშენებლობისთვის (ტაძრის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია მკვლევართა მიერ არაერთგზის).

ვარხანა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ვარხანა, თანამედროვე ულუჩამი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Uluçam, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივ მოსახლეობას არ ახსოვს ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი, თუმცა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ადასტურებენ ადგილს (41°27'59.88"N; 42°40'23.81"E), რომელსაც ,,ქილისე ბაში'' (ეკლესიის თავი) ჰქვია.

ფოტო 1. სოფელი ვარხანა

ვაშლობი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ვაშლობი, თანამედროვე ოვუნდუ, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Övündü, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, 0.7 კილომეტრზე, თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლში, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს არსებულ კლდეთა სისტემაში, კლდეში ნაკვეთი მონასტერია (41°16'29.24"N; 43°10'01.59"E). ძეგლი მცირე ხევის მარცხენა მხარეს, ფერდობზე მდებარეობს, რომლის კლდეში ნაკვეთი სამხრეთი კედელიც ჩამოქცეულია – შემორჩენილია ჩრდილოეთი მონაკვეთი, მისი კლდეში შეკვეთილი მხარე დასავლეთით, ხოლო აღმოსავლეთით, საკურთხევლის ნაწილი. ეკლესიის ჩრდილოეთ კედელი შეჭრილია კლდეში, მის ზევით კლდე წამოწეულია და გადახურვის იმიტაციას ქმნის. დარჩენილია საკურთხევლის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. როგორც ჩანს საკურთხეველი შეისრულთაღიანი უნდა ყოფილიყო. ტაძარში ხუთი, მარტივი პროფილირების მქონე, ჯვარია ამოკაწრული. ეკლესიის თავზე მცირე ზომის სივრცეა (1 მ სიღრმის) სამხრეთით გაჭრილი ერთი სარკმელით. შელესილობის კვალი არ ჩანს (ზომები: ეკლესიის სიგრძე საკურთხევლამდე 7.6 მ, საკურთხევლის სიღრმე 4 მ, დასავლეთ კედლის სიგანე 3.5 მ, სიმაღლე 2.4 – 2.8 მ).

ეკლესიის აღმოსავლეთით, კლდეში, ორი მღვიმეა, ხოლო მის დასავლეთით, 0.9 კილომეტრზე, კლდეში გამოკვეთილი მღვიმეების ორი სართულია (41°16'29.55"N; 43°09'57.62"E). პირველი სართულის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია და კლდეზე დარჩენილია ორი ნიშა. მეორე სართულზე ფანჯრის ღიობია, საიდანაც შესაძლებელია შესვლა – შიგნით ბუნებრივი მღვიმეა. მტკვრის ხეობის ორივე მხარეს, კლდეებში, მრავლადაა ბუნებრივ თუ ხელოვნურ მღვიმეთა კომპლექსები.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ქართულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. კლდეში ნაკვეთი მონასტერი, ზოგადი ხედი

ფოტო 2. ეკლესია, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

ფოტო 3, ეკლესია, სამხრეთ-დასავლეთიდან

ფოტო 4. ეკლესია, საკურთხეველი

ფოტო 5. ეკლესიის ზედა სართული, სარკმელი

ფოტო 6. საკურთხეველზე ნაკაწრი ჯვრები

ფოტო 7, 8. მონასტერთან მდებარე მღვიმეთთა ერთობლიობა

ვაშლობი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი სოფლის სამხრეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ვაშლობი, თანამედროვე ოვუნდუ, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Övündü, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, 0.4 კილომეტრზე, თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლში, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს არსებულ კლდეთა სისტემაში, კლდეში ნაკვეთი მონასტერია (41°16'20.08"N; 43°09'36.26"E), რომელიც შედგება ეკლესიისა და მღვიმეებისგან.

ტაძარი ცალკე მდგომ კლდეშია ნაკვეთი და თითქმის მთელს კლდეს მოიცავს - მისი სიგრძე 10 მეტრამდე აღწევს. შესასვლელი დასავლეთითაა გაჭრილი. ტაძრის ცენტრში კლდეში გამოკვეთილი თაღია გადაყვანილი, რაც, ერთგავარად, ორ სივრცედ ჰყოფს ინტერიერს, საიდანაც დასავლეთი სივრცე შედარებით პატარა ზომისაა (სიგრძე 3.25 მ; სიგანე 2.8 მ; სიმაღლე 2 მ). სამხრეთ-დასავლეთით შეჭრილია მონაკვეთი, სადაც მცირე, ოთხკუთხა, შელესილი სათავსია ჩაჭრილი ქვევით. ადგილობრივი გამყოლის ინფორმაციით ეს სივრცე გამიჯნული ყოფილა კედლით, რომელიც ახლა მონგრეულია. სავარაუდოდ აქ სანათლავი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. დასავლეთით თაღოვანი ნიშია გაჭრილი, საიდანაც ჩაჭრილია ღარი და ზემოთ აღწერილ სივრცეს უერთდება. სამხრეთით ერთი თაღოვანი სარკმელია.

აღმოსავლეთით საკურთხეველია, რომლის თაღიც ირეგულარულია - ჩრდილოეთის მხრიდან მრუდედ უერთდება სამხრეთის კედელს. საკურთხევლის ცენტრში, მის შემაღლებულ ნაწილზე, კედელზე მიბჯენილი ტრაპეზია გამოკვეთილი. სამხრეთით ერთი ღრმა სარკმელია, რომელიც ტრაპეზს ანათებს. ჩრდილოეთით გაჭრილია ღიობი, რომელიც უკავშირდება მთავარი საკურთხევლის პარალელურ, მომცრო სამლოცველოს (სიგრძე 2.7 მ, სიგანე 2.25 მ, სიმაღლე 2.1 მ, საკურთხევლის სიგანე 1.55 მ). აღმოსავლეთით, საკურთხეველში, ასევე გამოკვეთილია ტრაპეზი (სიმაღლე 1.1 მ, სიგანე 0.45 მ), ხოლო მასთან დამაკავშირებელი კარის აღმოსავლეთით მცირე, სარკმლისებური, ღიობია.

მთავარი სივრცის სამხრეთით კარის ღიობია (1.6×0.8 მ), რომელიც ჩრდილოეთის სამლოცველოში გამავალი კარის მოპირდაპირედაა გაჭრილი. მის აღმოსავლეთით ერთი სარკმელია. ტაძრის კედლებში გამოკვეთილია მცირე ზომის ვერტიკალური, თაღოვანი, ჭრილები, რომელთა ზუსტი ფუნქციაც დაუდგენელია.

ნაგებობის ცენტრალური თაღის დასავლეთით ასომთავრული წარწერაა, რომელიც განგებაა დაზიანებული – დარჩენილია ძლიერ შელახული რამდენიმე გრაფემა. ადგილობრივი გამყოლის ინფორმაციით მას ბავშვობაში ახსოვს წარწერა დაუზიანებელი სახით. (გამყოლი დაახლოებით 40 წლისაა). ტაძრის კედლები შემჭვარტლულია - ჩანს, მას მწყემსები თავშესაფრად იყენებდნენ და ცეცხლსაც ანთებდნენ.

ფოტო 1, 2. სოფელი ვაშლობი

ფოტო 3. კლდეში ნაკვეთი ეკლესია, ექსტერიერი

ფოტო 4. კლდეში ნაკვეთი ეკლესია

ფოტო 5. ეკლესიის ინტერიერი, დას.-დან აღმ.-ით.

ფოტო 6. ეკლესიის საკურთხეველი

ფოტო 7. საკურთხეველი, ტრაპეზის ქვა და სარკმელი სამხ.-ით

ფოტო 8. ინტერიერი, დას.-სკენ

ფოტო 9. მცირე სამლოცველო და ტრაპეზის ქვა

ფოტო 10, 11. ეკლესიის თაღი და მასზე არსებული, დაზიანებული ქართული წარწერა

ტაძრის აღმოსავლეთით, 0.1 კილომეტრზე, იმავე კლდეთა სისტემაში გამოკვეთილია სივრცეები, რომლებიც, სავარაუდოდ მონასტრის სენაკები უნდა იყოს (41°16'21.11"N; 43°09'40.35"E). მათი სამხრეთი მხარე, საიდანაც მღვიმეებთანაა მისადგომი, ჩამოქცეულია. პირველი სივრცე შიგნით გამიჯნულია ორად, დასავლეთით თაღოვანი, ხოლო აღმოსავლეთით ოთხკუთხა ფორმის თაღით გამიჯნული მღვიმეებია (შესასვლელის სიგანე 3.6 მ, სიღრმე 2.6 მ, პირველი ოთახის სიგანე 1.95 მ, სიღრმე 1.2 მ, მეორე ოთახის სიგანე 2.2 მ, სიღრმე 2.8 მ, სიმაღლე 2 მ). მის თავზე, დასავლეთით, მარტივი ფორმის მღვიმეა და როგორც ჩანს, მისი წინა მხარე ჩამოქცეულია. პირველი მღვიმის აღმოსავლეთით ორი, ერთმანეთისგან ბუნებრივი კლდით გამიჯნული, სივრცეა (შესასვლელის სიგანე 3.35 მ, პირველი სივრცის სიგანე 2.05 მ, სიღრმე 4 მ, მეორე ოთახის სიგანე 1.85 მ, სიღრმე 3.8 მ, სიმაღლე 1.9 მ), საიდანაც ზედა სართულზე ადის დაახლოებით 10 მეტრი სიმაღლის გვირაბი, კლდეში გამოკვეთილი კიბის საფეხურებით. გვირაბი უკავშირდება მეორე და მესამე სართულებზე არსებულ სივრცეებს. მეორე სართული განკუთვნილია კიბის მესამე სართულთან დასაკავშირებლად და მცირე ფართობს იკავებს. ორივე სართულს თითო, სარკმლის მაგვარი, ჭრილი აქვთ სამხრეთით. მესამე სართულის ძირითადი სივრცე წაგრძელებუალია (დაახლოებით 15 მ), ხოლო მის ცენტრში ამოდის

გვირაბი. მას აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან თითო და ჩრდილოეთიდან სამი მცირე სივრცე აკრავს. სამხრეთით, სარკმლის აღმოსავლეთ კიდეზე, მარტივი პროფილირების ჯვარია ამოკვეთილი. აღმოსავლეთით, კიდევ ერთი მღვიმის სამკუთხა ფორმის ღიობია, რომელიც, დანარჩენებთან შედარებით, მცირე სივრცეს უკავშირდება (ღიობის ზომები: 1.6×0.8 მ; შიდა სივრცის ზომა 3×2.6 მ). აღნიშნული მღვიმეები მონასტრის ბერთა სამყოფები უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, მონასტერი დაკავშირებული უნდა იყოს ლიტერატურაში ცნობილ ვაშლობის ეკლესიასთან, რომელიც ამავე ხეობაში, მონასტრიდან სამხრეთით, 140 მეტრში მდებარეობს (41°16'15.50"N; 43°9'35.38"E).

მონასტრის ეკლესია დაფიქსირებული და აზომილი აქვს თურქ მკვლევარს ჰამზა გუნდოღდუს 2000 წელს, თუმცა ის მხოლოდ მღვიმეების სახელით მოიხსენიებს მას.

მონასტერი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2, 3, 4, 5, 6. მონასტერთან მდებარე მღვიმეები

ვაშლობი, მღვიმე-გვირაბი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ვაშლობი, თანამედროვე ოვუნდუ, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Övündü, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, 0.3 კილომეტრზე, თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლში, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს არსებულ კლდეთა სისტემაში, მაღალი კლდის ფერდის დაბოლოებასთან,

კლდეში ნაკვეთი მღვიმე-გვირაბია (41°16'33.37"N; 43°09'48.07"E). კლდეში შეჭრილია დაახლოებით 15 მეტრი სიგრძის გვირაბი, რომელიც ქვევიდან ზევით მიემართება. გვირაბის სიმაღლე 1.5 მეტრია – სიგანე 2 მეტრამდეა. გვირაბის ორივე მხარეს შეჭრილია თაღოვანი, მცირე მოცულობის სივრცეები (6 ასეთი სივრცეა). გვირაბის აღმართის ბოლოს მონაკვეთი ფართოვდება და აქ მისი სიმაღლე 4 მეტრია. ამ ადგილას, ქვევით, ჩაჭრილია დაახლოებით 3 მეტრის სიღრმის ვიწრო გვირაბი, რომელიც უკავშირდება ანალოგიურ ორ გვირაბს, თუმცა მათი სიგრძე გაცილებით მეტია. გვირაბის ზუსტი ფუნქცია უცნობია, შესაძლოა ის წარმოადგენდა ამ არეალში არსებული ვაშლობის მონასტრის და მასთან დაკავშირებული სხვა ეკლესიების სამალავსა და განძთსაცავს.

მღვიმე-გვირაბი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ვერანა, ეკლესიები

ისტორიული ერუშეთის სოფელი ვერანა, თანამედროვე ჩავდარლი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çavdarlı, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა არ ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილი ტაძრების არსებობას.

ქართველი მკვლევარი კონსტანტინე ოდიშარია 1917 წლის მოგზაურობისას ასახელებს სოფელ ვერანა-ნაქალაქევს, რომელიც არის ისტორიული სოფელი ვერანა. მის გარშემო აფიქსირებს 4 ტაძარს - სოფლის შემოგარენში კი 10-მდე ნასოფლარს და 13 ტაძარს.

2014 წელს სოფელ ვერანას შემოგარენში ჩვენმა ექსპედიციამ დააფიქსირა რამდენიმე ტაძრის ნაშთი, რომელიც შესაძლებელია ზემოთ ხსენებული ტაძრებიდან რომელიმე ყოფილიყო.

ზანაზგომი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ზანაზგომი, თანამედროვე კირაჩი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kıraç, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში მდგარა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°08'12.70"N; 42°35'02.80"E), რომლის არტეფაქტები ამჟამად შემორჩენილი აღარაა. ადგილობრივ მოსახლეობას დაახლოებით 60 წლის წინ

ახსოვს ნაგებობის კედლები და უთითებენ მისი მდებარეობის ადგილს. მათივე ინფორმაციით ეკლესიის ქვები იქვე მდებარე სოფლის სასაფლაოს ყორეს მშენებლობაში გამოუყენებიათ.

ფოტო 1. სოფელი ზანაზგომი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ზაქი, ეკლესია

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ზაქი, თანამედროვე დირსეკკაია, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Dirsekkaya, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა გადმოცემით ადასტურებს ტაძრის არსებობას და მიუთითებს მდებარეობის არეალს (41°16'31.30"N; 43°03'10.36"E), თუმცა შემორჩენილი არტეფაქტები არ ფიქსირდება.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ზაქი

ფოტო 2. საცხოვრებელი სახლები ეკლესიის ადგილას

ზაქი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ზაქი, თანამედროვე დირსეკკაია, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Dirsekkaya, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ხევის მარცხენა მხარეს, შემაღლებული ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები ძეგლი ფიქსირდება (41°17'04.51"N; 43°02'35.42"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული - მისი კედლები სრულადაა ჩაშლილი და ალაგ-ალაგ ქვაყრილის სახითაა დარჩენილი. თხემის კიდეების გასწვრივ იკითხება წრიული ფორმის ნაგებობის კედლის კონტური, რომლის სისქეც 1.5 მეტრამდე აღწევს. განირჩევა შიდა ნაგებობების კვალი და ერთმანეთზე მიბჯენილი ნაგებობების ნაშთები მის გარე პერიმეტრზე. როგორც ჩანს, ნაგებობას რამდენიმე კედელი შემოსდევდა - ბორცვის თხემზე განირჩევა მათი, ძლიერ დაზიანებული, წყობების კვალი.



ზემო ვახლა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ვახლა, თანამედროვე ბაიკენტი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Baykent, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, აღმოსავლეთით, შემაღლებულ კონცხზე, ტაძარი მდგარა (41°25'19.26"N; 42°38'29.98"E), რომელიც ამჟამად განადგურებულია, ხოლო მისგან დარჩენილია შენობის დუღაბის ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ამ ადგილას ეკლესიის არსებობას.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ვახლა ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ფოტო 3. ეკლესიის კედლების დუღაბის ფრაგმენტები ფოტო 4. მონიშნულია ეკლესიის ადგილი

ზემო ტიკანი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ზემო ტიკანი, თანამედროვე ბაშტოკლუ, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Baştoklu, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°13'06.72"N; 42°47'40.38"E), რომლისგანაც დარჩენილია მისი ჩრდილო-დასავლეთი კედლის 2 მეტრამდე სიმაღლის კედელი, რომელიც ჩართულია ადგილობრივი მოსახლის სამეურნეო ნაგებობაში (შენობა №22). ნაგებობის დარჩენილ კედელს გარე მოპირკეთების ქვები შემოცლილი აქვს. ტაძარი ჩვენივე ექსპედიციის მიერ მონახულებულია 2014 წელს.

ფოტო 1. ნაგებობა ეკლესიის ადგილას

ფოტო 2. ნაგებობაში ჩართული ეკლესიის

დუღაბიანი კედელი

ლიტერატურაში [10], [13] დაფიქსირებულია ზემო ტიკანთან მდებარე ობიექტი კოორდინატებით (41°13'38.71"N; 42°47'44.88"E), სახელწოდებით „ზემო ტიკანი ციხე“.

საექსპედიციო სამუშაოების შესრულებისას მინიშნებულ ადგილზე ძეგლი არ დაფიქსირდა.

ზემო ტიკანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული არტანის სოფელი ზემო ტიკანი, თანამედროვე ბაშთოკლუ, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Baştoklu, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, სათიბებში, ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°13'38.40"N; 42°47'45.68"E). როგორც ჩანს, ნაგებობა წრიულად შემოუყვებოდა ბორცვის თხემის კიდეებს, ამჟამად დარჩენილია ქვაყრილი, მომცრო, ნატეხი, ქვების სახით. მხოლოდ აღმოსავლეთით დარჩენილია ქვების მცირე წყობა. შიდა პერიმეტრზე განირჩევა მცირე ზომის წრიული ნაგებობები, რომლებიც ძლიერაა დაზიანებული. ნაგებობის გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „კალეჯიკს“ (მცირე ციხეს) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი ზემო ტიკანი

ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3. ქვაყრილის სახით დარჩენილი კედლები

ფოტო 4. შიდა ნაგებობის ნაშთი

ზემო ტიკანი, სოფელში დაფიქსირებული ჯვრის კვარცხლბეკი

ისტორიული არტანის სოფელი ზემო ტიკანი, თანამედროვე ბაშტოკლუ, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Baştoklu, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ადგილობრივი მცხოვრების სახლში, (სოფლის შესასვლელში, პირველი სახლი) ინახება მოვარდისფრო ქვა ჯვრის გამოსახულებით (41°13'03.57"N; 42°47'44.61"E), რომელიც ჯვრის კვარცხლბეკი უნდა იყოს (ქვის მიახლოებითი ზომებია: 0.5×0.5). ქვა გატეხილია, თუმცა მისი შუაგული განგებაა ჩაჭრილი, რომლისგანაც დარჩენილია ოთხკუთხა ჩაღრმავების ერთი კუთხე, სავარაუდოდ ჯვრის ჩასასმელად ამოჭრილი. ქვის ზედაპირზე, კიდეებში, შემოსდევს გრეხილი ორნამენტი. ერთ-ერთ მხარეს, ორმაგ წრეში, რომლის შიდა წრე ასევე გრეხილორნამენტიანია, ჩახატულია ე.წ. „ბოლნური“ ჯვარი, რომელსაც, თითქოს საკიდი აქვს, რითიც ის მედალიონს მოგვაგონებს.

არტეფაქტი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ქვა ჯვრის გამოსახულებით

ზემო წურმანი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი ზემო წურმანი, თანამედროვე იუკარი აიდერე, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yukarı aydere, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილი ტაძრის არსებობას და მიუთითებს მის ადგილს (41°21'26.46"N; 42°42'29.39"E). მათივე თქმით, დაახლოებით 25 წლის წინ, აქ იყო ნაგებობის ნაშთი, რომლის არტეფაქტებიც ამჟამად შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი ზემო წურმანი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ზემო წურმანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ზემო წურმანი, თანამედროვე იუკარი აიდერე, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yukarı aydere, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, მდინარის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°21'36.00"N; 42°43'01.84"E), რომელიც დარჩენილია ქვაყრილის სახით - კედლის წყობები არ იკითხება.

ფოტო 1. სოფელი ზემო წურმანი



ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

თათალეთი, სოფელში დაფიქსირებული ორნამენტიანი და სომხურწარწერიანი ქვები

ისტორიული ჯავახეთის სოფელი თათალეთი, თანამედროვე ბალთალი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Baltalı, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, სამეურნეო ნაგებობაში ჩატანებულია ორნამენტიანი ქვა, რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ეკუთვნის ლიტერატურაში კარგად ცნობილი თათალეთის ეკლესიას (41°19'58.09"N; 43°07'08.32"E). ქვა მდებარეობს ეკლესიის სიახლოვეს, მისგან დასავლეთით.

ამავე სოფელში, ლიტერატურაში ფიქსირდება ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლის კედელში ჩატანებული ქვა, მასზე ამოკვეთილი ჯვრით. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ქვა ადგილზე აღარაა და განადგურებულია. სავარაუდოდ, ქვა ამავე ტაძარს ეკუთვნოდა.

ფოტო 1, 2. თათალეთის ეკლესია და ორნამენტიანი ქვა

სოფელში, ძველი სახლის ბუხრის თავის ქვაზე, სომხური წარწერაა (41°20'00.94"N; 43°07'03.93"E), რომელიც ქვის კიდეს შემოსდევს. მასზე ასევე ყვავილოვანი ორნამენტია.

თეთრციხე, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული პალაკაციოს სოფელი თეთრციხე, თანამედროვე აკჩაკალე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Akçakale, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, ბორცვის ფერდზე, მცირე ხევზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი, 190 მეტრი სიგრძის, მოზრდილი ქვით ნაშენი, ნაგებობის კედელი (41°06'00.39"N; 43°17'20.72"E), რომელიც საძირკვლის დონემდეა დანგრეული - განირჩევა კედლის პირველი წყობა, რომლის სისქეც 2.5 მეტრია. კედელი ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე ეშვება. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით აქ წყლის შემკრები ნაგებობა ყოფილა, რომელიც წისქვილებისთვის გამოიყენებოდა. მოსახლეობა მას „დარბოღაზს“ (ვიწრო ყელს) უწოდებს.

ფოტო 1, 2, 3, 4. ნაგებობიდან დარჩენილი კედელი

თეთრციხე, მშრალი წყობის მეგალითური ნაგებობები და დარანები

ისტორიული პალაკაციოს სოფელი თეთრციხე, თანამედროვე აკჩაკალე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Akçakale, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, ჩრდილის ტბაში შეჭრილ კუნძულზე, ტბის პირას, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მასიური ქვებით ნაგები წრიული ნაგებობები (41°04'44.90"N; 43°17'28.82"E) და დარანები. მასიური ქვის ნაგებობები სხვადასხვა ზომისაა, (მიახლოებითი ზომები 2 მათგანისა: 12×5; 6×3.5) და ძირითადად წრიული ფორმა აქვთ. დარჩენილია 5-ზე მეტი ასეთი ნაგებობა. მკვლევართა ნაწილი მათ კრომლეხებად მიიჩნევს, ნაწილი კი – მენჰირებად და ყორღანებად. ამ ტერიტორიაზე განირჩევა ნასახლარების კვალი.

ამავე ტერიტორიაზე, ტბის პირას დარჩენილია დარანები, მათი უმრავლესობა ჩაშლილია, ამის გამო მათი რაოდენობის განსაზღვრა რთულია. კარგადაა დარჩენილი ერთ-ერთი მათგანი (41°04'43.67"N; 43°17'30.44"E), სავარაუდოდ დანარჩენი ნაგებობებიც მსგავსი იქნებოდა. ნაგებობას ვიწრო შესასვლელის ორივე გვერდზე ქვის კედლებია, შესასვლელის თავზე მეგალითური ქვაა. დარანს წრიული ფორმა აქვს, საიდანაც ასევე ქვის გვირაბი გადიოდა და უკავშირდებოდა ანალოგიურ ნაგებობას. ცენტრში ვერტიკალური, მზიდი ქვაა შედგმული, რომელსაც ეყრდნობა, ასევე, ქვის გადახურვა, გამოყენებულია ბრტყელი, მასიური ქვები (ნაგებობის ზომები: 6×3.4).

ფოტო 1. მიწისქვეშა ნაგებობის შესასვლელი

ფოტო 2. ინტერიერი

ფოტო 3. ქვის გადახურვის დეტალი

ფოტო 4. ირგვლივ, მსგავსი ნაგებობების კვალი

ლიტერატურაში იხსენიება თეთრციხის მცირე ზომის კუნძული, რომელსაც „რუსების კუნძულს“ უწოდებენ, სადაც დარჩენილია სრულიად დანგრეული ქვის ნაგებობების ნაშთები (41°04'37.66"N; 43°17'01.61"E).

იენიქოი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული არტანის სოფელი იენიქოი, თანამედროვე ტეპელერი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Tepeler, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli). (იენიქოი დღეს ნასოფლარია და მდებარეობს კომკის ტერიტორიაზე).

სოფლის სამხრეთ ნაწილში, შემაღლებული ბორცვის თხემზე, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°03'03.45"N; 42°33'40.86"E), რომლის ძირითადი კონსტრუქცია ჩაშლილია და ნაგებობის დიდი ნაწილი დარჩენილია ქვაყრილის სახით. სამხრეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს, ალაგ-ალაგ განირჩევა კედლის მცირე წყობები. გამოყენებული ყოფილა საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვა.

ფოტო 1. ნასოფლარი იენიქო და ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. ნაგებობის შემორჩენილი კედელი

იუკარი გუნდეში, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის თანამედროვე სოფელი იუკარი გუნდეში, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yukarı Gündeş, Damal İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, შემაღლებულ ადგილას, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი დარბაზული ტაძარი (41°22'35.63"N; 42°49'10.23"E) (მიახლოებითი ზომებია: 9.5×6). ნაგებობიდან დარჩენილია ჩრდილოეთი (სიმაღლე 1.1 მ, სიგრძე 6.5 მ) და დასავლეთი კედელი (სიმაღლე 2.3 მ, სიგრძე 4 მ). აგრეთვე ვხვდებით აღმოსავლეთი კედლის, საკურთხევლის ნაწილის, მომრგვალების ჩრდილოეთი მხარე. სამხრეთი კედელი დაფარულია მიწით – ჩანს კედლის ფრაგმენტი. დასავლეთ კედელზე მიდგმულია ქვის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა. ტაძარი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით.

ფოტო 1. სოფელი იუკარი გუნდეში

ფოტო 2. ეკლესიის შემორჩენილი კედლები

ფოტო 3. ეკლესიის ჩრდ.-დას. მხარე

ფოტო 4. ეკლესიის დასავლეთ კედლის ინტერიერი

კალებოღაზი, კლდეში ნაკვეთი ეკლესია სოფლის დასავლეთით

ისტორიული იმიერ ტაოს თანამედროვე სოფელი კალებოღაზი, ოლთუს (ოლთისის) რაიონი, ერზურუმის (ერზრუმის) პროვინცია (Kaleboğazı, Oltu İlçesi, Erzurum İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე, კლდოვან ხეობაში, ხევის მარჯვენა მხარეს, შემორჩენილია კლდეში ნაკვეთი ეკლესია (ძეგლის მიახლოებითი ზომებია: 8.5×5მ) (40°31'18.62"N; 41°53'02.38"E).

ძეგლის სამხრეთ და დასავლეთ კედლების უდიდესი ნაწილი ჩაშლილია. სავარაუდოდ ტაძარში შესასვლელი სწორედ სამხრეთი მხრიდან იქნებოდა. დასავლეთით დარჩენილია ასევე კლდეში გაჭრილი მცირე სათავსი. ნაგებობის ჩრდილოეთ ნაწილში გამოყვანილია კლდეში ნაკვეთ კაპიტელს დაყრდნობილი დეკორაციული თაღედი (ორი თაღი), კლდეშივე გამოკვეთილი პილასტრებით - თაღები საგანგებოდაა მოჩარჩოებული. სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე გრძელდება ასეთივე თაღედები, თუმცა მათი დიდი ნაწილი ჩამოშლილია და მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. აღმოსავლეთით კარგადაა დარჩენილი კონქი, რომლის ორმაგი თაღი ეყრდნობა ასევე კლდეში ნაკვეთ კაპიტელს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს წყვილი პილასტრის დაბოლოებას. კარგადაა შემორჩენილი საკურთხევლის ამაღლებული ამბიონი. საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელში მოზრდილი, ვერტიკალური, ნიშია გაჭრილი (შესაძლოა სამკვეთლოს იმიტაცია იყოს). საკურთხევლის კონქი მოხატული ყოფილა, თუმცა ძლიერაა დაზიანებული და ფერთა პიგმენტები შემორჩენილია ფრაგმენტულად. მხატვრობის კვალი უკეთაა დარჩენილი საკურთხევლის სამხრეთით, ორმაგ თაღზე. გარე თაღზე ორნამენტია, სადაც მუქი წითელი პიგმენტი ჭარბობს. შიდა თაღზე შავი ფერის საღებავის მხოლოდ ფრაგმენტები ჩანს, რომელიც წარწერის ნაწილია, იკითხება „[...]ა მათ“. წარწერა წინასწარულად თარიღდება დაახლოებით XIV-XV საუკუნეებით (არ გამოირიცხება ცოტა უფრო ადრეული ან გვიანდელი პერიოდიც) წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემო ჯოჯუას მიერ.

კლდეში ნაკვეთი ტაძარი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. ძეგლის მდებარეობა

3, 4. კლდეში ნაკვეთი ეკლესია, ინტერიერი, ჩრდ. თაღედი და აღმ.-ი, საკურთხეველი

ფოტო 5. კლდეში ნაკვეთი ეკლესია, ჩრდ.-ეთი თაღედი

4, 5. კლდეში ნაკვეთი ეკლესია, ინტერიერი, ჩრდ. თაღედი და აღმ.-ი, საკურთხეველი

ფოტო 6. ეკლესიის სამხრეთ-აღმ. პილასტრები

ფოტო 7. მხატვრობის და წარწერის ფრაგმენტი

ფოტო 8. მხატვრობის უკეთ შემორჩ. კვალი

ფოტო 9. აფსიდი, მოხატულობის პიგმენტები

კამაროვანი, ეკლესია

ისტორიული პალაკაციოს სოფელი კამაროვანი, თანამედროვე ჩანაკსუ, არპაჩაის რაიონი, ყარსის პროვინცია (Çanaksu, Arpaçay İlçesi, Kars İli).

სოფელში, ლიტერატურაში ცნობილი, ტაძარი ამჟამად შემორჩენილი არაა და ის არც მოსახლეობას ახსოვს.

ფოტო 1. სოფელი კამაროვანი

კოდისწყარო, ეკლესია (?)

ისტორიული არტანის სოფელი კოდისწყარო, თანამედროვე აკიაკა, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Akyaka, Ardahan Mekez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ტაძრის (?) ნაშთები (41°04'54.50"N; 42°34'01.43"E). ნაგებობა განადგურებულია და ადგილზე ყრია დუღაბის მცირე ნაფხვენები. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ამ ადგილას ტაძარი მდგარა, რომელიც დაახლოებით 40 წლის წინ დაუნგრევიათ და მისი ქვები სოფელში, მშენებლობაში გამოუყენებიათ. ადგილზე დარჩენილი არტეფაქტების მიხედვით დანამდვილებით არ შეგვიძლია ნაგებობა ტაძრად მივიჩნიოთ. მოსახლეობა ამ ადგილს „აპოკაიას“ (აპოს კლდეს) უწოდებს. ძეგლი ლიტერატურაში მოხსენიებული ციხე-ნამოსახლარად.

ფოტო 1. სოფელი კოდისწყარო



ფოტო 2. ეკლესიის (?) ადგილი

ფოტო 3. ეკლესიის (?) დუღაბის მცირე ფრაგმენტები

კოდისწყარო, ეკლესია ჯამეს ადგილას

ისტორიული არტანის სოფელი კოდისწყარო, თანამედროვე აკიაკა, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Akyaka, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ამჟამინდელი ჯამეს ადგილას, (41°05'06.31"N; 42°34'41.07"E) ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას, რომელიც დაახლოებით 80 წლის წინ დაუნგრევიათ. ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი კოდისწყარო

ფოტო 2. ჯამე ეკლესიის ადგილას

კოლისწყალი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი კოლისწყალი, თანამედროვე გურარმუტი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gürarmut, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, ნასახლარზე, ადგილობრივმა მოსახლეობამ გადმოცემით იცის ტაძრის არსებობა (41°30'40.94"N; 42°39'26.27"E). ასევე ადასტურებენ, რომ აქ ადამიანის ძვლები უნახავთ. ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. მოსახლეობა ამ ადგილს „კაბაურს“ ეძახის – აქვე ფიქსირდება ადგილის სახელწოდება „ვერანა“.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი კოლისწყალი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილის არეალი

კომკი, ეკლესია (ერუშეთი)

ისტორიული ერუშეთის სოფელი კომკი, თანამედროვე არიკონაკი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Arıkonak, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ჯამეს ადგილას, ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი მდგარა (41°14'13.60"N; 42°57'14.34"E). ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს ადგილს.

ფოტო 1. სოფელი კომკი

ფოტო 2. ჯამე ეკლესიის ადგილას

კომკი, მშრალი წყობის ნაგებობა (ერუშეთი)

ისტორიული ერუშეთის სოფელი კომკი, თანამედროვე არიკონაკი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Arıkonak, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, შემაღლებულ ბორცვზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები ძეგლის ნაშთები შემორჩენილი არ არის, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს აქ მშრალი წყობით ნაშენ ნაგებობას (41°14'11.44"N; 42°57'18.14"E), რომელიც დაახლოებით 2007 წელს დაშალეს და მისი ქვები სოფელში მშენებლობებში გამოიყენეს.

ფოტო 1. სოფელი კომკი

ფოტო 2. ნაგებობის ადგილი

კომკი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავლეთით (არტანი)

ისტორიული არტანის სოფელი კომკი, თანამედროვე ტეპელერი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Tepeler, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, მთის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მასშტაბური, მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი, მეგალითური ნაგებობის ელემენტებით (41°03'41.21"N; 42°33'36.44"E). შენობა ძლიერაა დაზიანებული, თუმცა 1.5 მეტრამდე სიმაღლის დიდი ქვით ნაშენი კედლის წყობები დარჩენილია მის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. კედლები, როგორც ჩანს ორ იარუსად გასდევდა ნაგებობას – ალაგ-ალაგ იკითხება კედლის წყობების კვალი. კედლების სიგანე 2.5 მეტრს აღწევს. ნაგებია დიდი ქვებით და მის შიდა სივრცეში ჩანს საძირკვლის დონემდე დანგრეული შიდა ნაგებობების კვალი.

ფოტო 1. სოფელი კომკი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3. ნაგებობის შემორცენილი კედლების ქვაყრილი

ფოტო 4. შემორჩენილი კედლის წყობა

ფოტო 5,6. ნაგებობის კედლის ფრაგმენტები

კორა, ეკლესია და საფლავის ქვა

ისტორიული ფოსოს სოფელი კორა, თანამედროვე ბაირამოღლუ, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Bayramoğlu, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლის ეზოში, ინახება 1.8 მეტრის სიგრძის, მოწითალო ქვისგან გათლილი საფლავის ქვის თავი, სარკოფაგის ნაწილი, რომელზეც გამოსახულია მარტივი პროფილირების მქონე ჯვარი და ორნამენტები. ამავე ადგილას მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას (40°58'54.60"N; 42°57'38.15"E), რომელიც ამჟამად განადგურებულია. ტაძრის არსებობის შესახებ ინფორმაცია ჩვენმა ექსპედიციამ 2014 წელს მოიპოვა. ქვა, სავარაუდოდ ტაძართან მდებარე სამარხს უნდა ეკუთვნოდეს.

ფოტო 1. სოფელი კორა

ფოტო 2. სახლი ეკლესიის ადგილას

ფოტო 3. საფლავის ქვა, სარკოფაგის ნაწილი



ფოტო 4. ორნამენტი საფლავის ქვაზე

კუნძულუტი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი კუნძულუტი, თანამედროვე ჩათალდერე, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çataldere, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ხევის მარჯვენა მხარეს, მაღალ ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი, მეგალითური ნაგებობისთვის სახასიათო ელემენტებით (41°12'43.07"N; 42°34'37.02"E). იგი დანგრეულია და მისი ქვები ბორცვის ფერდზე ქვაყრილების სახითაა დარჩენილი. ჩრდილო-დასავლეთით ნაგებობიდან შემორჩენილია 20 მეტრამდე სიგრძის კედელი და 10 მეტრამდე კედლის კვალი იკითხება მის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც. კედლის სიგანე 3.5 მეტრიდან 4 მეტრამდეა. კედლებს შორის სივრცე ამოვსებულია ნატეხი ქვით. დარჩენილ კედლებზე განირჩევა მათზე მიბჯენილი ქვის მცირე ნაგებობების კვალი, რომლებიც ძლიერაა დაზიანებული. ბორცვის თხემზე, სადაც ნაგებობა მდებარეობს, განირჩევა კედლის ფრაგმენტები, შესაძლოა დამატებითი კედელი ან სხვა დანიშნულების ნაგებობები ყოფილიყო. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „კალეს“ (ციხეს) და „ჰარმანკაიას“ (კალოს კლდეს) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი კუნძულუტი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3. ნაგებობის საერთო ხედი ჩრდ.-დას.-ით

ფოტო 4. შემორჩენილი კედლის წყობა

ფოტო 5. კედლის სიგანე

ფოტო 6. კედლის შემორჩენილი წყობა

ფოტო 7, 8. კედლის შემორჩენილი წყობები, ფრაგმენტულად

ლელუსი, მონასტერი (?)

ისტორიული პალაკაციოს სოფელი ლელუსი, თანამედროვე ტაშბაში, არპაჩაის რაიონი, ყარსის პროვინცია (Taşbaşı, Arpaçay İlçesi, KarsİIi).

სოფელ ტაშბაშის ჩრდილოეთით, ჩრდილის ტბის პირას, მდებარეობს სოფელ ლელუსის ნასახლარი. მის სამხრეთ ნაწილში, მცირე ბორცვზე, შემორჩენილია ტაძრის ფრაგმენტები (40°57'56.11"N; 43°17'04.97"E), რომელიც განადგურებულია. ალაგ-ალაგ დარჩენილია მისი საძირკვლის კონტურები და გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება, თუმცა განირჩევა აღმოსავლეთით, საკურთხევლის აფსიდის მომრგვალება. აქვე მიმობნეულია დუღაბიანი ფრაგმენტები. განირჩევა სხვა ნაგებობის საფუძვლამდე დანგრეული კედლების კონტური, რომელიც ტაძრის ჩრდილოეთითაა მიდგმული. აგრეთვე ჩანს ბორცვის გარშემო კედლის კონტური, რომელიც შესაძლოა ტაძრის გალავანი ყოფილიყო. ნაგებობის სამხრეთით, რამდენიმე მეტრში მოზრდილი ნაგებობის კვალია (33×14 მ) – მართკუთხა ნაგებობა საფუძვლამდეა დანგრეული და მხოლოდ კედლის კონტური იკითხება. მას სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში წრიული ნაგებობა ჰქონია მიშენებული. მის დასავლეთით მართკუთხა გეგმარების, თანაბარი ზომის, ნაგებობების კვალია. კედლის სისქე 1.5 მეტრამდეა. ნაგებობასთან სასაფლაო ყოფილა, სადაც დარჩენილია ქვის ჯვრის კვარცხლბეკი, რომელსაც ოთხკუთხა, ღრმა ჭრილი აქვს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისეს“ (ეკლესიას) და დიდ ნაგებობას ,,მონასტერს'' უწოდებს. სოფლის ტერიტორიაზე ჭაობია და მრავლადაა ჭაობის მცენარე ლელი, საფიქრებელია, რომ სახელწოდება სწორედ მისი მდებარეობიდან მომდინარეობს. ადგილობრივების ინფორმაციით, ეკლესიის ადგილას უნახავთ სვეტები ცხვრის რელიეფური გამოსახულებებით, მათივე თქმით ისინი მიწითაა დაფარული.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნასოფლარი ლელუსი

ფოტო 2. მონასტრის (?) ტერიტორია

ფოტო 3, 4. ეკლესიის ადგილი და მისი დუღაბიანი ფრაგმენტები

ფოტო 5, 6. მართკუთხა ნაგებობის ნაშთები

ფოტო 7. ქვის ჯვრის კვარცხლბეკის ნაშთი

ფოტო 8. საფლავის ქვები

ფოტო 9, 10. ეკლესიასთან არსებული შესაძლო გალავნის ნაშთები

მანიოხი, ეკლესიები

ისტორიული არტანის სოფელი მანიოხი, თანამედროვე უზუნოვა, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Uzunova, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის მიდამოებში, XX საუკუნის დასაწყისში მკვლევარი კონსტანტინე ოდიშარია ახსენებს ოთხ ტაძარს. უშუალოდ აღნიშნულ სოფელში მოსახლეობას არ ახსოვს ტაძრის არსებობა, თუმცა 2014 წელს ჩვენმა საექსპედიციო ჯგუფმა სოფლის დასავლეთით, 0.5 კილომეტრზე, დააფიქსირა ორი, ერთმანეთთან ახლოს მდგარი, ტაძრის ნაშთი. შესაძლოა, ძეგლები ზემოთ მოყვანილი ოთხი ტაძრიდან ორი მათგანი იყოს.

ფოტო 1.სოფელი მანიოხი

მარცვალათუბანი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი მარცვალათუბანი, თანამედროვე არილი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Arılı, Posof İlçesi, Ardahan İli). (თანამედროვე არილი ისტორიული ზედაწმინდაა, ხოლო მარცვალათუბანი მისი უბანია).

სოფელში მოსახლეობა სოფლის განაპირას, დასავლეთით ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილი ტაძრის არსებობას და უთითებს მის ადგილს (41°29'55.38"N; 42°40'05.83"E). ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი მარცვალათუბანი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

მაჩვეთი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი მაჩვეთი, თანამედროვე იამაჩლი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yamaçlı, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი მდგარა ამჟამინდელი ჯამეს სიახლოვეს (41°18'18.66"N; 42°56'16.00"E). ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და მიუთითებს ადგილს.

ფოტო 1. სოფელი მაჩვეთი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი ჯამეს სიახლოვეს

მაჩვეთი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით

ისტორიული ერუშეთის სოფელი მაჩვეთი, თანამედროვე იამაჩლი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yamaçlı, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემაღლებული თხემის თავზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნეგები არქიტექტურული ძეგლი, მეგალითური ტიპის ნაგებობისათვის სახასიათო ელემენტებით (41°18'28.31"N; 42°56'10.02"E), რომლის ძირითადი კონსტრუქცია ქვაყრილის სახითაა შემორჩენილი და მათ შორის განირჩევა დიდი ზომის ქვებით ნაშენი კედლების წყობები. გეგმა არ იკითხება. როგორც ჩანს, აღნიშნულ ქვის მასალასთან ერთად გამოყენებული იყო საშუალო ზომის ნატეხი ქვა.

ფოტო 1. სოფელი მაჩვეთი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის ჩაშლილი კედლები მეგალითური ქვის ელემენტებით

მაჩვეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი მაჩვეთი, თანამედროვე იამაჩლი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yamaçlı, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.5 კილომეტრზე, ხევის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის ბრტყელ, კლდოვან, კონცხზე შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი, მასშტაბური, მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°19'31.40"N; 42°57'28.87"E. 2753 მ). როგორც ჩანს, მისი კედლები კონცხის კიდეებს შემოუყვებოდა. ნაგებობიდან ჩრდილო-დასავლეთით დარჩენილია კედლები, რომელთა დიდი ნაწილი ჩაშლილია. ჩრდილოეთ კედელში ფრაგმენტულად იკითხება წყობის რამდენიმე რიგი. აღმოსვლეთ კედელი უკეთაა შემორჩენილი - ჩანს ნაშალის ქვეშ მოქცეული ქვის წყობა. აღნიშნული კედლის სიგრძე დაახლოებით 100 მეტრია. ნაგებობაზე შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1 მეტრიდან 3 მეტრამდეა, ხოლო კედლების სისქე ასევე 3 მეტრს აღწევს. ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს კედლებზე მიბჯენილი, ათამდე მშრალი წყობის, წრიული ნაგებობა განირჩევა (მათი სიგრძე თითქმის ყველგან იგივეა და მიახლოებით 3 მეტრს უტოლდება). სამხრეთ-დასავლეთით ნაგებობის კედლები ან არ იკითხება ან, ფრაგმენტულად, ქვაყრილების სახითაა დარჩენილი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ხარმან ტეპეს“ (კალოს მთას) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი მაჩვეთი ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის შემორჩენილი კედლები

ფოტო 5, 6. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელი

ფოტო 7. ნაგებობის ჩრდ. კედელი

ფოტო 8. ნაგებობის აღმ.-ით მიბჯენილი მცირე სათავსები

ფოტო 9, 10. ნაგებობის სხვა კედლების მცირე წყობები

მგელციხე, აბანო

ისტორიული ჯავახეთის სოფელი მგელციხე, თანამედროვე კურტკალე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kurtkale, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი თავდაცვითი ნაგებობა მგელციხის სახელწოდებით. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მის ძირში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი აბანო (2.5×2.5) (41°15'29.23"N; 43°8'26.06"E). დარჩენილია ძეგლის ნაწილი – სივრცე გუმბათური გადახურვით და შესასვლელი კარით.

ფოტო 1. მგელციხის ციხე

ფოტო 2. ციხის ძირში, მდ. მტკვართან აბანოს ნაშთი

ფოტო 3,4. აბანოს ინტერიერი

მგელციხე, ეკლესია დასახლებაში

ისტორიული ჯავახეთის სოფელი მგელციხე, თანამედროვე კურტკალე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kurtkale, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში მდგარა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი, რომელიც ამჟამად განადგურებულია. მისგან დარჩენილია კედლების დუღაბიანი ფრაგმენტები. მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (41°16'05.09"N; 43°07'42.68"E). ახლა მის ადგილას ავტომანქანის სადგომია. მოსახლეობის ინფორმაციით ჯვრიანი ქვა ჩაუტანებიათ იქვე მდგომი საცხოვრებელი სახლის კედელში.

ფოტო 1. ნაგებობა ეკლესიის ადგილას

ფოტო 2. ეკლესიის კედლების დუღაბიანი ფრაგმენტები

სოფელთან ლიტერატურაში ფიქსირდება ყორღანული ტიპის სამარხები.

მერადისი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული პალაკაციოს სოფელი მერადისი, თანამედროვე გოლებაქანი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gölebakan, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, შემაღლებული ბორცვის თხემზე, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°03'18.59"N; 43°07'53.42"E), რომლის კედლებიც სრულადაა ჩაშლილი და ნაგებობა დარჩენილია ქვაყრილის სახით. კედლის წყობები დარჩენილია ალაგ-ალაგ. ნაგებობის გარე პერიმეტრზე სამარხების კვალია.

ფოტო 1. ნაგებობა და სოფელი მერადისი

ფოტო 2, 3. ნაგებობა დარჩენილი ქვაყრილის სახით

ფოტო 4. სამარხების კვალი ნაგებობის სამხრეთით

მერადისი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 4.2 კმ-ზე

ისტორიული პალაკაციოს სოფელი მერადისი, თანამედროვე გოლებაქანი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gölebakan, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 4.2 კილომეტრზე, სოფელ წინწალის (Güvenocak) საზაფხულო სადგომებთან, ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს (41°01'48.10"N; 43°10'22.89"E). ოვალური ფორმის ნაგებობის გარშემოწერილობა 150 მეტრია და ძლიერაა დაზიანებული – მისი კედლები დანგრეულია საძირკვლის დონემდე. ნათლად განირჩევა კედლის კვალი, რომლის სისქე 2.5 მეტრია, ხოლო ფრაგმენტულად იკითხება ძლიერ დაზიანებული შიდა კედლების ფრაგმენტები.

ფოტო 1, 2, 3, 4. ნაგებობის კედლების კონტურების ფრაგმენტები

მერადისი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5.4კმ-ზე

ისტორიული პალაკაციოს სოფელი მერადისი, თანამედროვე გოლებაქანი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gölebakan, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 5.5 კილომეტრზე, სოფელ წინწალის (Güvenocak) საზაფხულო სადგომებთან, კლდოვანი ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს (41°01'02.63"N; 43°10'39.76"E), რომელიც დაზიანებულია. როგორც ჩანს, მისი კედლები თხემის კიდეებს შემოუყვებოდა, თუმცა მისგან მხოლოდ ჩრდილოეთ კედელია დარჩენილი, ხოლო ძეგლის დიდი ნაწილი ქვაყრილის სახითაა შემორჩენილი, სადაც განირჩევა 1.7 მეტრის სიმაღლის კედლის წყობა. ნაგებობის კედლის სისქე 3 მეტრამდეა.

ფოტო 1. ნაგებობა, საერთო ხედი

ფოტო 2. ნაგებობის ჩრდ. კედელი

ფოტო 3. ნაგებობის კედელი ქვაყრილის სახით

ფოტო 4. შემორჩენილი კედლის წყობის ფრაგმენტი

მუნუსი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი მუნუსი, თანამედროვე იკიზდერე, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ikizdere, Damal İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ჯამეს სიახლოვეს, მდგარა ტაძარი (41°20'20.88"N; 42°54'21.74"E), რომელიც ამჟამად განადგურებულია. სოფლის ყორეში ჩატანებულია მისი კედლის დუღაბიანი ფრაგმენტი. ადგილობრივთა ინფორმაციით ტაძრის ქვები სოფლის ჯამეს მშენებლობაში გამოუყენებიათ. სოფელი ჩვენმა ექსპედიციამ მოინახულა 2014 წელს და დაადასტურა ნაგებობის ადგილი, თუმცა არტეფაქტები არ დაფიქსირებულა. მასალა გამოქვეყნებულია ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშებში.

ფოტო 1. სოფელი მუნუსი

ფოტო 2. ჯამე, რომლის სიახლოვეს ეკლესია მდგარა

ფოტო 3, 4. სოფლის ყორეში ჩატანებული ეკლესიის დუღაბის ფრაგმენტები

ნაკომლარი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ნაკომლარი, თანამედროვე ტეპესუიუ, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Tepesuyu, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli). (ტეპესუიუ ისტორიული გურჯიბეგია, ხოლო ნაკომლარი დღეს ტეპესუიუს ტერიტორიაა).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაღალი ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°03'45.72"N; 42°46'55.27"E), რომელიც თხემის საკმაოდ ვრცელ არეალზეა გაშლილი და გეგმარებით ოვალურ ფორმას უახლოვდება. ძეგლი ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება. ძლიერი დაზიანების გამო მისი კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი ჩაშლილია და ქვაყრილების სახითაა დარჩენილი. ჩრდილოეთ მხარეს, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი მოზრდილი ქვით ნაშენი კედლის წყობა, რომელსაც შიდა მხრიდან გასდევს მასზე მიბჯენილი, მცირე ზომის და ძლიერ დაზიანებული, წრიული ნაგებობები. მის დასავლეთ ნაწილში, შემაღლებულ ადგილას, საშუალო ზომის ქვით ნაშენი წრიული ფორმის ჩაშლილი ნაგებობის კვალია დარჩენილი.

ფოტო 1, 2. ნაგებობის ძლიერ დაზიანებული ნაშთები

ფოტო 3, 4. შიდა სივრცეში დარჩენილი წრიული ნაგებობები

ორეზაქი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ორეზაქი, თანამედროვე ჩაიაღზი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çayağzı, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 700 მეტრზე, მდინარე ჩოთისწყლის მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი, მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°11'43.70"N; 42°51'39.42"E). მისი კედლები სამხრეთით, მთის ფერდზე, მდინარის მიმართულებით ეშვება და ძლიერაა დაზიანებული - ძირითადი კონსტრუქცია დარჩენილია ქვაყრილის სახით. მის დასავლეთ და

ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დარჩენილია დიდი ზომის ქვით ნაგები კედლის წყობები, თუმცა, ნაშალი ქვის გამო, მისი ძირითადი ნაწილი დაფარულია. ნაგებობის მშენებლობაში ასევე გამოყენებული ყოფილა მცირე ზომის ნატეხი ქვა. შიდა პერიმეტრზე განირჩევა მცირე ზომის, წრიული გეგმარების, ნაგებობები, რომლებიც აგრეთვე ძლიერ დაზიანებული სახითაა დღემდე მოღწეული.

ფოტო 1. სოფელი ორეზაქი ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3, 4. ნაგებობის ჩაშლილი კედლები მეგალითური ქვების ელემენტებით

ორეზაქი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ორეზაქი, თანამედროვე ჩაიაღზი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çayağzı, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°11'12.21"N; 42°49'48.18"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული - გეგმა არ იკითხება და კედლის წყობა შემორჩენილი არ არის. აღმოსავლეთით განირჩევა მასიური ქვის წყობის ერთი, მცირე ზომის რიგი. ამავე ტერიტორიაზე ყრია დიდი ზომის ქვები, რომლებიც, სავარაუდოდ, ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს.

ფოტო 1. სოფელი ორეზაქი ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ქვები

ორჩოკი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული არტანის სოფელი ორჯოხი, თანამედროვე ოლჩეკი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ölçek, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, აღმოსავლეთით, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°07'22.44"N; 42°51'13.67"E). სამხრეთ ნაწილში შემორჩენილია მოზრდილი ქვით ნაშენი კედლის ერთი წყობა, ხოლო ნაგებობის დანარჩენი კედლები ჩაშლილია და ქვაყრილის სახითაა დარჩენილი (ნაგებობის მიახლოებითი ზომებია: 25×15). შიდა პერიმეტრზე ძლიერ დაზიანებული, კვადრატული ფორმის, მომცრო ნაგებობების კვალია. ძეგლის ჩრდილოეთით, ბორცვის თხემზე, საძირკვლის დონემდე დანგრეული ნაგებობების კვალია.

ფოტო 1. სოფელი ორჯოხი

ფოტო 2. მშრალი წყობის ნაგებობა

ფოტო 3. ნაგებობის შემორჩენილი კედელი

ფოტო 4. ნასახლარები ნაგებობასთან

ორჩოკი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული არტანის სოფელი ორჩოკი, თანამედროვე ოლჩეკი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური პროვინცია (Ölçek, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, შემაღლებული ბორცვის თხემზე, შემორჩენილია მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°08'05.92"N; 42°50'55.87"E), რომლის კედლებიც ჩაშლილია და მისი ქვები ბორცვის ფერდზეა ჩაყრილი. კედლები დანგრეულია საძირკვლის დონემდე, მისი დიდი ნაწილი მიწითაა დაფარული და კონტურის სახით შემოყვება თხემის კიდეებს. როგორც ჩანს, ნაგებობის გეგმარება ოვალური ფორმის იყო. ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორჩენილია მოზრდილი ქვით ნაშენი კედლის წყობის ფრაგმენტი.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ორჯოხი

ფოტო 2. კედლის შემორჩენილი წყობა

ოხთელი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ოხთელი, თანამედროვე ჩამიაზი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çamyazı, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ცენტრალურ ნაწილში, ამჟამინდელი ჯამეს ადგილას, ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი ყოფილა (41°28'36.31"N; 42°44'20.75"E). ამჟამად, ნაგებობიდან დარჩენილია დუღაბის ფრაგმენტები, რომლებიც ადგილობრივთა სახლების ყორეებშია ჩატანებული. მოსახლეობის ინფორმაციით, 1954 წლამდე, არსებობდა ტაძრის კედლების ნაშთი - შემდეგ მის ადგილას ჯამე აშენდა.

სოფელში ასევე ოთხკუთხა, დამუშავებული, ქვას ვხვდებით, შუა არეზე ამოღარული ჯვრითა და წრიული ჩაღრმავებით. ადგილობრივ მოსახლეობას ქვა ეკლესიის ტერიტორიაზე უპოვია, თუმცა მისი დანიშნულება გაურკვეველია.

ფოტო 1. სოფელი ოხთელი

ფოტო 2. ჯამე ეკლესიის ადგილას

ფოტო 3. ყორეებში ჩატანებული დუღაბის ფრაგმენტები

ფოტო 4. ეკლესიის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვა

„პანკისი (II) ციხე (?)“, „პანკისი (III) კოშკი“

ისტორიული ფოსოს სოფელი პანკისი, თანამედროვე თაშლიდერე, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Taşlıdere, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

ლიტერატურაში [10], [13] მითითებულია ციხე კოორდინატებით (41°04'45.54"N; 42°51'45.26"E), სახელწოდებით „პანკისი (II) ციხე (?)“ და კოშკი კოორდინატებით (41°03'48.32"N; 42°51'04.79"E), სახელწოდებით „პანკისი (III) კოშკი“.

საექსპედიციო სამუშაოების შესრულებისას მინიშნებულ ადგილზე ძეგლები არ დაფიქსირდა.

ფოტო 1, 2. ლიტერატურაში მითითებული ადგილები- „პანკისი (II) ციხე (?)“ და „პანკისი (III) კოშკი“

პატარა ვარდოსანი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი პატარა ვარდოსანი, თანამედროვე იამაჩიოლუ, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yamaçyolu, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, 2.1 კილომეტრზე, ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°15'23.76"N; 42°41'57.70"E). ნაგებობა შემორჩენილია ქვაყრილის სახით და ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება, ხოლო მის ჩრდილოეთ ნაწილში დარჩენილია მასიური ქვით ნაშენი კედლის წყობა (მიახლოებითი ზომები: კედლის სიგრძე 30 მ, სიმაღლე 1.5 მ, კედლის სისქე 2 მ). ნაგებობას შესასვლელი, შესაძლოა, დასავლეთიდან ჰქონოდა. ნაგებობაზე ალაგ-ალაგ იკითხება კედლების მცირე წყობები.

ფოტო 1. სოფელი ვარდოსანი

ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3. ქვაყრილის სახით დარჩენილი კედლები

ფოტო 4. კედლის შემორჩენილი წყობა

ფოტო 5, 6. ნაგებობის შემორჩენილი კედლების წყობები

ლიტერატურაში [10], [13] სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 3.3 კილომეტრზე, ბორცვის ფერდზე მითითებულია ციხე კოორდინატებით (41°15'43.34"N; 42°41'01.31"E), სახელწოდებით „ვარდოსანი (III)“. მისი ძირითადი ნაწილი შემორჩენილია ქვაყრილის სახით და ალაგ-ალაგ განირჩევა წყობის მონაკვეთები 0.5 მეტრამდე სიმაღლის. მოთეთრო ფერის ნაგებობას ოთხკუთხა გეგმარება აქვს, ხოლო მის გარშემო ნასახლარების კვალია. ოთხკუთხა გეგმარების ეს ნაგებობა გვიანი პერიოდის საქონლის შესარეკი უნდა ყოფილიყო.

ფოტო 1, 2. ნაგებობის შემორჩენილი ნაწილი

პატარა ხარზიანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი პატარა ხარზიანი, თანამედროვე სოფელი ქუჩუკ სუთლუჯე, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Küçük Sütlüce, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, მთის წვერზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°00'45.35"N; 42°47'20.81"E), რომელიც ჩვენმა ექსპედიციამ 2014 წელს მოინახულა, თუმცა გამოქვეყნებული არ ყოფილა. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და შემორჩენილია ქვაყრილის სახით.

პეტობანი, ეკლესია და ასომთავრულწარწერიანი ქვა

ისტორიული სამცხის სოფელი პეტობანი, თანამედროვე კალკანკაია, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kalkankaya, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, შემაღლებულ ტაფობზე, შემორჩენილია დარბაზული ტაძრის ნაშთი (41°34'03.48"N; 42°45'40.25"E), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრები სამეურნეო დანიშნულებით იყენებს. ნაგებობის დასავლეთ კედელში ჩატანებული იყო 14 სტრიქონიანი წარწერა, შესრულებული ასომთავრული გრაფემებით, რომელიც ჩვენმა ექსპედიციამ 2012 წელს დააფიქსირა და აღწერა. ამჟამად, ქვა ადგილზე აღარ არის - სახლის მესაკუთრის თქმით არ აქვს ინფორმაცია ქვის ადგილმდებარეობის შესახებ.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემო ჯოჯუას მიერ. წარწერა დათარიღებულია X საუკუნით.

[...]
1. [...][—–]დთ. მწ[——][...]
2. [...][–]. სწორითა. ფას[-][—]
3. [...][–]: კერძი:. მთვე. მ[-][...]
4. [...]რავდ: სლისა. ჩმისა [...]
5. [...] გამიკოეთს: კორა[...]
6. [...]გნ შფთ(?)ჲ. დღე: ოკთ[...]
7. [...][-]ხლისა. ხოცსი: ამ[...]
8. [...][-]სლმნ: ეკლესამნ. მ[...]
9. [...]ლი: გამიჩნს. ჩმსა. კრ[-][...]
10. [...] ვინ. ესე. დაწერ[...]
11. [...]ცვალო. კროლ[...]
12. [...]თისა პრთი მკდ[...]
13. [...][-] ცოცხლ[-] [—][...]
14. [...]ა და იო[—]ნ[...]
15. [...]
[...]

„[...][—–]დთ მწ[————][—–] სწორითა ფას[ითა] [—][–] კერძი მ{ა}თ{ი}ვე (?) მ[——][–]რავ{ა}დ ს{უ}ლისა ჩ{ე}მისა [——][–]. გამიკუეთ{ე}ს კურა[ძალი][სა]გ{ა}ნ (?) შ{ა}ფ{ა}თჲ (?) დღე. უკ{უე}თ[უ]

[—][—]ხლისა ხუც{ე}სი ამ[——][—]სლმ{ა}ნ ეკლეს{ი}ამ{ა}ნ მ[——][–]ლი გამიჩ{ი}ნ{ო}ს, ჩ{ე}მ{ი}სა კრ[——][–].

ვინ ესე დაწერ[ილი] [შე][მი]ცვალო{ს}, კრ{უ}ლ[მცა] [არ][ს] [ღ]{მრ}თისა ჰ{ი}რ{ი}თ<ი>{ა} მკ{უ}დ[არი] / [და] ცოცხ{ა}ლ[ი] [მისი] / [–]ა დაიუ[რვო]ნ [——] / [...] / [...] (?)“.



ფოტო 1, 2. ეკლესია ლაპიდარული წარწერით, გადაღებული 2012 წლის ექსპედიციისას

ფოტო 3, 4. სოფელი პეტობანი და ეკლესია, რომელზეც წარწერიანი ქვა იყო, გადაღებული 2019 წლის ექსპედიციისას

პეტრისი, ეკლესია

ისტორიული ჯავახეთის სოფელი პეტრისი, თანამედროვე აქქირაზი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Akkiraz, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

ნასოფლარი პეტრისი მდებარეობს სოფელ ქავთარნაგებთან, (თანამედროვე აქკირაზთან) სამხრეთ-დასავლეთით, 4.2 კილომეტრზე.

სოფელში, თურქულ ლიტერატურაში დადასტურებულია ტაძრის არსებობა, თუმცა ამ ეტაპზე ძეგლის მონახულება ვერ მოხერხდა.

ფოტო 1. ნასოფლარი პეტრისი

რაბათი (სოფ.), მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული არტანის სოფელი რაბათი, თანამედროვე ილდირიმთეფე, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yıldırımtepe, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, შემაღლებული ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°07'50.92"N; 43°07'34.86"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. მისი კედლის წყობები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაყრილის სახით - მათ შორისაა კერამიკის ნატეხებიც. გეგმის და ზომების აღდგენა ვერ ხერხდება ძლიერი დაზიანების გამო. მის ტერიტორიაზე ბოლო პერიოდში დამონტაჟებულია ანძები და ამის გამო ძეგლის ტერიტორია გადათხრილია. ნაგებობა ,,ბეშიკთეფე კალესის'' (აკვნის გორა) სახელწოდებითაა ცნობილი.

ფოტო 1. სოფელი რაბათი ნაგებობის ტერიტორიიდან

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის კედლების კონტურები (ფოტოზე მოჩანს ქ. ჩირდილი (ისტ. ძურძნა)) და კერამიკის ნატეხები

საბადური, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი საბადური, თანამედროვე კუზუკაია, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kuzukaya, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ყოფილა ლიტერატურაში ცნობილი ეკლესია, რომელიც სადღეისოდ განადგურებულია. მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (41°09'34.30"N; 43°06'00.11"E). ასევე, ახსოვთ ტაძრის დუღაბის ფრაგმენტები. ამჟამად, რაიმე სახის არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი საბადური ფოტო

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

საბადური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი საბადური, თანამედროვე კუზუკაია, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kuzukaya, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, კლდოვან კონცხზე, რომელსაც გარშემო მდინარე მტკვარის წყალსაცავის ტბორი შემოსდევს, დარჩენილია მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°10'04.06"N; 43°05'33.68"E), რომლის ძირითადი კონსტრუქციაც ჩაშლილია და ქვაყრილის სახითაა დარჩენილი. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დარჩენილია თანაბარი კვადრებით ნაშენი კედლის წყობა.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

საბადური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული არტანის სოფელი საბადური, თანამედროვე კუზუკაია, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kuzukaya, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, ხევის პირზე, კლდოვან კონცხზე, შემორჩენილია მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°10'28.98"N; 43°06'05.82"E), რომელიც თითქმის სრულადაა დანგრეული. კედლის წყობის ნაწილები ქვაყრილის სახითაა დარჩენილი - სამხრეთ ნაწილში დარჩენილია მცირე წყობის ფრაგმენტები.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით სოფელთან, მტკვრის ხეობაში, კლდეში, ხელოვნური მღვიმეები ყოფილა ამოშენებული კედლით, რომელიც ამჟამად დაფარულია წყლის ტბორით. მოსახლეობა მათ ,,ქოროღლუ მაღარალარს'' უწოდებს.

საბუღარა, ციხე

ისტორიული არტანის სოფელი საბუღარა, თანამედროვე გურჩაირი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gürçayır, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, ხევის მარცხენა მხარეს, კლდოვანი ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი ციხე (41°04'41.47"N; 42°40'56.51"E). ნაგებობაზე განირჩევა კედლების ორი ფენა - ციხის გარე მონაკვეთი მშრალი წყობით, მასიური ქვითაა ნაშენი, რომლისგანაც დარჩენილია აღმოსავლეთი კედლის მოხაზულობა (მიახლოებითი ზომები: დარჩენილი კედლის სიგრძე 16 მ, სიმაღლე 2.5 მ, კედლის სიგანე არ იზომება). კედლის შიდა ფენა ნაგებია საშუალო ზომის ქვით და დუღაბით, რომელიც შემოუყვება ბორცვის ოვალური გეგმარბის თხემის კიდეებს და მის ფორმას იმეორებს. კედლები დანგრეულია საძირკვლის დონემდე, თუმცა შესაძლებელია გეგმის აღდგენა. კედლის სისქე 1.2 მეტრია. ციხის ამ ორ ფენას შორის მანძილი, საშუალოდ, 2 მეტრია. ციხის გარშემოწერილობა 220 მეტრია. შიდა პერიმეტრზე დარჩენილია ჩაშლილი, ქვის წრიული ფორმის, ნაგებობები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „კალეჯიკს“ (მომცრო ციხეს) უწოდებს. როგორც ჩანს, ციხე თავდაპირველად მშრალი წყობით იყო ნაგები, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა დუღაბით ნაშენ ციხედ.

ფოტო 1. სოფელი საბუღარა

ფოტო 2. ზოგადი ხედი ციხეზე

ფოტო 3, 4. ციხის მეგალითური ქვით ნაშენი კედელი

ფოტო 5, 6. ციხის კედელი, სადაც ჩანს მშრალი წყობისა და დუღაბის ნაშთები

ფოტო 7, 8. ციხის შემორჩენილი კედლები

ფოტო 9. კერამიკის ფრაგმენტები

ფოტო 10. ციხის შიდა ნაგებობების ფრაგმენტები

საკირე, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი საკირე, თანამედროვე ჩამბელი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çambeli, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ლიტერატურაში ცნობილი, ტაძარი შემორჩენილი არაა და არც მოსახლეობას ახსოვს მისი არსებობა.

სარწები, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე ჩრდილოეთით

ისტორიული არტანის სოფელი სარწები, თანამედროვე სულაქიურთი, არდაჰანის (არტანის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sulakyurt, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ჩრდილოეთით, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°09'52.91"N; 42°37'26.58"E), რომელიც დანგრეულია საძირკვლის დონემდე და ნაწილობრივ იკითხება კედლების კონტურები. როგორც ჩანს, ნაგებობის ჩრდილოეთით მინაშენი ჰქონია. დარჩენილია მისი სამხრეთ კედლის მცირე ფრაგმენტი და ძირითადი ნაგებობის ჩრდილოეთით კედლის მცირე ნაწილი (კედლის ზომებია: სიგრძე 2.4 მ, სიმაღლე 1 მ, სიგანე 1 მ). ტაძარი ნაშენი ყოფილა უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისეს“ (ეკლესიას) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი სარწები ეკლესიიდან

ფოტო 2. ეკლესიის შემორჩენილი ფრაგმენტი

ფოტო 3. ეკლესიის სამხრეთ კედელი და მისი მდებარეობა სოფელთან მიმართებაში

სარწები, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით

ისტორიული არტანის სოფელი სარწები, თანამედროვე სულაქიურთი, არდაჰანის (არტანის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sulakyurt, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, მაღალ, კლდოვან ბორცვზე, ლიტერატურაში ცნობილი, მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°10'02.99"N; 42°37'30.81"E). იგი ძლიერაა დაზიანებული – დასავლეთ ნაწილში დარჩენილია მასიური ქვით ნაშენი, 18 მეტრამდე სიგრძის, კედლის წყობა. აგრეთვე 7 მეტრამდე კედელი შემორჩა მის ჩრდილოეთ ნაწილში. კედლების სისქე 3 მეტრამდე აღწევს. როგორც ჩანს, ნაგებობა ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვებოდა და მისი გარშემოწერილობა დაახლოებით 250 მეტრია. ტერიტორიაზე მრავლადაა კერამიკის ფრაგმენტები.

ფოტო 1. სოფელი სარწები

ფოტო 2. ნაგებობის შემორჩენილი კედლის წყობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის შემორჩენილი კედლის წყობები

ფოტო 5. მეგალითური ქვით ნაგები კედლის ფრაგმე

ფოტო 6. კერამიკის ფრაგმენტები

სარწები, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე დასავლეთით 0.9 კმ-ზე

ისტორიული არტანის სოფელი სარწები, თანამედროვე სულაქიურთი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sulakyurt, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ტერიტორიაზე დასავლეთით, 0.9 კილომეტრზე, მაღალ, კლდოვან ბორცვზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°09'59.84"N; 42°36'23.00"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული და დარჩენილია ქვაყრილის სახით. კედლის წყობა ნაგებობაში არ განირჩევა. ნაგებობის ნაშალი ქვაყრილი ბორცვის თხემს ირგვლივ შემოუყვება. სამშენებლოდ გამოყენებული ყოფილა მცირე ზომის ნატეხი ქვა.

ფოტო 1.სოფელი სარწები ნაგებობიდან

ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3. ნაგებობის კედლები ქვაყრილის სახით

ფოტო 4. ნაგებობის ტერიტორია

სარწები, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე დასავლეთით 1 კმ-ზე

ისტორიული არტანის სოფელი სარწები, თანამედროვე სულაქიურთი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sulakyurt, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ტერიტორაზე დასავლეთით, 1 კილომეტრზე, შემაღლებულ კლდოვან ბორცვზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°10'00.66"N; 42°36'16.46"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. მისი კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი დარჩენილია ქვაყრილის სახით. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთით დარჩენილია მოზრდილი ქვით ნაშენი კედლის წყობა, რომელიც ნაგებობის კუთხეს ქმნის (სამხრეთ კედლის სიგრძე: 12 მეტრამდე, დასავლეთ კედლის სიგრძე 14 მეტრამდე). ძეგლი ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება - მასში გამოყენებული ყოფილა საშუალო ზომის ნატეხი ქვაც.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. კედლის შემორჩენილი წყობა

ფოტო 3. ნაგებობის სამხ.-დას. კუთხე

ფოტო 4. ქვაყრილის სახით დარჩენილი კედლები

სასხარა, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი სასხარა, თანამედროვე ქოიუნპინარი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Koyunpınarı, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, მაღალ ბორცვზე, მდგარა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°14'28.15"N; 42°54'21.74"E) რომელიც ამჟამად განადგურებულია და მისი არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს.

ფოტო 1. სოფელი სასხარა

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი ბორცვზე, სახლის ადგილას

სეითორენი, მშრალი წყობის ნაგებობების კომპლექსი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ერუშეთის თანამედროვე სოფელი სეითორენი, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Seyitören, Damal İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე, ორღართას მაღალი მთის მწვერვალზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული კომპლექსი (41°25'23.55"N;42°45'29.37"E), რომლის კედლების ძირითადი ნაწილი ჩაშლილია და მთის თხემს ქვაყრილის სახით შემოუყვება. ძეგლი ნაგები ყოფილა საშუალო ზომის ქვით – ალაგ-ალაგ განირჩევა, 0.5 მეტრამდე დარჩენილი, კედლის წყობის მცირე ნაწილები. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით განირჩევა ათობით ნასახლარის კვალი - მისგან ჩრდილოეთით იშლება ხედი ფოცხოვის ხეობის სოფლებზე.

ფოტო 1, 2. გენერალური ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3. ნაგებობის არეალი და სხვა ნაგებობების კვა

ფოტო 4. კედლის წყობის შემორჩენილობა

ფოტო 5. ნაგებობის კედლის შემორჩენილი წყობა

სეჯა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი სეჯა, თანამედროვე კურშუნჩავუში, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kurşunçavuş, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ძველი ჯამეს ადგილას, ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი მდგარა (41°31'30.49"N; 42°37'30.33"E). ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ჯამე ეკლესიაზეა დაშენებული და მისი ფუნდამენტის ქვების პირველი ხაზი ტაძარს ეკუთვნის. ჯამეს სამხრეთ კედელში ჩაშენებულ ქვაზე მითითებულია 1796 წელი, რაც სავარაუდოდ ტძარის ჯამედ გადაკეთების თარიღი უნდა იყოს, რომელიც 1983 წლამდე ფუნქციონირებდა, ხოლო ამჟამად საწყობად არის გადაკეთებული. ფასადზე მარტივი ორნამენტია დატანილი, ხოლო ინტერიერში დარჩენილია ხის მოჩუქურთმებული ფერადი ჭერი და ხის დედაბოძები.

ფოტო 1. სოფელი სეჯა

ფოტო 2. ჯამე ეკლესიის ადგილას

ფოტო 3. ჯამეს ფუნდამენტი

ფოტო 4. ორნამენტიანი ქვა ჯამეს კედელზე

ჯამეს დასავლეთით, დაახლოებით 4 მეტრში, მიწისქვეშა თაღოვანი ქვის სათავსია.

სინდისგომი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი სინდისგომი, თანამედროვე იალნიზჩამი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yalnızçam, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°04'33.60"N; 42°31'07.08"E), რომლის კედლის წყობები შემორჩენილი არ

არის. ნაგებობა დარჩენილია ქვაყრილის სახით, რომელიც ბორცვის თხემის კიდეებს წრიულად შემოუყვება. ბორცვის გარშემო განირჩევა კედლების ტერასული კვალი. შესაძლოა, ნაგებობას რამდენიმე კედლის ფენა ჰქონოდა. სამშენებლოდ გამოყენებული ყოფილა საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვა. ამჟამად, ამ ადგილას ანძებია დამონტაჟებული. ნაგებობა ჩვენი ექსპედიციის მიერ დაფიქსირებულია 2014 წელს.

ფოტო 1. სოფელი სინდისგომი

ფოტო 2. ნაგებობა ანძებთან

ფოტო 3. ქვაყრილის სახით დარჩენილი კედლები

ფოტო 4. ტერასული კედლების კვალი

სკარები, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი სკარები, თანამედროვე კოტანლი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kotanli, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორი ხევის შეერთების ადგილას, ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექრუტული ძეგლია (41°09'13.29"N; 43°02'40.50"E), რომელსაც წრიული გეგმარება აქვს და თხემის კიდეებს შემოსდევს. მისი კედლები ქვაყრილის სახითაა დარჩენილი. ალაგ-ალაგ იკითხება ნაშალი ქვის ქვეშ მოყოლილი კედლების წყობის ფრაგმენტები. როგორც ჩანს, ძეგლს მესაქონლეების მიერ დამატებული აქვს გვიანდელი პერიოდის შიდა ნაგებობების კედლები.

ფოტო 1. სოფელი სკარები

ფოტო 2. ნაგებობის ტერიტორია და კედლების ფრაგმენტები

ფოტო 3, 4, 5, 6. ნაგებობის კედლების ფრაგმენტები

სორსი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი სორსი, თანამედროვე ბურმადერე, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Burmadere, Damal İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სუბაშის უბანში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და მიუთითებს ძეგლის ადგილს (41°18'4.69"N; 42°48'10.13"E). 50-60 წლის წინ ადგილობრივს ახსოვს ეკლესიის მცირე ფრაგმენტები. ამჟამად, არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი სორსი

ფოტო 2. ეკლესიის აგილი

სორსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი სორსი, თანამედროვე ბურმადერე, დამალის (ტამალის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Burmadere, Damal İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, კლდოვან თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°17'44.06"N; 42°47'18.20"E), რომელიც დარჩენილია ქვაყრილის სახით – კედელთა წყობა არ განირჩევა.

ფოტო 1. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 2. ნაგებობის ფრაგმენტები

სტეფანწმინდა, ხიდი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული სამცხის სოფელი სტეფანწმინდა, თანამედროვე სარიდარი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sarıdarı, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრში, საქართველო-თურქეთის გამყოფ საზღვარზე, მდინარე ფოცხოვისწყლის ერთ-ერთ მარცხენა შენაკადზე, დარჩენილია მე-19 საუკუნის ხიდი (41°33'29.07"N; 42°49'41.12"E) (მიახლოებითი ზომები: სიგრძე: 18 მ, სიგანე: 5 მ, სიმაღლე: 3 მ), რომელიც რუსეთის იმპერიის პერიოდში უნდა იყოს აშენებული. ნაგებობა აღწერილია თურქულ ლიტერატურაში.

მის სიახლოვეს მეორე, იმავე პერიოდის ხიდია, რომელიც საქართველოს საზღვრებშია მოქცეული.

ფოტო 1, 2. ხიდი მდინარე ფოცხოვისწყალზე

სხვარა, ეკლესია

ისტორიული პალაკაციოს სოფელი სხვარა, თანამედროვე აშიკშენლიკი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Aşıkşenlik, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ყოფილა ტაძარი, რომელიც ამჟამად განადგურებულია, მის ადგილას კი საცხოვრებელი სახლებია აშენებული. მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (41°08'33.10"N; 43°12'57.41"E). რაიმე სახის არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი სხვარა და ეკლესიის ადგილი

სხვარა, მშრალი წყობის ნაგებობის კომპლექსი სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული პალაკაციოს სოფელი სხვარა, თანამედროვე აშიკშენლიკი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Aşıkşenlik, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მაღალი, კლდოვანი ქედზე, მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული კომპლექსია (41°09'07.42"N; 43°12'09.04"E). ნაგებობათა კედლები ჩაშლილია და ძირითადად საძირკვლის დონემდეა დარჩენილი. როგორც ჩანს ძეგლი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დაქანებულ ფერდზე ეშვებოდა. დასავლეთით უკეთ იკითხება 3 მეტრის სისქის კედელი. აღმოსავლეთით კედელში ჩართულია ბუნებრივი კლდე, ხოლო მისგან ჩრდილო-დასავლეთით განირჩევა ნასახლარების კვალი, რომლებსაც 100 მეტრის სიგრძის, მოზრდილი ქვებით ნაშენი, გალავანი არტყავს. გალავანი აღმოსავლეთით, ზემოთ აღწერილი ნაგებობის კედელს უერთდება. ტერიტორიაზე დიდი რაოდენობითაა დარჩენილი კერამიკის ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა მას „კალეჯიკს“ (მცირე ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. თხემი, სადაც ჩანს ნაგებობის განფენილობა

ფოტო 3. ნაგებობის დასავლეთ კედლის კვალი

ფოტო 4. ჩრდილო-დასავლეთით ნაგებობების კვალი

ფოტო 5, 6, 7. გალავნის ნაშთი

ფოტო 8. კერამიკის ფრაგმენტები

ტამალა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ტამალა, თანამედროვე კირქქოი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kırköy, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში მდგარა ლიტერატურაში ცნობილი ძველი აბანო, რომლისგანაც კედლის დუღაბიანი ფრაგმენტებია შემორჩენილი. ამავე წყაროში, აბანოს ადგილას, იხსენიება ტაძარი (41°29'7.44"N; 42°41'50.34"E), თუმცა მოსახლეობას არ ახსოვს აქ ტაძრის არსებობა. ლიტერატურაში ცნობილი ტამალას ტაძარი და ემბაზის ქვა ნუსხური წარწერებით, აღარ დასტურდება.

ფოტო 1. სოფელი ტამალა

ფოტო 2. ძველი აბანოს ნაშთი და სავარაუდოდ, ეკლესიის ადგილი

ტანეიდანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ტანეიდანი, თანამედროვე სერინქუიუ, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Serinkuyu, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, 1.2 კილომეტრზე, ხევის მარჯვენა მხარეს, კლდოვან კონცხზე, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°16'11.54"N; 42°44'37.17"E), რომლის კედელთა წყობებაც არ განირჩევა და ნაგებობა ქვაყრილის სახითაა დარჩენილი. ძლიერი დაზიანების გამო მისი გეგმა არ იკითხება.

ფოტო 1. სოფელი ტანეიდანი



ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3, 4. ნეგაბობის ჩაშლილი კედლები

ტაშბაში, ეკლესია

ისტორიული პალაკაციოს თანამედროვე სოფელი ტაშბაში, არპაჩაის რაიონი, ყარსის პროვინცია (Taşbaşı, Arpaçay İlçesi, KarsİIi).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილი ტაძრის არსებობას (წყაროში ჯამეს ადგილას წერია, რასაც ადგილოვრივები არ ადასტურებენ) და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°56'23.33"N; 43°17'34.47"E) - ჯამესთან, მისგან ჩრდილოეთით, 200 მეტრში, თუმცა არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი ტაშბაში

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ტაშქოფრუ, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული პალაკაციოს თანამედროვე სოფელი ტაშქოფრუ, არპაჩაის რაიონი, ყარსის პროვინცია (Taşköprü, ArpaçayİlçesiKarsİli).

სოფლის ჩრდილოეთით, შემაღლებული ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (40°57'29.83"N; 43°15'30.62"E.), რომელიც სრულად დანგრეულია – დარჩენილია მხოლოდ საძირკვლის დონემდე დასული კედლების კონტურები. უკეთ განირჩევა აღმოსავლეთ კედლის კონტური, რომელიც თხემის კიდეებს გასდევს. ნაგებობის ცენტრში იკითხება ძლიერ დაზიანებული სამარხების კვალი. თხემზე ნასახლარების ფრაგმენტები ჩანს. ძეგლის ტერიტორიაზე კერამიკის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ფოტო 1. სოფელი ტაშქოფრუ

ფოტო 2. ძლიერ დაზიანებული ნაგებობის კონტურები

ფოტო 3. სამარხები

ფოტო 4. კერამიკის ფრაგმენტები

სოფელში, ლიტერატურაში ფიქსირდება ქვის ძველი ხიდი, რომელიც ურარტული პერიოდის ხიდად იხსენიება. ამჟამად, ის დანგრეულია და მის ადგილას ახალი ხიდია აგებული (40°57'23.98"N; 43°15'34.64"E).

ტებათი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული არტანის სოფელი ტებათი, თანამედროვე დაღევი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Dağevi, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი, რომელიც ძლიერაა დაზიანებული – დარჩენილია ქვაყრილის სახით. კედლის წყობა ნაგებობაში არ განირჩევა. ნაგებობის ნაშალი ბორცვის თხემს ირგვლივ შემოუყვება. ნაგებობა ჩვენი ექსპედიციის მიერ მონახულებულია 2014 წელს.

ფოტო 1. სოფელი ტებათი

ფოტო 2. ქვაყრილის სახით დარჩენილი ნაგებობის კედლები

ლიტერატურაში [10], [13] ტებათთან მითითებულია ციხე კოორდინატებით (41°06'20.11"N; 42°26'09.84"E), სახელწოდებით „თიბათი (II) ციხე“.

საექსპედიციო სამუშაოების შესრულებისას მინიშნებულ ადგილზე ძეგლები არ დაფიქსირდა.

ფოტო 3. ლიტერატურაში მითითებული ადგილი - „თიბათი (II) ციხე“

უგუბო, მღვიმეები

ისტორიული არტანის სოფელი უგუბო, თანამედროვე ბინბაშაკი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Binbaşak, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელთან, ხევში, ლიტერატურაში ცნობილი მღვიმეებია. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს მათ არსებობას – მათივე ინფორმაციით მღვიმეთა ნაწილი ხელოვნურია. ობიექტი არ გადაგვიმოწმებია, ვინაიდან, ეს ტერიტორია დატბორილია. მოსახლეობა ამ ადგილს „ყირმიზი მაღარას“ (წითელ მღვიმეებს) უწოდებს.

ურთა, ეკლესია

ისტორიული პალაკაციოს სოფელი ურთა, თანამედროვე გიოლბელენი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gölbelen, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში მდებარეობს ლიტერატურაში კარგად ცნობილი ურთას ტაძარი (41°04'25.97"N; 43°07'06.95"E), რომლის ფასადზეც, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრაში დავაფიქსირეთ რამდენიმე, მარტივად ნაკაწრი, ჯვარი. ზოგიერთი მათგანი ასევე მარტივი პროფილირების წრეშია ჩაწერილი. აჟამად, ტაძარი გადაკეთებულია სოფლის ჯამედ.

ფოტო 1. ურთას ეკლესია, საერთო ხედი

ფოტო 2. ეკლესიის ინტერიერი

ფოტო 3. ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრა

ფოტო 4. მარტივი, ნაკაწრი ჯვრები

ფანიკი, ეკლესია

ისტორიული ფოსოს სოფელი ფანიკი, თანამედროვე ტუნჩოლუკი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Tunçoluk, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილი ტაძრის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (41°00'26.45"N; 42°59'20.98"E). ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი ფანიკი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ფაფოლა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ფაფოლა, თანამედროვე არმუტვერენი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Armutveren, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას, თუმცა მისი მდებარეობის ადგილს სხვადასხვაგან უთითებენ – ერთი ვერსიით ტაძარი მდებარეობდა სოფლის ჩრდილოეთით, ძველი სკოლის ადგილას. ამჟამად, სკოლის შენობა დანგრეულია და მის ადგილას ახალი მშენებლობაა (41°34'36.42"N; 42°47'42.88"E).

მეორე ვერსიით ტაძარი სოფლის განაპირას, ასევე ჩრდილოეთ ნაწილში, მდებარეობდა (41°34'36.23"N; 42°47'34.75"E).

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ფაფოლა

ფოტო 2. ძველი სკოლის შენობის ადგილი

ფახრელი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ფახრელი, თანამედროვე კარტალპინარი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური პროვინცია (Kartalpınar, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს, ბორცვზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°09'44.96"N; 42°45'33.29"E), რომლის ძირითადი კონსტრუქცია ჩაშლილია და დარჩენილია ქვაყრილის სახით, სადაც საშუალო ზომის, დაუმუშავებელ ქვასთან ერთად განირჩევა მოზრდილი ლოდებიც. აღმოსავლეთით შემორჩენილია კედლის წყობა – სამხრეთით ნაშალი ქვის ქვეშ ჩანს, აგრეთვე კედლის მცირე ფრაგმენტები. დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს კედლები საძრკვლის დონემდეა ჩაშლილი.

ფოტო 1. სოფელი ფახრელი

ფოტო 2. კედლის შემორჩენილი წყობა აღმ.-ით

ფოტო 3. საძირკვლამდე დაშლილი კედლების ნაშთი

ფოტო 4. კედლის წყობის ფრაგმენტი სამხრ.-ით

ფიქლობი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ფიქლობი, თანამედროვე ინჯედერე, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Incedere, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი შემორჩენილი არაა და არც მოსახლეობას ახსოვს მისი არსებობა.

ფოტო 1. სოფელი ფიქლობი

ფიჩხაზგომი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ფიჩხაზგომი, თანამედროვე ქაზლიქოი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kazlıköy, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ყოფილა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°08'57.88"N; 42°34'44.94"E), რომლის არტეფაქტებიც შემორჩენილი არ არის. ადგილობრივ მოსახლეობას ახსოვს ნაგებობა. მისი ნაშთები 30 წლის წინ კიდევ ყოფილა დარჩენილი. ადგილობრივები უთითებენ მისი მდებარეობის ადგილს.

ფოტო 1. სოფელი ფიჩხასგომი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ქავთარნაგები, ხიდი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ქავთარნაგები, თანამედროვე აქქირაზი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Akkiraz, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზოლში, მდინარე მტკვარზე, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი ქვის ხიდის ბურჯები (41°15'03.96"N; 43°7'34.62"E). როგორც ჩანს ხიდი ორმალიანი ყოფილა, რომელთაგან ერთ-ერთი მდინარეში გაირჩევა (გარე ბურჯის განი 6 მეტრამდეა). ხიდთან, კლდეში ნაკვეთ, მღვიმეთა რამდენიმე წყება ფიქსირდება.

სოფელში მდებარე, ლიტერატურაში ცნობილ ციხეს, ადგილობრივები ეკლესიად მოიხსენიებენ.

ქარქათველი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ქარქათველი, თანამედროვე გუნეშგორენი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Güneşgören, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°13'01.56"N; 42°43'34.33"E). მისი ძირითადი კონსტრუქცია დანგრეულია და შემორჩენილია ქვაყრილის სახით, რომელიც ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება. მასიური ქვის წყობა დარჩენილია ნაგებობის სამხრეთით - შესაძლოა, შესასვლელი კარი აქედან ყოფილიყო (მიახლოებითი განფენილობა: 50×17 მ, დარჩენილი წყობის მიახლოებითი ზომები: სიმაღლე 0.9-1.2 მ, სიგრძე 2.5 მ). ძეგლის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთებში განირჩევა დამატებითი გალავნის არსებობა, თუმცა ძლიერი დაზიანების გამო მისი გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება.

ფოტო 1. სოფელი ქარქათველი

ფოტო 2. ნაგებობა, სამხრეთი მხარე

ფოტო 3. ნაგებობის ჩაშლილი კედლები

ფოტო 4. მეგალითური ქვის ფრაგმენტი

ფოტო 5, 6. ნაგებობის დარჩენილი კედლის წყობა მეგალითური ქვების ელემენტებით

ქელიქი, ეკლესია

ისტორიული ფოსოს სოფელი ქელიქი, თანამედროვე ჩობანლი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çobanlı, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი შემორჩენილი აღარაა და არც მოსახლეობას ახსოვს მისი არსებობა.

ფოტო 1. სოფელი ქელიქი

ქვემო თოროსხევი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო თოროსხევი, თანამედროვე ჩიმენკაია, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çimenkaya, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, კლდოვან ბორცვზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს (41°06'49.89"N; 42°29'19.07"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული და დარჩენილია ქვაყრილის სახით. კედლის წყობა ნაგებობაში არ განირჩევა, ხოლო მისი ნაშალი ნაწილები ბორცვის თხემს ირგვლივ შემოუყვება.

ფოტო 1. სოფელი ქვემო თოროსხევი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის ქვაყრილი და კედლის კონტურები

ლიტერატურაში სოფლის აღმოსავლეთით აღწერილია არქეოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო მონაკვეთი, სადაც დიდი ოდენობით კერამიკა დაფიქსირდა. ადგილზე რაიმე სახის ნაგებობა არ ფიქსირდება.

ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის მეგალითური ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ნაქალაქევი, თანამედროვე ორთაკენტი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ortakent, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი, მასიური, წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°13'29.43"N; 42°54'57.32"E), რომლის გეგმაც არ იკითხება და ნაგებობა ქვაყრილის სახითაა დარჩენილი. ჩრდილოეთით იკითხება კედლის მცირე წყობა, ხოლო შიდა პერიმეტრზე განირჩევა სხვადასხვა ნაგებობის წყობა, რომელთა გეგმის აღდგენა, დაზიანების გამო, ვერ ხერხდება. აღნიშნულ ტერიტორიაზე კერამიკის ფრაგმენტებია მიმობნეული. მოსახლეობა ადგილს „კალეჯიკს“ (მცირე ციხეს) უწოდებს.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. ნაგებობის მეგალითური ქვით ნაშენი კედლის ფრაგმენტი

ფოტო 3. ნაგებობის კედლის წყობის ფრაგმენტი

ფოტო 4. კერამიკის ფრაგმენტი

ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ნაქალაქევი, თანამედროვე ორთაკენტი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ortakent, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელთან, კლდოვან თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°13'45.09"N; 42°54'14.01"E), რომლის კედლების კონტური ნაგლეჯების სახითაა შემორჩენილი.

ფოტო 1, 2. ნაგებობის კონტურის ფრაგმენტი

ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ნაქალაქევი, თანამედროვე ორთაკენტი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ortakent, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, სათიბებში, შემაღლებულ ბორცვზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°14'12.62"N; 42°55'04.57"E). ძეგლი ძლიერაა დაზიანებული და მისი კედლების ძირითადი ნაწილი დარჩენილია ქვაყრილის სახით. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით დარჩენილია 10 მეტრზე მეტი სიგრძის მასიური ქვით ნაშენი კედლის წყობა. ამგვარივე ფრაგმენტები განირჩევა ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილშიც. სამშენებლოდ, გარდა მასიური ბლოკებისა, გამოყენებულია მცირე ზომის ნატეხი ქვაც.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. კედლების შემორჩენილი კონტურები

ფოტო 3. ნაგებობის კედლის მცირე წყობა

ფოტო 4. ნაგებობის ჩაშლილი კედლები

ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ნაქალაქევი, თანამედროვე ორთაკენტი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ortakent, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, სათიბებში, ბორცვის თხემზე, დარჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°13'06.92"N; 42°53'11.93"E), რომლის ძლიერი დაზიანების გამოც გეგმის აღდგენა შეუძლებელია. კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაყრილის სახით. ნაგებობაში გამოყენებული ყოფილა მომცრო ზომის ნატეხი ქვა. აღსანიშნავია, რომ ნაშალ ნაწილში შეიმჩნევა რამდენიმე მოზრდილი ქვის ფრაგმენტიც.

ფოტო 1, 2. ქვაყრილის სახით დარჩენილი კედლები

ქვემო ნაქალაქევი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ნაქალაქევი, თანამედროვე ორთაკენტი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ortakent, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შემაღლებულ ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°12'30.05"N; 42°55'07.97"E), რომლის გეგმაც არ იკითხება. ნაგებობა დარჩენილია ქვაყრილის სახით, სადაც განირჩევა მისი კუთხეების კონტურები. ძეგლი ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება და მისი კედლების სისქე 2 მეტრიდან 2.5 მეტრამდე აღწევს.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. ნაგებობის ჩაშლილი კედლების ფრაგმენტები

ნაგებობის აღმოსავლეთით, სათიბებზე, შემაღლებული ბორცვია, რომელიც ყორღანული სამარხი შეიძლება იყოს.

ფოტო 3. შესაძლო ყორღანული სამარხი

ქვემო ნაქალაქევი, სოფელში დაფიქსირებული ქვა ჯვრების გამოსახულებით

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ნაქალაქევი, თანამედროვე ორთაკენტი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Ortakent, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ძველ სახლში, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრები ამჟამად სამეურნეო დანიშნულებით იყენებს. დარჩენილია, ძველი, ოსმალური ბუხრის ქვის თავი, რომელზეც ამოკაწრულია მარტივი პროფილირების ჯვრები – ერთი მათგანი მოზრდილია, ხოლო მის კუთხეებში ოთხი, მცირე ზომის ჯვარია განთავსებული (41°13'07.29"N; 42°54'18.24"E).

არტეფაქტი მოხსენიებული არ არის ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ქვემო ნაქალაქევი

ფოტო 2. სახლი, სადაც არტეფაქტია

ფოტო 3, 4. ბუხრის თავი და მასზე ნაკაწრი ჯვრები

ქვემო ტიკანი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ტიკანი, თანამედროვე ალაჩამი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Alaçam, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ჯამეს ადგილას, მდგარა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°13'01.79"N; 42°48'47.42"E). ჯამე აშენებულია 1854 წელს. როგორც ჩანს, ნაგებობა ტაძრის ფუნდამენტზე დააშენეს და მშენებლობაში გამოიყენეს მისივე ქვები. ჯამეს დასავლეთ კედელზე განირჩევა ნაგებობის თლილი ქვები – ამავე კედელში ჩატანებულია ტაძრის ორი ორნამენტიანი ქვა. სამხრეთ კედელში ჩართულია ქვის ფრაგმენტი ჯვრის გამოსახულებით და მცენარეული ორნამენტით – განირჩევა ჯვრის ქვედა და გვერდითი მკლავები. ჯამეს ჩრდილოეთით, შესასვლელი კარის თავზე, ჩასმულია ეკლესიის ქვა წნული, რომბული, ორნამენტით, რომელიც შეღებილია მწვანე საღებავით. ტაძრის ფუნდამენტში განირჩევა, სავარაუდოდ, ეკლესიის კედლების ფრაგმენტები.

ფოტო 1. სოფელი ქვემო ტიკანი

ფოტო 2. ჯამე ეკლესიის ადგილას

ფოტო 3. ჯამეს კედელი ეკლესიის ქვებით

ფოტო 4. სავარაუდოდ, ეკლესიის ფუნდამენტის ფრაგმენტი

ფოტო 5. ქვა ჯვრის გამოსახულებით

ფოტო 6. ეკლესიის ორნამენტიანი ქვა

ფოტო 7. ეკლესიის ორნამენტიანი ქვა

ფოტო 8. ეკლესიის ქვა წნული, რომბული ორნამენტით

ქვემო წურმანი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ქვემო წურმანი, თანამედროვე აშაღი აიდერე, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Aşağıaydere, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, სათიბებზე, მაღალი ბორცვის თხემზე, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°21'44.99"N; 42°43'26.23"E). ციხის გარშემოწერილობა დაახლოებით 110 მეტრია. ნაგებობა დანგრეულია და დარჩენილია საძირკვლის დონემდე დანგრეული კედლების კონტური, რომელთა დიდი ნაწილი მიწითაა დაფარული. უკეთაა შემორჩენილი მისი სამხრეთი კედლის ნაწილი, სადაც შესაძლებელია ციხის გეგმის ნაწილობრივი გარჩევა. ძეგლის შიგნით დარჩენილია არაერთი ნაგებობის კვალი, თუმცა ძლიერი დაზიანების გამო გეგმები არ იკითხება. შიდა პერიმეტრზე შემორჩენილია დუღაბის ფრაგმენტები, თუმცა დაზიანების გამო მისი ფუნქცია გაურკვეველია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „კალეჯიკს“ (მცირე ციხეს) უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი ქვემო წურმანი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის კედლების კონტურები

ფოტო 5. შიდა ნაგებობის ნაშთები

ფოტო 4. დუღაბის ფრაგმენტები

ქვემო ჭაბორია, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ქვემო ჭაბორია, თანამედროვე გუნლუჯე, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Günlüce, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, ბორცვზე, ადგილობრივი მოსახლეობა ასახელებს ლიტერატურაში ცნობილ ეკლესიას (41°30'39.56"N; 42°40'23.62"E), რომელიც ამჟამად განადგურებულია, ხოლო მის ადგილას სკოლისა და წისქვილის შენობებია აგებული. ამ ადგილს მოსახლეობა „ქილისე თარლას“ (ეკლესიის ყანას) ეძახის.

ფოტო 1. სოფელი ქვემო ჭაბორია

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ქვემო ჭინჭრობი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული არტანის სოფელი ქვემო ჭინჭრობი, თანამედროვე სუგოზე, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sugöze, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალი ბორცვის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°05'01.66"N; 42°39'24.41"E), რომელიც დაზიანებულია. კედლის წყობის ნაწილები შემორჩენილი არ არის, თუმცა საძირკვლის დონეზე იკითხება მოზრდილი ქვით ნაგები, 1.5 მ სიგანის, კედლები, რომელიც ბორცვის თხემს კვადრატული ფორმით შემოუყვება. განირჩევა შიდა ნაგებობების კვალი, თუმცა ძლიერი დაზინების გამო გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება.

ფოტო 1. სოფელი ქვემო ჭინჭრობი

ფოტო 2. ნაგებობის დარჩენილი ფრაგმენტები

ფოტო 3, 4. ნაგებობის კედლის და წყობის ფრაგმენტები

ქვემო ხანაკი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ქვემო ხანაკი, თანამედროვე ქალაქი ჰანაკი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hanak (Merkez) Ardahan İli).

ქალაქ ჰანაკის (ხანახის) სამხრეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მდინარის მარჯვენა მხარეს, მცირე ბორცვის კლდოვან თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მეგალითური ნაგებობის ელემენტებით (41°13'15.93"N; 42°50'46.43"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. დარჩენილია ქვაყრილი, სადაც განირჩევა დიდი ზომის მოცულობითი ქვები. კედლების წყობა და გეგმა არ იკითხება. როგორც ჩანს, ნაგებობა ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვებოდა.

ფოტო 1. ქალაქი ჰანაკი (ხანახი)

ფოტო 2. ნაგებობის კედლები ქვაყრილის სახით

ქვემო ჯაჯუნი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ქვემო ჯაჯუნი, თანამედროვე დოღრულარი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Doğrular, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, სათიბებში, შემაღლებულ ბორცვზე, შემორჩენილია ტაძრის ნაშთები, რომელიც ჩვენმა ექსპედიციამ 2014 წელს მოინახულა და მის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშებში. ამჟამად, ნაგებობა გათხრილია ოქროს მაძიებელთა მიერ, რის შედეგადაც გამოჩნდა საძირკვლის დუღაბიანი კედლის ფრაგმენტები და დიდი რაოდენობით კერამიკა. გვხვდება აგრეთვე წყლის მილები და გადახურვის ფრაგმენტები, რომლებიც პირველი მონახულების დროს არ ჩანდა. ამ ადგილს მოსახლეობა „ვანს“ უწოდებს.

ფოტო 1. სოფელი ქვემო ჯაჯუნი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ფოტო 3. ეკლესიის დუღაბიანი კედელი

ფოტო 4. კერამიკის ფრაგმენტები

ქიმლი, ეკლესია

ისტორიული ფოსოს სოფელი ქიმლი, თანამედროვე ოტბიჩენი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Otbiçen, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (41°00'20.56"N; 42°53'58.28"E), თუმცა არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი ქიმლი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ღვინია, ეკლესია და სოფელში დაფიქსირებული ასომთავრულწარწერიანი ქვა

ისტორიული სამცხის სოფელი ღვინია, თანამედროვე იოზბაში, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Özbaşı, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ადგილობრივი მცხოვრების სახლის (№42ა) კედელში ჩატანებულია ოთხკუთხა, ნაცრისფერი, ქვა ასომთავრული წარწერით (41°29'58.72"N; 42°41'27.41"E) (მიახლოვებითი ზომები: 0.5×0.5 მ). ქვის ნაწილი შებათქაშებულია და შეღებილია ლურჯი საღებავით. სახლის კედელში განირჩევა ნაცრისფერი, თლილი კვადრები. მესაკუთრის თქმით სახლი მისი წინაპრის აშენებულია და არ აქვს ინფორმაცია ქვების თავდაპირველი ადგილის შესახებ.

წარწერა არ არის მოხსენიებული ჩვენთის ცნობილ ლიტერატურაში.

ლიტერატურაში მოხსენიებული ტაძრის თანამედროვე მდებარეობა ამ ეტაპზე ვერ დავაფიქსირეთ.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემო ჯოჯუას მიერ. წარწერა დათარიღებულია XV-XVI საუკუნეებით.

1. **† ჩმ“თ**
2. **ა**

„†. ჩ(ე)მთ/ა“.

ფოტო 1. სოფელი ღვინია

ფოტო 2. სახლი, სადაც ქვაა მოთავსებული

ფოტო 3, 4. ასომთავრულწარწერიანი ქვა

ყველი, ეკლესია და ასომთავრულწარწერიანი ქვა

ისტორიული სამცხის სოფელი ყველი, თანამედროვე ქოლქოი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kolköy, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ზემო უბანში, აღმოსავლეთით, ძველი ქვის სახლის კარში, მარჯვენა მხარეს, ვერტიკალურად ჩაშენებულია მოწითალო ფერის ქვა ასომთავრული წარწერით (ქვის ზომებია: სიმაღლე 1 მ, სიგანე 0.5 მ ქვის სრული ზომის გაგება შეუძლებელია მიწაში დარჩენილი ნაწილის გამო) (41°26'41.68"N; 42°36'46.88"E). ქვის შესახებ ინფორმაცია სახლის მესაკუთრემ მოგვაწოდა.

სავარაუდოდ, ეკლესიის არქიტრავის ქვა ნახევრად მიწაში იყო ჩაფლული, თუმცა, მიწის მოშორების შემდეგ მისი დიდი ნაწილი გამოჩნდა. სახლის მესაკუთრის თქმით, ქვა მოტანილია სოფელ ყველთან მდებარე ეკლესიიდან, რომელიც ამჟამად განადგურებულია (ეკლესიის ადგილი გადასამოწმებელია).

ქვას კიდეებში ამოკვეთილი ჩარჩო შემოუყვება. ცენტრში ორი თაღი და მესამის საწყისი ჩანს, მისი ნაწილი მიწითაა დაფარული. ორივე თაღედში ბოლოსკენ მკლავებგაფართოებული ჯვრებია, რომლებსაც ქვედა მკლავი წაგრძელებული აქვთ. თაღედს ქვემოთ ერთ სტრიქონად გასდევს ასომთავრული წარწერა. ქვის მარჯვნივ, თაღედის დასასრულს, ასომთავრული წარწერაა ორ სტრიქონად. სავარაუდოდ, წარწერის დასაწყისი მიწაშია მოქცეული. პირველადი მონაცემით განირჩევა 13-მდე გრაფემა. ქვასთან ახლოს ტაძრის სვეტის ნაწილი გდია, რომელიც სავარაუდოდ იმავე ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც წარწერიანი ქვა.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემო ჯოჯუას მიერ. წარწერა დათარიღებულია XI საუკუნის I ნახევრით.

1. **[...][———]ᲘᲑᲕᲠᲘ ᲐᲑᲡᲔᲠᲡ ᲗᲜ[...]**
2. **Ც“Ვ(?) Ჯ(?)[...]**

პირველი სავარაუდო წაკითხვა:

„[...][———]ᲘᲑ{Ა}ᲕᲠᲘ, ᲐᲑ{Უ}ᲡᲔᲠ{Ი}Ს Თ{Ა}Ნ[ᲐᲛᲔᲪᲮᲔᲓᲠᲔᲜ], [ᲓᲐᲘ]Ც(Ე)Ვ (?), Ჯ[ᲣᲐᲠᲝ] (?)“.

მეორე სავარაუდო წაკითხვა:

„[...][———]ᲘᲑ{Ა}ᲕᲠᲘ, ᲐᲑ{Უ}ᲡᲔᲠ{Ი}Ს Თ{Ა}Ნ[Ა], [ᲓᲐᲘ]Ც(Ე)Ვ (?), Ჯ[ᲣᲐᲠᲝ] (?)“.

ფოტო 1. სოფელი ყველი და ყველის ციხე

ფოტო 2. ქვის მდებარეობა ძველ სახლში

ფოტო 3. ქვა მიწის ფენის მოშორებამდე

ფოტო 4. ქვა, გაწმენდის შემდეგ

ფოტო 5. ეკლესიის სვეტის ქვის ფრაგმენტი

შადევანი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი შადევანი, თანამედროვე ჩათალქოფრუ, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çatalköprü, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემაღლებულ ბორცვზე, მდგარა ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი (41°04'29.84"N; 42°28'33.86"E), რომელიც ამჟამად განადგურებულია. ადგილზე განირჩევა მცირე რაოდენობით დუღაბის ნაფხვენი. ნაგებობას და მის მდებარეობას ადასტურებს ადგილობრივი მოსახლეობაც. XX საუკუნის დასაწყისში მკვლევარი კონსტანტინე ოდიშარია სოფელში ასახელებს კიდევ ორ ეკლესიას, რომელთა მდებარეობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცნობია.

ფოტო 1. სოფელი შადევანი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი დუღაბის ნაფხვენებით

სოფელში, მდებარეობს 1887 წელს აგებული, ჯამე (41°04'22.37"N; 42°28'26.61"E), რომელიც აღდგენილია და დღესაც ფუნქციონირებს.

ფოტო 1. ჯამე

შატბერდის მონასტრის ასომთავრულწარწერიანი ქვა

ისტორიული კლარჯეთის სოფელი ბოსელთა, თანამედროვე ოკუმუშლარი, არდანუჩის (არტანუჯის) რაიონი,ართვინის პროვინცია (Okumuşlar, Ardanuç İlçesi, Artvin İli).

სოფელ ბოსელთასთან მდებარეობს შატბერდის მონასტრის ნანგრევები, ხოლო მის ტერიტორიაზე არსებულ, მოზრდილ, ნაგებობაში (სკრიპტორიუმში ან სატრაპეზოში) ასომთავრულწარწერიანი ქვის ორი ნამტვრევია დაფიქსირებული. როგორც ჩანს, ქვა გაცილებით დიდი იყო და სადღეისოდ დარჩენილია მხოლოდ მისი ორი ნაწილი. განირჩევა 20-ზე მეტი გრაფემა. წარწერა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემო ჯოჯუას მიერ. წარწერა დათარიღებულია XI საუკუნით.

ფრაგმენტი I.

1. [...]
2. [...]თდ[...]
3. [...]ცამ[...]
4. [...]სა ⊽“ჲ [...]
5. [...]მო(?)[...]
6. [...]

„[...][...]თდ[...][...]ცამ[...][...]სა ⊽(მიდა)ჲ [...][...]მო(?)[...][...]“.

ფრაგმენტი II.

1. [...]
2. [...]ოდყ(?)[...]
3. [...]აგ ყ“ფ[...]
4. [...]ვისა[...]
5. [...]

„[...]ოდყ(?)[...][...]აგ ყ(ო)ფ[(ი)ლსა] (?) [...][...]ვისა[...][...]“.

ფოტო 1. შატბერდის მონასტერი, მთავარი ტაძარი

ფოტო 2, 3, 4. წარწერიანი ქვის ფრაგმენტები

შუარტყალი, ეკლესია - იოანე ნათლისმცემლისა

ისტორიული სამცხის სოფელი შუარტყალი, თანამედროვე გონულაჩანი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gönülaçan, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, ფერდზე, მდებარეობს ტაძარი, რომელსაც ჩვენმა ექსპედიციამ 2012 წელს მიაკვლია – ძეგლი გამოქვეყნებულია ბეჭდურ მასალაში. ერთ-ერთი ვერსიით, ნაგებობა მე-13 საუკუნის აბუსერისძე ტბელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოხსენიებული იოანე ნათლისმცემლის ტაძარი უნდა იყოს. თხზულების მიხედვით, ამ სოფლის ქვითხურო ბოლოკ-ბასილი წმ. გიორგის გამოცხადებით მისივე სახელობის ეკლესიას აშენებს. ერთ-ერთ ეპიზოდში აღწერილია მის მიერ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობისთვის მოპოვებული ქვის დაგორება, რომელმაც უკვე არსებული იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი დააზიანა.

ადგილობრივი მოსახლის ნაამბობით, აღნიშნული ეკლესიის ზევით, მთაში, არის მოწითალო კლდეები, რომელიც ადვილად მუშავდება და წარმოადგენს ქვის საბადოს. სოფლის მოსახლეობა სამშენებლო მასალად ქვას სწორედ ამ ადგილიდან ეზიდება. მისივე მონათხრობით, რამდენიმე წლის წინ, ამავე სოფლის მკვიდრს ქვის მოპოვების დროს დაუგორდა მოზრდილი ქვა, რამაც ჩვენს მიერ აღწერილი ნაგებობა დააზიანა. ადგილობრივის მონათხრობი და მე-13 საუკუნის თხზულების ზემოთ აღწერილი ეპიზოდი ემთხვევა ერთმანეთს, რაც ამყარებს მოსაზრებას, რომ ტაძრის ნაშთი აბუსერისძე ტბელის თხზულებაში მოხსენიებული იოანე ნათლისმცემლის ეკლესია შეიძლება იყოს (ზემოთ აღწერილ ძეგლში გამოყენებულია მოწითალო ფერის ქვა. სოფელში, საცხოვრებელ სახლებში, უხვადაა გამოყენებული ზემოთ აღწერილი ქვის საბადოდან ჩამოტანილი წითელი ფერის ქვა).

ფოტო 1. სოფელი შუარტყალი

ფოტო 2. ქვის საბადო და ეკლესიის მდებარეობა



ფოტო 3, 4. ეკლესიის შემორჩენილი ფრაგმენტები

ფოტო 5. ჩრდილოეთის ნიში

ფოტო 6. კამარის მოპირკეთება

შუარტყალი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე ჩრდილოეთით

ისტორიული სამცხის სოფელი შუარტყალი, თანამედროვე გონულაჩანი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gönülaçan, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 800 მეტრზე, ძველი ნასახლარებია. მოსახლეობის ინფორმაციით ამ ადგილს „დევათი“ ჰქვია. მათივე თქმით, გადმოცემით, ამ ადგილას მდგარა ტაძარი (41°34'23.69"N; 42°43'44.53"E), რომლის არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. ტერიტორიაზე ქვაა, რომელზეც ამოკვეთილია მცირე ზომის ჯვარი მომრგვალებული ბოლოებით. გარდა ამისა, ამავე ქვაზე ფიქსირდება, ასევე მცირე ზომის, ნაკაწრი ჯვარი.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ეკლესიის ადგილი სოფელთან მიმართებაში

ფოტო 2. ქვა ნაკვეთი, მარტივი ჯვრებით

სოფლის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა ,,ტაძარს'' უწოდებს - ამ ადგილას ძველი სასაფლაოს ნაშთებია.

ამავე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 600 მეტრზე, მდინარე ჭაბუკისწყლის მარცხენა მხარეს, მინდორში, მიწით დაფარული შემაღლებული ბორცვია. მოსახლეობის თქმით ესაა ყორღანული სამარხი, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიიღეს 1993 წელს, სტამბულიდან ჩამოსული პროფესორისგან (პროფესორის გვარია ტაშლიგოლი).

ფოტო 1, 2. ყორღანული სამარხი

შუარტყალი, ეკლესია ჯამესთან და ასომთავრულწარწერიანი ქვა

ისტორიული სამცხის სოფელი შუარტყალი, თანამედროვე გონულაჩანი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gönülaçan, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ჩრდილოეთ ნაწილში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ყოფილა ტაძარი (41°34'02.86"N; 42°43'39.96"E). მათი გადმოცემით 1910 წელს ნაგებობა დაუშლიათ და მისი ქვებით სოფლის ჯამე აუშენებიათ. მოსახლეობის ინფორმაციით ტაძრის ადგილას ყოფილა საფლავები, სადაც ადამიანის ძვლები უნახავთ.

სოფლის ცენტრში, ჯამეს დასავლეთ ფასადის ზედა ნაწილში, ჩატანებულია ორი ქვა ასომთავრული წარწერით (41°34'01.13"N; 42°43'38.65"E - ჯამე). როგორც ჩანს, ქვა გატეხილია ორ ნაწილად და კედელშიც სხვადასხვა ადგილას მომხდარა მათი მოთავსება. პირველადი მონაცემით განირჩევა 8 გრაფემა, ქარაგმებით. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით წარწერიანი ქვა სწორედ ზემოთ აღწერილ ტაძარს უნდა ეკუთვნოდეს.

ეკლესია და წარწერა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თემო ჯოჯუას მიერ. წარწერა დათარიღებულია XV-XVI საუკუნეებით.

I ქვის ფილა: ქ“ე შ“ე]

II ქვის ფილა: [პა“პი

„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე პაპი“.

ფოტო 1. ეკლესიის ადგილი

ფოტო 2. ჯამეს დასავლეთ ფასადი წარწერიანი ქვებით

ფოტო 3, 4, ასომთავრულწარწერიანი ქვის 2 ფრაგმენტი

ამავე სოფელში, ადგილობრივი მოსახლის ეზოში, ინახება ორნამენტიანი ქვის ფრაგმენტი (41°34'01.91"N; 42°43'35.92"E), რომელზეც გამოსახულია ორი ჯვრული ორნამენტი და სამი დისკო. ქვა, სავარაუდოდ, საფლავის უნდა იყოს. მოსახლეობის გადმოცემით ის სოფელ შუარტყლის საზაფხულო სადგომებზე მიმავალი გზის გაყვანის დროს უპოვიათ.

შუარტყალი, ციხე (?) სოფლის დასავლეთით

ისტორიული სამცხის სოფელი შუარტყალი, თანამედროვე გონულაჩანი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Gönülaçan, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებთ 2 კილომეტრზე, მდინარე ღრმანისწყლის მარცხენა მხარეს, მაღალი, კონუსისებური მთის ფერდზე, ადგილობრივები ასახელებენ ციხეს (41°33'51.39"N; 42°42'0.89"E), თუმცა ადგილზე დარჩენილია ნაშალი ქვების კონტურები. კედლის წყობა არ ჩანს. მოსახლეობას, დაახლოებით 15 წლის წინ, ახსოვს ოთხკუთხა გეგმარების, მშრალი წყობით ნაგები ძეგლი, რომელსაც „კალე ბოინას“ (ციხის ყელს) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 2. ნაგებობის კედლების ნაშალი

ფოტო 3. ნაგებობის კედლების ნაშალი

ფოტო 4. ნაგებობის ქვები

ჩაისთარი, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ჩაისთარი, თანამედროვე სემიჰა შაკირი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Semiha Şakir, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ლიტერატურაში ცნობილი ტაძარია, რომელიც ამჟამად შემორჩენილი არაა. მის ადგილას საცხოვრებელი სახლებია. დარჩენილია ნაგებობის საძირკვლის მცირე ფრაგმენტი და მისი კედლების დუღაბიანი ნაშთები (41°08'10.64"N; 43°03'02.36"E). ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და მათივე ინფორმაციით მოზრდილი ნაგებობა დაახლოებით 40 წლის წინ ჯერ კიდევ იდგა.

ფოტო 1. სოფელი ჩაისთარი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ფოტო 3. ეკლესიის დუღაბის ფრაგმენტი

ფოტო 4. ეკლესიის საძირკვლის ფრაგმენტი

ჩაისთარი, ეკლესია სოფლის ჩრდილოთით

ისტორიული არტანის სოფელი ჩაისთარი, თანამედროვე სემიჰა შაკირი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Semiha Şakir, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, მაღალი მთის თავზე, სადაც ახლა სათიბებია, შემორჩენილია დარბაზული ტიპის ტაძარი (ზომები: 9×5.5) (41°08'59.81"N; 43°03'23.11"E), რომელიც დანგრეულია გეგმის დონემდე. ნაგებობა ნაშენი ყოფილა დაუმუშავებელი ქვით და მოწითალო ფერის დამუშავებული კვადრებით. განირჩევა 1.2 მეტრი სისქის კედლები. ძეგლის კედლების ნაშალში იკითხება სარკმლის ქვებიც. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ეკლესია 1991 წლამდე სრულად იყო შემორჩენილი და შემდგომ განძის მაძიებლებმა დაანგრიეს. მათივე ინფორმაციით ამ ტერიტორიაზე მდგარა ქვის სვეტი, რომელიც იგივე მიზეზით დაიმტვრა. ერთ-ერთი მაცხოვრებლის თქმით ამ ადგილიდან ქვის ჯვარი ყარსის მუზეუმში წაუღიათ.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ჩაისთარი და ეკლესიის მდებარეობა

ფოტო 2, 3, 4. ეკლესიის ნაშთები

ფოტო 5, 6. ეკლესიის დამუშავებული ქვები და არქიტექტურული დეტალები

ჩაისთარი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული არტანის სოფელი ჩაისთარი, თანამედროვე სემიჰა შაკირი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Semiha Şakir, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°07'59.03"N; 43°03'58.13"E), რომელიც კრატერული ტბის პირას მდებარეობს და მისი კედლები მოგრძო თხემის კიდეებს გასდევს. ძლიერ დაზიანებული ნაგებობის კედლებიდან დარჩენილია ქვაყრილები. სამხრეთ-დასავლეთით კედლის წყობის კვალი განირჩევა, ხოლო მის ფერდზე ნასახლარების კვალია.

ჩაისი, ეკლესია (?) სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ჩაისი, თანამედროვე კაიაბეი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kayabey, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, მაღალი მთის თხემზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ზადენს უწოდებს, დარჩენილია ნასახლარების კვალი. მათ შორის იკითხება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დამხრობილი ნაგებობის კვალი, რომელსაც აღმოსავლეთი მხარე მომრგვალებული აქვს. ძეგლის სამხრეთით, ასევე აღმოსავლეთით მომრგვალებული დაბოლოების მქონე, შედარებით მცირე ზომის ნაგებობა აქვს მიდგმული. შესაძლოა, აღწერილი ნაგებობა ტაძარი ყოფილიყო (41°13'30.24"N; 43°07'45.71"E). ადგილზე სხვა სახის არტეფაქტი შემორჩენილი არ არის (შესაძლოა აქ ზადენის კერპი მდგარიყო, ისევე როგორც მცხეთაში და შემდეგში მის ადგილას ტაძარი აიგო).

ნატაძრალი (?) არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ჩაისი, მთა ზადენი და ეკლესიის (?) მდებარეობა

ფოტო 2, 3, 4. ეკლესიის (?) კედლების დარჩენილი კონტურები

ექსპედიციის დროს გაირკვა, რომ ჩაისის სოფლის ცნობილ ეკლესიაში ამჟამად ჯამე აღარაა და დაკეტილია. 2018 წლიდან სოფელში ახალი ჯამე ფუნქციონირებს.

ჩიმლიჩაირი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის თანამედროვე სოფელი ჩიმლიჩაირი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çimliçayır, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი ამჟამად განადგურებულია, ადგილობრივ მოსახლეობას არ ახსოვს მისი არსებობა.

ფოტო 1. სოფელი ჩიმლიჩაირი

ჩიმლიჩაირი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ერუშეთის თანამედროვე სოფელი ჩიმლიჩაირი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çimliçayır, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, ქარშის უბანში, მდინარის მარჯვენა მხარეს, (მდინარე ბაღირსაკისა და კალედერეს შეერთების ადგილას) კონცხზე, შემორჩენილია მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°17'40.40"N; 42°47'07.95"E), რომელიც ქვაყრილის სახითაა დარჩენილი და კედლის წყობები არ განირჩევა. მოსახლეობა ამ ადგილს ,,კალეს'' (ციხეს) უწოდებს. ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ჩიმლიჩაირი

ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3, 4. ნაგებობის ჩაშლილი კედლები

ჩიხირეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ჩიხირეთი, თანამედროვე იუნბუკენი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yünbüken, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, სათიბებზე, ორი ხევის შეერთების ადგილას, მაღალი ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°16'19.54"N; 42°53'30.94"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაყრილის სახით. ძლიერი დაზიანების გამო გეგმის აღდგენა შეუძლებელია.

ფოტო 1. სოფელი ჩიხირეთი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3. ნაგებობის კედლების კონტური

ფოტო 4. ნაგებობის კედლები ქვაყრილის სახით

ჩიხირეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ჩიხირეთი, თანამედროვე იუნბუკენი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yünbüken, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, ხევის პირას, შემაღლებული ბორცვის თხემზე, მდებარეობს ლიტერა-ტურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°17'08.98"N; 42°50'43.90"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული, ხოლო გეგმა არ იკითხება. მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაყრილის სახით.

ფოტო 1, 2. ნაგებობის მდებარეობა და კედლების ქვაყრილი

ჩიხირეთი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელი ჩიხირეთი, თანამედროვე იუნბუკენი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yünbüken, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარის მარჯვენა მხარეს, კლდოვან კონცხზე შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°15'27.09"N; 42°54'7.25"E), რომელიც მხოლოდ ქვაყრილის სახითაა შემორჩენილი და ალა-ალაგ იკითხება ნაგებობის კონტურის ნაწილები.

ფოტო 1. სოფელი ჩიხირეთი

ფოტო 2. კლდე, რომელზეც მდებარეობს ნაგებობა

ჩოთი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი ჩოთი, თანამედროვე ჩათკოი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çatköy, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელთან მდებარეობს XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში ცნობილი ტაძარი, რომელიც ამჟამად შემორჩენილი არაა და არც მოსახლეობას ახსოვს მისი არსებობა.

ფოტო 1. სოფელი ჩოთი

პ.ს. ინფორმაცია სოფელ კარაკალეს შესახებ: ზემო წურმანში მოსახლეობამ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ სოფელ კარაკალედან ყარსის მუზეუმში გადაუტანიათ ეკლესიის ორი რელიეფური ქვა: ღვთისმშობელი ყრმით და ღვთისმშობელი ვედრების პოზაში (ორანტა).

ჩორჩევანი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ჩორჩევანი, თანამედროვე კოპუზლუ, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Kopuzlu, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა გადმოცემით ადასტურებს ტაძრის არსებობას და უთითებს ძეგლის მდებარეობის ადგილს (41°30'14.01"N; 42°38'38.00"E), სადაც ამჟამად სახლია აშენებული. მათივე ინფორმაციით ამ ადგილას ადამიანის ძვლები უნახავთ.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ჩორჩევანი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ძურძნა, ეკლესია

ისტორიული პალაკაციოს სოფელი ძურძნა, თანამედროვე ქალაქი ჩილდირი, ჩრდილის რაიონი, არტანის პროვინცია (Çıldır (Merkez), Ardahan İli).

ქალაქში, მის დასავლეთ ნაწილში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილი ტაძრის არსებობას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს (41°07'30.32"N; 43°08'02.70"E),

თუმცა არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. მის ადგილას ამჟამად საცხოვრებელი სახლია განთავსებული.

ფოტო 1. ქალაქი ჩირდილი (ძურძნა)

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ძურძნა, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული პალაკაციოს სოფელი ძურძნა, თანამედროვე ქალაქი ჩილდირი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çıldır (Merkez) Ardahan İli).

ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მაღალი ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°08'19.39"N; 43°09'02.88"E), რომელიც თხემის კიდეებს წრიულად შემოსდევს და მისი კედლების ძირითადი ნაწილი ქვაყრილის სახითაა დარჩენილი. სამშენებლოდ გამოყენებულია მასიური ქვები, ხოლო 1.7 მეტრი სიმაღლის კედლის წყობები ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ნაგებობის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით. აღნიშნული ნაწილები დაფარულია მისივე ჩაშლილი ქვებით. კედლის სისქე 2 მეტრია. ნაგებობის შიდა პერიმეტრზე, კედლებზე მიბჯენილი, წრიული ნაგებობების კვალი ფიქსირდება. აღმოსავლეთით, გარედან, კედელზე ერთმანეთის მიჯრით მიდგმულია ნაგებობები, რომლებიც ასევე საძირკვლის დონემდეა დანგრეული.

ფოტო 1. ქალაქი ჩირდილი (ძურძნა)

ფოტო 2. ნაგებობა, საერთო ხედი

ფოტო 3, 4, 5, 6. ნაგებობის ნაშთები და კედლის შემორჩენილი წყობები

ძურძნა, მშრალი წყობის ნაგებობა ქალაქის ჩრდილოეთით

ისტორიული პალაკაციოს სოფელი ძურძნა, თანამედროვე ქალაქი ჩილდირი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Çıldır (Merkez), Ardahan İli).

ქალაქის ჩრდილოეთით, მაღალი მთის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია (41°08'09.34"N; 43°08'07.23"E), რომელიც ირეგულარულია და ძლიერაა დაზიანებული. მისი კედლები ქვაყრილის სახითაა დარჩენილი, ხოლო კედლის წყობები შემორჩენილი არ არის. მისი კედლის კონტურებზე გვიანდელი პერიოდის ქვის კედლებია დაშენებული მესაქონლეების მიერ. ნაგებობის გარშემო ათეულობით ნასახლარის კვალი ფიქსირდება.

ფოტო 1, 2. ნაგებობა და ქალაქი ჩირდილი(ძურძნა)



ფოტო 3, 4. ნაგებობის კედლების შემორჩენილი კონტურები

წინსათიბი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი წინსათიბი თანამედროვე იოლაღზი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yolağzı, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ჩრდილოეთით, ყანებში ადგილობრივები გადმოცემით მიუთითებენ ტაძრის არსებობას (41°30'17.86"N; 42°37'25.58"E), თუმცა არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. მოსახლეობა ამ ადგილს ,,ქილისე თარლას'' (ეკლესიის ყანას) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი წინსათიბი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილის არეალი

წინწალი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული პალაკაციოს სოფელი წინწალი, თანამედროვე გუვენოჯაკი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Güvenocak, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის აღმოსავლეთით, მაღალი მთის ფერდზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით (41°06'34.18"N; 43°13'59.57"E), რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთით მკვეთრად დაქანებულ ფერდზე ეშვება და ძლიერ დაზიანებულია. სამშენებლოდ გამოყენებული ყოფილა მასიური ქვა. ამჟამად კედლის წყობები შემორჩენილი არ არის - დარჩენილია მხოლოდ წრიულ ფორმას მიახლოებული ქვაყრილი.

ფოტო 1. სოფელი წინწალი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3. ნაგებობის ტერიტორიაზე არსებული ნასახლარების კვალი

ფოტო 4, 5, 6. ნაგებობის ქვაყრილის სახით დარჩენილი კედელები

წინწალი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული პალაკაციოს სოფელი წინწალი, თანამედროვე გუვენოჯაკი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Güvenocak, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, კონუსური ბორცვის თავზე, მდებარეობს მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°06'11.67"N; 43°13'05.06"E), რომელიც სრულადაა დანგრეული და მისგან დარჩენილია ირეგულარული ქვაყრილი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ,,კალეს'' (ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი წინწალი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. ნაგებობის ძლიერ დაზიანებული კედლები

წურწყაბი, მღვიმეების კომპლექსი

ისტორიული სამცხის სოფელი წურწყაბი, თანამედროვე აშიკზულალი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Aşıkzülali, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე, ხევის მარჯვენა მხარეს, მაღალ კლდეებში, ნაკვეთი მღვიმეებია (41°24'59.82"N; 42°40'25.86"E), რომლებიც, სავარაუდოდ, სახიზრები უნდა იყოს. მთავარ მღვიმეს მართკუთხა შესასვლელი აქვს, რომელიც უკავშირდება 20 მეტრამდე სიღრმეში შეჭრილ სივრცეს. ეს საერთო მოცულობა სამ ნაწილადაა გამიჯნული კლდეში უხეშად ნაკვეთი თაღებით – შესასვლელიდან სიღრმის მიმართულებით. (მიახლოებითი ზომები: პირველი სივრცე 5×3 მ; მეორე სივრცე 5.7×5 მ; მესამე სივრცე 7×8 მ ქვაბის სიმაღლე 1.6 მეტრიდან 1.8 მეტრამდეა). მღვიმიდან ზევით აჭრილია 9 მეტრამდე სიმაღლის გვირაბი (სიგანე 2 მეტრამდეა), რომელიც ზედა სივრცეს უკავშირდება. (გვირაბს, სავარაუდოდ, საფეხურები ექნებოდა გაჭრილი. ამჟამად მის ნაწილზე მიდგმულია ხის კიბე). ზედა სართულის სივრცეს ჯვრის ფორმის გეგმა აქვს და ქვევიდან ამომავალი გვირაბი მის შუა ნაწილში ჩნდება. დასავლეთ მხარეს სარკმელია გაჭრილი, ხოლო აღმოსავლეთი სივრცე ოთხკუთხა ფორმისაა და კლდეშია შეჭრილი. (ზედა სართულის მიახლოებითი ზომებია: აღმ.-დას. 10 მ, ჩრდ.-სამხ. 20 მ) კლდეში გაჭრილია კიდევ რამდენიმე სახიზარი, თუმცა მისი წინა ნაწილი ჩამონგრეულია და სხვა სივრცეებში ასვლა შეუძლებელია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „დელიქლიკაია“-ს (ხვრელიან კლდეს) უწოდებს.

კლდეში ნაკვეთი მღვიმეები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი წურწყაბი

ფოტო 2. მღვიმეების მდებარეობა

ფოტო 3. მღვიმეთა ერთობლიობა

ფოტო 4. მთავარი მღვიმის შესასვლელი

ფოტო 5. ქვედა სართულის შიდა სივრცე

ფოტო 6. ზედა სართულზე ასასვლელი გვირაბი

ფოტო 7, 8. ზედა სართულის შიდა სივრცე

წყაროსთავი, კლდეში ნაკვეთი ეკლესიისა და მღვიმეების კომპლექსი სოფლის დასავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი წყაროსთავი, თანამედროვე ონჯული, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Öncül, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდეში ნაკვეთი ტაძარი ფიქსირდება (ზომები: სიგანე 5.2 მ, სიგრძე 5 მ, სიმაღლე 2.8 მ, საკურთხევლის სიგანე 3 მ) (41°15'08.95"N; 43°07'41.42"E), რომელსაც შესასვლელი დასავლეთიდან აქვს - გაჭრილია მაღალი, ვიწრო, შეისრული ღიობი. საკურთხეველი მცირედ შეისრულია და შემორჩენილია ამბიონის შემაღლება. მისგან სამხრეთით შეჭრილია თაღოვანი სივრცე, რომელშიც ოთხკუთხა ჭრილია. სამხრეთ-დასავლეთით, კუთხეში, ასევე შეისრული თაღია გადაყვანილი, რომელსაც სამხრეთით დეკორატიული მოჩარჩოება აქვს. დასავლეთით ასევე თაღოვანი, შედარებით მომცრო, სივრცეა შეჭრილი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით არსებული შეისრული თაღზეა გადაბმული - მათ შორის ორი დეკორატიული პილასტრია გამოკვეთილი. ჩრდილო-დასავლეთით გამოკვეთილია წრიული ჩაღრმავება, რომელიც ქვევითაა მიმართული. ამ მონაცემით, ნაგებობა ჯვრის ფორმას უახლოვდება. ტაძრის გარეთ, სამხრეთ-დასავლეთით, წრიული შეღრმავებაა, რომელშიც სამი ნიშაა – მათ შორის ოთხკუთხა ნიშა ყველაზე ღრმაა. მის თავზე თაღოვანი ნიშაა, ხოლო მათ აღმოსავლეთით შედარებით მომცრო, ოთხკუთხა ჭრილში ამოკვეთილი თაღოვანი ნიშია. ნაგებობა თურქეთ-საქართველოს გამყოფ საზღვარზეა, სადაც მდინარე მტკვარი წარმოადგენს მიჯნას.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ქართულ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი წყაროსთავი



ფოტო 2. კლდეში ნაკვეთი ეკლესია, შესასვლელი

ფოტო 3. აღმოსავლეთ ინტერიერი

ფოტო 4. სამხრეთ-დსავლეთ ინტერიერი

ფოტო 5. სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, დეტალი

ფოტო 6. ეკლესიის გარეთ, სამხ.-დასავლეთით ნიშები

მისგან დასავლეთით, დაახლოებით 200 მ მანძილზე, კლდეზე მღვიმეებია (41°15'04.93"N; 43°07'42.68"E). ორი მათგანი ერთმანეთის გვერდითაა და მარტივ სივრცეებს წარმოადგენს. მათგან დასავლეთით კიდევ ერთი მღვიმეთა კომპლექსია წარმოდგენილი. მათგან ქვედა სართულს წრიული შესასვლელი აქვს, რომელიც უერთდება ორ, სიღრმეში შეჭრილ, სივრცეს (6×6). მეორე სართულთან დაკავშირება გვირაბითაა შესაძლებელი. ზედა სართულიც კლდეშია შეჭრილი (5.80 მ) – მას ორი სარკმელი აქვს. აღნიშნული მღვიმეები თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ამჟამად, ტაძარსა და მღვიმეებს შორის გაყვანილია ცენტრალური საავტომობილი გზა. როგორც ჩანს, ტაძარი და მღვიმეები ერთ მთლიანობას წარმოადგენდა.

ფოტო 1, 2. მღვიმეთა ერთობლიობა

ფოტო 3, 4. მღიმეთა მეორე ერთობლიობა, შიდა სივრცე

წყაროსთავი, მშრალი წყობის ნაგებობა მეგალითური ელემენტებით სოფლის დასავლეთით

ისტორიული ჯავახეთის სოფელი წყაროსთავი, თანამედროვე ონჯული, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Öncül, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, შემაღლებული ბორცვის თხემზე, ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლია მეგალითური ტიპის ნაგებობის ელემენტებით

(41°14'26.78"N; 43°08'21.50"E). მისი კედლების ძირითადი კონსტრუქცია ჩაშლილია. აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით დარჩენილია 1.5 მეტრამდე სიმაღლის კედლის წყობები. ჩრდილოეთითა და სამხრეთით კედლების სიგრძე 40 მეტრამდეა. აღმოსავლეთით 30 მეტრი, ხოლო სამხრეთით 25 მეტრი ნაგებობა მასიური ქვებითაა ნაშენი.

ფოტო 1. სოფელი წყაროსთავი

ფოტო 2. ნაგებობა, საერთო ხედი

ფოტო 3, 4, 5, 6. ნაგებობის შემორჩენილი კედლები

ჭანჭახი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ჭანჭახი, თანამედროვე სავაშირი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Savaşır, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, ბორცვზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი ჭანჭახის ტაძარი (41°28'04.68"N; 42°50'37.74"E), რომლის ძირითადი ნაწილი განადგურებულია – დარჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის მცირე ნაწილი (სავარაუდოდ სამხრეთის მინაშენი). შემორჩენილი კედელი 2 მეტრამდე სიმაღლისაა და დარჩენილია კედლის აღმოსავლეთი მომრგვალება. ნაგებობას

მოპირკეთების ქვები შემოცლილი აქვს. ტაძრის სამხრეთით კედლების მოზრდილი ფრაგმენტებია მიმობნეული. შენობის დანარჩენი ნაწილი დარჩენილია ფრაგმენტულად, საძირკვლის დონემდე და ნაწილობრივ იკითხება გეგმა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „გულესი“-ს უწოდებს. ტაძრიდან იშლება პანორამა სოფელ ჭანჭახზე და მის შემოგარენზე.

ფოტო 1. სოფელი ჭანჭახი ეკლესიიდან

ფოტო 2. ეკლესიის ნაშთი და მისი მდებარეობა

ფოტო 3, 4. ეკლესიის დარჩენილი ნაშთები

ჭოლითი, ეკლესია

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ჭოლითი, თანამედროვე აკჩილი, ჩილდირის (ჩრდილის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Akçıl, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, შემაღლებულ ადგილას, სადაც ახლა წყაროს ნაგებობაა, მდგარა ტაძარი (41°18'14.84"N; 43°10'06.68"E), რომელიც ცნობილია ლიტერატურაში. ძეგლი ამჟამად განადგურებულია და მისი არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი ჭოლითი

ფოტო 2. წყარო ეკლესიის ადგილას

ჭოლითი, მღვიმეების კომპლექსი

ისტორიული ჯავახეთის სოფელი ჭოლითი, თანამედროვე აკჩილი, ჩრდილის რაიონი, არტანის პროვინცია (Akçıl, Çıldır İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ნაწილში, მდინარე ქარზამეთისწყლის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, კლდეებში, შემორჩენილია ლიტერატურაში ცნობილი კლდეში ნაკვეთი მღვიმეები (41°18'23.13"N; 43°10'42.07"E). მღიმეები სავარაუდოდ სამ სართულადაა განლაგებული. ქვედა სართულის წინა ნაწილი, აღმოსავლეთი მხარე, ჩამონგრეულია. ზედა სართულზე ასასვლელად გაჭრილია მცირე სივრცე, საიდანაც ზევით აჭრილია გვირაბი, რომელიც მეორე სართულის მცირე სივრცემდე 5 მეტრია, ხოლო შემდეგ გრძელდება და მისი გაზომვაც ვერ ხერხდება. ზედა სართულზე ასვლა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური აღჭურვილობით. შესაძლებელია ზედა სართულზე, კლდეში ნაკვეთი ტაძარი იყოს. ექსტერიერიდან ჩანს ღია ჭრილები და, მათ შორის, გაჭრილია სარკმლებიც. მოსახლეობა მას ,,შიკონუნ მაღარალარის'' (შიკოს მღვიმეებს) უწოდებს.

ხერთვისი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ხერთვისი, თანამედროვე სარიჩიჩეკი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sarıçiçek, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 600 მეტრზე, ძველი ნასახლარია. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ნასახლარის ცენტრში, ბორცვზე, ტაძარი მდგარა (41°34'21.52"N; 42°40'08.40"E), რომლის არტეფაქტებიც შემორჩენილია არაა. მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისეს“ (ეკლესიას) უწოდებს.

ტაძარი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1, 2. სოფელი ხერთვისი და ეკლესიის მდებარეობის ადგილი

ხოშურეთი, მშრალი წყობის მეგალითური ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული არტანის სოფელი ხოშურეთი, თანამედროვე დილეკდერე, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Dilekdere, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, ჩოთის წყლის მარცხენა მხარეს, (სადაც ახლა ჰესია), კლდოვან კონცხზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°10'44.44"N; 42°56'55.75"E), რომლის გეგმაც იკითხება. უკეთაა დარჩენილი მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე და დასავლეთ კედლის ნაწილი. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 2.5 მეტრამდეა, ხოლო კედლების სიგანე 3 მეტრამდე. ჩრდილოეთი კედლის სიგრძე 50 მეტრამდე აღწევს, ხოლო აღმოსავლეთ კედელი 30 მეტრამდეა. ძეგლი მასიური ქვებითაა ნაგები, რომელთა საშუალო ზომაა 1.2×0.9 მეტრია. სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით საძირკვლის დონემდეა კედლები დარჩენილი. ნაგებობაში ასევე გამოყენებულია საშუალო ზომის ნატეხი ქვაც, რომლითაც ამოვსებულია მასიური ქვით ნაშენი კედელთშორისი სივრცე.

ფოტო 1. სოფელი ხოშურეთი

ფოტო 2. ზოგადი ხედი ნაგებობაზე

ფოტო 3. ნაგებობის ჩრდ. დას. კედელი

ფოტო 4. ნაგებობის ჩრდ. კედელი

ფოტო 5. მეგალითებით ნაშენი კედლის წყობა

ფოტო 6. შემორჩენილი კედლის სიგანე

ფოტო 7. ჩრდ. კედლის შიდა მხარე

ფოტო 8. შიდა ნაგებობების ნაშთები

ხრეშდაგი, ეკლესია

ისტორიული პალაკაციოს სოფელი ხრეშდაგი (მოგვიანებით ირიშტიც ერქვა), თანამედროვე გოლდალი, არპაჩაის რაიონი, ყარსის პროვინცია (Göldalı, Arpacay İlçesi, Kars İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს სკოლის ტერიტორიაზე (40°58'58.70"N; 43°19'32.89"E), თუმცა არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ხრეშდაგი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ხურთულა, ეკლესია

ისტორიული არტანის სოფელი ხურთულა, თანამედროვე ბაღდაშენი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Bağdaşan, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli). (ხურთულა დღეს ნასოფლარია და მდებარეობს ქინძოტამალის ტერიტორიაზე).

ნასოფლარზე ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილ ტაძარს და მიუთითებს მის მდებარეობას (41°03'34.30"N; 42°24'43.96"E).

ფოტო 1. ნასოფლარი და ეკლესიის ადგილი

ხურთულა, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული არტანის სოფელი ხურთულა, თანამედროვე ბაღდაშენი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Bağdaşan, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli). (ხურთულა დღეს ნასოფლარია და მდებარეობს ქინძოტამალის ტერიტორიაზე).

სოფელში მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი, რომელიც ჩვენი საექსპედიციო ჯგუფის მიერ დაფიქსირებული და გამოქვეყნებულია 2014 წელს. ამჟამად, ნაგებობის შემორჩენილი კედლების წყობის ნაწილი ჩამოშლილია და დარჩენილია სამხრეთით 2.2 მ სიგრძისა და 1.1 მ სიმაღლის კედელი.

ფოტო 1. სოფელი ქინძოტამალი მშრალი წყობის ნაგებობიდან

ფოტო 2. კედლის დარჩენილი ფრაგმენტი

ჯაყი, ციხე და ეკლესია

ისტორიული სამცხის თანამედროვე სოფელი იურთბექლერი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Yurtbekler, Posof İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთით, მაღალი კლდის თხემზე, საქართველო-თურქეთის საზღვართან, მდებარეობს ლიტერატურაში კარგად ცნობილი ჯაყის ციხე და ტაძარი (41°30'27.58"N; 42°48'7.70"E). ციხისგან შემორჩენილია ნაგებობის ძირითადი კონსტრუქცია და განირჩევა სხვადასხვა პერიოდის მშენებლობის ფენები. ნაგებია მოზრდილი და საშუალო ზომის კვადრებით და დუღაბით. სამხრეთ კედლის დიდი ნაწილი დანგრეულია. ასეთივე მდგომარეობაა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების ნაწილებში. დასავლეთ კედელი მომრგვალებულია. შენობის კედლების სისქე 1.5 მეტრიდან

2 მეტრამდეა. ჩრდილოეთის კედელში შემორჩენილია შიდა მხრიდან შეისრული ფორმის სათოფური - სამხრეთ კედელში განირჩევა 4 სათოფური. ნაგებობის სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში დარჩენილია ციხის კარიბჭე, ხოლო შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 7.5 მეტრია. ძეგლის დაახლოებითი განფენილობაა: აღმ.-დას. – 20 მ, ჩრდ.-სამხრ. – 17 მ.

მთავარი ნაგებობის აღმოსავლეთით, გარე პერიმეტრზე, დარჩენილია კედლის მცირე ფრაგმენტები. როგორც ჩანს ციხის მასშტაბი გაცილებით დიდი იყო.

სიმაგრის ძირში, დასავლეთით, დარბაზული ტაძარია, რომელიც აღმოსავლეთის კედლით მიბჯენილია კლდეზე. მისგან შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები, ხოლო დასავლეთი წყობა დანგრეულია - დარჩენილია მხოლოდ დაახლოებით 1 მეტრამდე სიმაღლის კედელი. აღმოსავლეთ კედლის სიმაღლე 6.5 მეტრია და შემორჩენილია კონქის ნაწილი და ამავე კედელში გაჭრილია ერთი სარკმელი. სამხრეთი კედელი 4 მეტრამდეა დარჩენილი. ნაგებობაში შემორჩენილი ინტერიერის მოპირკეთების ქვები - საშუალო ზომის ნაცრისფერი კვადრები და პილასტრები. ექსტერიერს მოპირკეთების ქვები შემოცლილი აქვს. ტაძრის მიახლოებითი ზომებია: აღმ.-დას. – 10 მ, ჩრდ.-სამხრ. – 6 მ შენობის კედლების მოზრდილი ფრაგმენტები მის ქვემოთ, ფერდზეა ჩაყრილი.

ფოტო 1, 2. გენერალური ხედი ციხეზე

ფოტო 3. ციხის ინტერიერი

ფოტო 4. სამხრეთით დარჩენილი კარიბჭე

ფოტო 5, 6. ეკლესიის დარჩენილი ნაშთები

ჯვარისხევი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელი ჯვარისხევი, თანამედროვე სულაკჩაირი, ჰანაკის (ხანახის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Sulakçayır, Hanak İlçesi, Ardahan İli).

სოფელთან მდებარე, XX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურაში ცნობილი, ტაძარი ამჟამად შემორჩენილი არაა. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის ინფორმაციით ნაგებობა ამჟამინდელი ჯამეს ადგილას მდგარა. მოსახლეობის ნაწილი კი არ ადასტურებს ამ ინფორმაციას.

ფოტო 1. სოფელი ჯვარისხევი

ფოტო 2. სოფლის ჯამე, სავარაუდო ეკლესიის ადგილას

ჯუმათელი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ჯუმათელი, თანამედროვე ბაიკენტი, ფოსოფის (ფოცხოვის) რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Baykent, Posof İlçesi, Ardahan İli). (ბაიკენტი ისტორიული ვახლაა, ხოლო ჯუმათელი დღეს ბაიკენტის ერთ-ერთი უბანია).

სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ძველი სკოლის შენობის ადგილას, მოსახლეობა გადმოცემით ადასტურებს ტაძრის არსებობას (41°24'59.45"N; 42°39'26.27"E). ნაგებობის არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ტაძარი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ჯუმათელი

ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ჰასკოი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული არტანის თანამედროვე სოფელი ჰასკოი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hasköy, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 800 მეტრზე, ტაძარი მდგარა (41°04'06.04"N; 42°27'04.16"E). ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ნაგებობის არსებობას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს, თუმცა ამჟამად არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. ტაძრის შესახებ ინფორმაცია ჩვენ საექსპედიციო ჯგუფს მოაწოდეს 2014 წელს.

ფოტო 1, 2. სოფელი ჰასკოი და ეკლესიის ადგილი

ჰასკოი, ეკლესია ჯამეს ადგილას

ისტორიული არტანის თანამედროვე სოფელი ჰასკოი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hasköy, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფელში, ამჟამინდელი ჯამეს ადგილას, მოსახლეობა ადასტურებს ლიტერატურაში ცნობილი ტაძრის არსებობას (41°04'19.37"N; 42°26'26.03"E), თუმცა ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი ჰასკოი

ფოტო 2. ჯამე ეკლესიის ადგილას

ჰასკოი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული არტანის თანამედროვე სოფელი ჰასკოი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hasköy, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 600 მეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს ლიტერატურაში ცნობილი მშრალი წყობით ნაგები არქიტექტურული ძეგლი (41°04'27.66"N; 42°25'43.00"E), რომლის ძირითადი კონსტრუქცია დარჩენილია ქვაყრილის სახით, რომელიც წრიულად შემოუყვება ბორცვის თხემის კიდეებს. სამშენებლოდ მასალად გამოყენებული ყოფილა, საშუალო ზომის, დაუმუშავებელი ქვა. ნაგებობის სამხრეთ და დასავლეთ მხარეს დარჩენილია 1.5

მეტრამდე სიმაღლისა და 3.3 მეტრამდე სიგანის კედლის წყობები - ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით კედლის წყობა შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი ჰასკოი

ფოტო 2. ნაგებობის მდებარეობა

ფოტო 3, 4. კედლების შემორჩენილი წყობები

ჰასკოი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული არტანის თანამედროვე სოფელი ჰასკოი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hasköy, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარის მარცხენა მხარეს, შემაღლებული ბორცვის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (41°03'48.74"N; 42°25'46.44"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. გეგმა არ იკითხება. შენობის კედლების ქვები ჩაყრილია ბორცვის ფერდზე. აღმოსავლეთით დარჩენილია, საძირკვლამდე დანგრეული, კედლის წყობის მცირე ნაწილი. ინტერიერის ნაწილში განირჩევა ნაგებობების კვალი, რომლებიც გათხრილია ოქროს მაძიებელთა მიერ. შენობათა ტერიტორიაზე მრავლადაა კერამიკის ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ,,ქულთეფეს'' (ნაცარგორას) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფოტო 1. სოფელი ჰასკოი

ფოტო 2. ნაგებობის ტერიტორია

ფოტო 3. ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ნაშთები

ფოტო 4. კერამიკის ფრაგმენტები

ჰაჯიალი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთით

ისტორიული ფოსოს თანამედროვე სოფელი ჰაჯიალი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hacıali, Ardahan Merkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ტერიტორიაზე, სამხრეთით, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°56'17.89"N; 42°55'04.68"E), სადაც ნაგებობის არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. ეკლესიის ადგილი

ჰაჯიალი, ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე ჩრდილოეთით

ისტორიული ფოსოს თანამედროვე სოფელი ჰაჯიალი, არდაჰანის (არტანის) ცენტრალური რაიონი, არდაჰანის (არტანის) პროვინცია (Hacıali, ArdahanMerkez İlçesi, Ardahan İli).

სოფლის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთით, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ტაძრის არსებობას და უთითებს მის სავარაუდო მდებარეობას (40°56'34.46"N; 42°54'56.96"E). ადგილზე ძეგლის არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ფოტო 1. სოფელი და ეკლესიის ადგილი

გამოყენებული ლიტერატურა

1. გვარამაძე ი., [ვინმე მესხი], არხეოლოგიური მოგზაურობა, გაზეთი ,,დროება" 1882, #169, 14 აგვისტო, გვ. 2
2. გურჯისტანის ვილაიეთის რუკა, შედგენილიალ. ასლანიკაშვილის მიერს. ჯიქიას რედაქტორობით, 1953
3. მარტვილელი კ. [ოდიშარია, კონსტანტინე]. (1917) „არტაანის მხარეში", გაზ. *საქართველო, №216, - 221; 230; 232; 234, გვ. 4.*
4. პატაჩი, ს. და ორალი, ო. (2014) "შუა საუკუნეების ქართული არქეოლოგია არტაანში ბოლო დროინდელი კვლევების მიხედვით", ტაო-კლარჯეთი: III საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 17-21 ოქტომბერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, *მოხსენებათა თეზისები*, თბილისი, გვ. 133-136. იგივე იხ. ინგ. (Pataci and Oral,2014, pp. 260-263).
5. პატაჯი, ს. და ორალი, ო. (2016) „შუა საუკუნეების ციხეები და კოშკები არტანში",ტაო-კლარჯეთი: IV საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, 2016, 21-24 სექტემბერი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიური სახლი, *მოხსენებათა თეზისები,* თბილისი, არტანუჯი, გვ. 38-41. იგივე იხ. ინგ. (Pataci ..., 2016, pp. 172-175).
6. Pataci, S. and Oral, Ö. (2016) ,,Medieval Fortresses and Towers in Artaani (Tur. Ardahan)", Tao-Klarjeti: 4rd International Conference. Tbilisi, 2016, 21-24 September. Ilia State University, House of Georgian Studies. *Abstracts of Papers*, Tbilisi, Artanuji, pp. 172-175. idem, Geo. (პატაჯი ...,2016, გვ. 38-41).
7. *ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2012-2013 წლების საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები* (2019) ექსპედიციის ანგარიშები მოამზადეს: თ. ხუციშვილმა, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოღუაშვილმა, დ. მაისურაძემ, ლ. წიქარიშვილმა. თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. *ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები* (2015ა) ექსპედიციის ანგარიშები მოამზადეს: ხუციშვილი, თ. (ხელმძღვანელი), წიქარიშვილი, ლ., გელაშვილი, ა., გოზალიშვილი, ბ., კოღუაშვილი, შ. იმედაშვილი, ა., გაჩეჩილაძე, დ. და მაისურაძე, დ., თბილისი, „გამომცემლობა გრიფონი".
9. *ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები,* (2015ბ) ექსპედიციების ანგარიშები მოამზადეს: ხუციშვილი, თ. (ხელმძღვანელი), წიქარიშვილი, ლ., გელაშვილი, ა., გოზალიშვილი, ბ., კოღუაშვილი, შ. იმედაშვილი, ა., გაჩეცილაძე, დ., ხუსკივაძე, ნ. და მაისურაძე, დ., მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
10. *ტაო-კლარჯეთი* ისტორიისა და კულტურის ძეგლები; კატალოგი. (2017) ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები, პერსონალია, პუნქტები, ბიბლიოგრაფია. კუდავა, ბ. (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რედაქტორი); ავტორ-შემდგენლები: ნ. ბაგაური, ზ. ბატიაშვილი, ი. ბერიძე, ბ. კუდავა, ნ. ჟღენტი, გ. საითიძე და ნ. ხიზანიშვილი. თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრი. მეორე გამოცემა (2018) (შეტანილია მცირე სწორებები და დამატებები), თბილისი, არტანუჯი.
11. ალექსანდრე ფრონელი [ყიფშიძე, ალექსანდრე]. (1914) დიდებული მესხეთი, იასონ კერესელიძის გამოცემა, გორი, ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი".
12. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი; 1694-1732 წ.წ. (1979) თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, სერია: საქართველოს ისტორიის წყაროები 16, საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები X, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, თბილისი, „მეცნიერება".
13. ჟღენტი ნ., ტაო-კლარჯეთში გამოვლენილი თავდაცვითი ნაგებიბების ლოკალიზაცია, ტაო-კლარჯეთის IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 21-24 სექტემბერი, თბილისი, 2016: 45 - თეზისში მოცემულია საფორტიფიკაციო ნაგებობების GPS კოორდინატები, მათ შორისაა არილას ციხე №76 ნომრად.
14. Бакрадзе, Дм. (1878) Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, Санктпетербург, Типография Императорской Академии Наук. (ციტირებულია: ბაქრაძე დ., *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ),* რედ. ახვლედიანი ხ., თარგმანი არჩილ ტოტოჩავასი; გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა" 1987)
15. Уварова, П. (1891) Кавказ: Абхазия, Аджария, Шавшетия, Посховский участок, Путевые заметки Графини Уваровой, часть II, Москва. стр. 280. იგივე მასალა იხ. Уварова, П. (1894) "Посховский участок", в кн. Материалы по Археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества, снаряженными на Высочайше дарованные средства, выпуск IV, под ред. графини Уваровой, Христианские Памятники, Москва. стр. 102.

დამატება

იშხნის მონასტრის მთავარ ტაძარში მდებარე სამარხი სამენოვანი წარწერით

2016 წლის ივნისში, ჩვენი ექსპედიცია იმყოფებოდა ისტორიულ ტაოში, იშხნის მონასტერში, სადაც იმ დროს სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. რეაბილიტაციის პროცესში მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ პასტოფორიუმში გამოვლინდა სამარხი, მის შიდა კედლებზე განთავსებული სამენოვანი (ქართული, ბერძნული, სომხური) წარწერით.

გამოვლენილი სამარხის და წარწერის შესახებ პირველადი ინფორმაცია გამოქვეყნდა ინტერნეტსივრცეში 2016 წელს (https://www.ambebi.ge/article/168974-unikaluri-aghmochena-ishkhanshi-visi-samarkhi-ipoves-eqspediciis-tsevrebma-tadzris-teritoriaze/). იხ. აგრეთვე: გაზ. კვირის პალიტრა, 11-17 ივლისი, 2016, № 28 (1145), გვ. 14, 15).

იშხნის სამარხის ქართული ასომთავრული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თეიმურაზ ჯოჯუას მიერ. პირველადი მოსაზრებით, ბერძნული და სომხური წარწერები ქართული ტექსტის იდენტურია. წარწერა თარიღდება 1009 წლით.

ქართული წარწერა თერთმეტსრიქონიანია:

1. **ქკნსა**
2. **სკთ**
3. **[——] ‖**
4. **და (?) [...]**
5. **მ“მდმთა[————]‖[...]**
6. **მისა: წ(?)დისა: აბ[———]‖[...]**
7. **რლ“თა ესე: ლ“სკ“მაჲ ა[—]‖[...]**
8. **სკ“ნდ სადგოჳრად გმ“თა [-]‖[...]**
9. **[-]“ხრ ღ“ო შეივ“დრნ და გნსნე ა‖ნ აღეშე[...]**
10. **[-]ლ(?)“თა და თნადგმ“თა მათითა ან [...]**
11. **ქკნს სკთ**

„ქ{რონი}კ{ო}ნსა / სკთ (1009 წ.). */ [——] ‖ და* (?) *[...] / მ(ა)მ(ა)დმთა[ვრისა]* (?) *[——]‖[...]მისა წ(მი)დისა* (?) *აბ[———]‖[...] / რ(ომე)ლთა ესე ლ(უ)სკ(უ)მაჲ ა[ღაშ]‖[ენეს] [...] / ს(აუ)კ(უ)ნ(ო)დ სადგურად გ(უა)მთა [მ]‖[ათთა]. [...] / [კ](ურთხეულ) ხ(ა)რ, ღ(მერთ)ო, შეივ(ე)დრ(ე)ნ და გ{ა}ნ{უ}ს{ეე}ნე, ა‖{მე}ნ. აღეშე[ნა] [...] / [მ](ა)ლ(ი)თა* (ან *ჴ(ე)ლ(ი)თა*) (?) *და თ(ა)ნადგ(ო)მ(ი)თა მათითა, ა{მე}ნ. [...] / ქ{რონი}კ{ო}ნს{ა} სკთ* (1009 წ.)*“.*



პარხლის მონასტერი, მელნით შესრულებული მხედრული წარწერა

ისტორიულ ტაოში, პარხლის მონასტერში, თურქული მხარის მიერ, 2016 წელს დაწყებული რესტავრაციის პერიოდში, ტაძრის ინტერიერში ჩამოიხსნა გვიანდელი შელესილობა, რა დროსაც, საკურთხევლის კედელზე გამოვლინდა მელნით შესრულებული მხედრული წარწერის ფრაგმენტი. წარწერა თარიღდება XIV-XV საუკუნით. მისი პალეოგრაფიული ანალიზი შესრულებულია პროფესორ თეიმურაზ ჯოჯუას მიერ. წარწერის შესახებ ინფორმაცია ტაო-კლარჯეთის ძეგლების საკვლევი ექსპედიციების ჩვენ ანგარიშებში დღემდე არ გამოქვეყნებულა. მონასტრის ინტერიერში, სხვა მხედრული წარწერებიცაა, რომელიც ჩვენს მიერ გამოქვეყნებულია – „ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2016 წლის ექსპედიციების ანგარიშები“.

„[ქ.] [სახ]ელითა ღ(მრ)თისაითა, მე[ოხებითა] [ყოვლადწმიდისა] [ღმრთისმშობელისაითა] / და პატიოსნისა ჯ{უარ}ის[აითა], შეწ[ევნითა] ნათლისმცემელისაითა], [კაცთა] [შორის] / უაღრესისაითა, თან[ამოქმედობითა] [სუეტისა] [ცხოველისაითა], [კუართისა] / საუფლოისა და ღ(მერ)თმ[ყოფელისა] [მირონისაითა], [...] / მღ[უ]დელთმოძღუა[რთა] [...] / [---] [ხ]უცესმო[ნაზონთა] [...] / მიბ(?)[...] / ჯ(?)[...] / ნისელ(?)[...] / [...]“.

ფოტო 1. პარხლის მონასტერი, რესტავრაციის პროცესი, 2016 წ.

ფოტო 2. მხედრული წარწერის ფრაგმენტი